



„პატრიოტიზმის“ თემატური სივრცის ასოციაციური განზომილებები
(თანამედროვე ინგლისური ენის მაგალითზე)

ავტორი: თამარ ლოლიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ჩხეიძე

თბილისი

2022

მიმოხილვა

მონაცემების ადეკვატური და საიმედო ლექსიკური ბაზის შესაქმნელად, რომელიც ასახავს ენის სრულ პოტენციალს, არ არის საკმარისი მხოლოდ ლექსიკოგრაფიულ წყაროებში ფიქსირებული ინფორმაცია.

„ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობა არ შეესატყვისება მის იმ მნიშვნელობას, რომელიც ლექსიკონშია ფიქსირებული. ყოველივე ეს კი სვამს „ცოცხალი“ ცოდნის ბუნების დაზუსტების ამოცანას. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ეს ცოდნაა ინტეგრირებული სიტყვაში, რომელიც მიემართება ადრესატს კონკრეტულ დროსა და სივრცეში. სავარაუდოდ, სწორედ ეს ცოდნაა „ცოცხალი“ სიტყვის მეშვეობით რეპრეზენტირებული „ცოცხალი“ ცოდნა.

„ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობა განპირობებულია, ერთი მხრივ, სოციუმის მიერ გამომუშავებული კულტურული მნიშვნელობების სისტემით, ხოლო, მეორე მხრივ, კოგნიტურ-დისკურსული პროცესების ერთობლიობით, რომელშიც სიტყვა მონაწილეობს აზროვნების მეშვეობით.

ცოდნის სოციალური და ინდივიდუალური სისტემების სპეციფიკა იძლევა „ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის შინაარსობრივი ველის აღწერის საშუალებას. ეს ველი აერთიანებს „ცოცხალი“ ცოდნის ფუნქციონირების ორ ფორმას - მნიშვნელობებსა და შინაარსებს, ინდივიდისა და სოციუმის კოგნიტურ-დისკურსული მოღვაწეობის პროცესებსა და შედეგებს. ეს ორი ფორმა - მნიშვნელობები და აზრები, ინდივიდებისა და სოციუმის კოგნიტურ-დისკურსული მოღვაწეობის პროცესები და შედეგები - არ არსებობს ერთმანეთის გარეშე, ისინი ურთიერთდაკავშირებულია. სწორედ ეს კავშირი უზრუნველყოფს სიტყვის მნიშვნელობის დინამიურ, კონტინუალურ ხასიათს.

მონაცემების მოპოვება ერთეულის რეალური და პოტენციური გამოყენების შემთხვევათა სპეციფიკის თაობაზე შესაძლებელია ფსიქოლინგვისტური ტექნიკის, კერძოდ კი, თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტიკაში ექსპერიმენტს დიდი ტრადიციები აქვს, კონცეპტთა ანალიზისადმი ექსპერიმენტული მიდგომა საკმაოდ ახალია.

ექსპერიმენტულმა მეთოდმა სერიოზული იმპულსი მიიღო კოგნიტური ფსიქოლოგიის სფეროში განხორციელებული ექსპერიმენტული კვლევების წყალობით.

თანამედროვე კონცეპტოლოგიაში მიჩნეულია, რომ ასოციაციური ექსპერიმენტის წყალობით შესაძლებელია ენობრივი კოლექტივის წევრების ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტის კოგნიტური ნიშნების ფსიქოლოგიური მახასიათებლების დადგენა: ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემები იძლევა შემეცნების კონკრეტული მდგომარეობისათვის აქტუალური კოგნიტური ნიშნების გამოვლენის საშუალებას.

ენის სიტყვებსა და გამოთქმებში ჩადებულია გარკვეული ასოციაციური პოტენციალი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ექსპერიმენტის დროს გარკვეული სიტყვა-სტიმულების აქტუალიზაციისას. რესპოდენტებისაგან სიტყვა-სტიმულებზე მიღებულ რეაქციებს შორის არსებული კავშირების იდენტიფიცირების, განზოგადების, შეჯამებისა და ექსტრაქციის შედეგად იქმნება ერთობლიობა, რომელიც ქმნის კონცეპტის ასოციაციურ განზომილებას.

კონცეპტის ასოციაციური განზომილების კონსტრუირება იძლევა კონკრეტული კონცეპტის შინაარსისა და კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობის კუთვნილი ადგილის განსაზღვრის საშუალებას მშობლიური ენის მატარებლების აზრთა და მნიშვნელობათა იერარქიაში.

კონცეპტის ანალიზის სისრულეს უზრუნველყოფს ინტეგრირებული მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს კვლევის ლინგვოკულტურულ, ლინგვოკოგნიტურ და ექსპერიმენტულ კომპონენტებს.

ასოციაციური განზომილების შესწავლა შეუძლებელია ლინგვისტიკასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებულ საერთო მიდგომებსა და ტენდენციებთან ურთიერთკავშირის გარეშე. ანტროპოცენტრიზმი, როგორც მიდგომა ენის, სოციუმისა და ადამიანის ფენომენის შესწავლისადმი, აღიარებს „ცოცხალი“ ცოდნის კვლევის აქტუალურობას. ეს კი განაპირობებს „ცოცხალი“ ცოდნის არსის კვლევის შესაძლებლობების განვითარების, ცოდნისა და ცნობიერების სტრუქტურათა რეპრეზენტაციის საშუალებათა სრულყოფის აუცილებლობას.

სარჩევი

მიმოხილვა.....	2
შესავალი	6
თავი I. ფსიქოლინგვისტიკა, კონცეპტოლოგია და ლინგვოკულტუროლოგია	14
1.1. ენის, აზროვნებისა და კულტურის მიმართების საკითხი ფსიქოლინგვისტიკაში	14
1.2. სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაცია	22
1.3. ენობრივი კონცეპტუალიზაციის ფსიქოლინგვისტური საფუძვლები	25
თავი II. კონცეპტი და კონცეპტუალური სფერო	32
2.1. კონცეპტის სტრუქტურული ორგანიზაცია და ენობრივი ობიექტივაცია.....	32
2.2. კონცეპტუალურ სფეროში ინტეგრირებულ კონცეპტთა კლასიფიკაცია	36
თავი III. მეთოდოლოგია და მეთოდი	41
3.1. რადენობრივი კვლევის მეთოდები: მონაცემების ორგანიზებისა და დამუშავების სპეციფიკა.....	41
3.2. თვისებრივი კვლევა: მეთოდოლოგიური საფუძვლები და კვლევის პარადიგმები. 44	
3.3. თვისებრივი კონტენტანალიზი: დიზაინი, სანდოობა და ვალიდურობა	52
3.4. შერეული მეთოდოლოგია და ტრიანგულაცია როგორც ცენტრალური მეთოდოლოგიური კონცეპტი.....	59
3.5. მიდგომები და რესურსები.....	64
3.6. კონცეპტის კომპლექსური აღწერის მეთოდი	70
3.7. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი როგორც ენობრივი ცნობიერების შინაარსის კვლევის ინსტრუმენტი.....	77
თავი IV. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილება თანამედროვე ინგლისურ ენაში.....	83
4.1. ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების ჩატარებისა და შედეგების ინტერპრეტაციის პრობლემები.....	83
4.2. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების მოდელირებისა და კონცეპტის ექსპერიმენტული ანალიზის პრინციპები	87
თავი V. კვლევის შედეგების ვერიფიკაცია	101
5.1. ანთროპოცენტრისტულად ორიენტირებული ლინგვოკოგნიტური მიდგომა ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევაში.....	101
5.2. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური ექსპლიკაცია თანამედროვე ინგლისურ ენაში.....	110
5.3. ექსპერიმენტული შედეგების თვისებრივი ინტერპრეტაცია: ასოციაციური განზომილებისა და კონცეპტუალური სივრცის შემადგენლობათა ანალოგიზაცია-კონტრასტირება თანამედროვე ინგლისურ ენაში	125

დასკვნა	149
გამოყენებული ლიტერატურა.....	154

შესავალი

კონცეპტის დისკრეტულობა გულისხმობს კონცეპტის ღიაობას დროითა და სივრცით განპირობებული შესაძლო ცვლილებებისათვის - ახალი გამოცდილებისა და ცოდნისათვის. სწორედ დისკრეტულობის წყალობით ჩნდება კონცეპტის შინაარსობრივ განზომილებაში თავისუფალი პოზიციები, რომლებიც მიუთითებენ ახალ ინტერპრეტაციათა გაჩენის ალბათობაზე.

შინაარსობრივი სისტემა დინამიური ფსიქოლოგიური მოცემულობაა, რომლის კომპონენტთა შორის არსებული იერარქიული მიმართებები აქტივირდებიან გამონათქვამის პროდუცირებისას. ეს კი ნიშნავს, რომ აღნიშნული ფსიქოლოგიური მოცემულობა წარმოადგენს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციური ინტენციის რეალიზაციის შედეგს.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ვექტორი მიმართულია მეტყველი სუბიექტის ენისა და სამყაროსადმი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი დამოკიდებულების, ინდივიდის ინტენციების, სურვილებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების, სამყაროს აღქმისა და მისი კონცეპტუალიზაციის კვლევაზე.

კონკრეტული ენის მატარებელთა ინტერსუბიექტური თვალსაზრისების სისტემის სპეციფიკა, ინდივიდის ცნობიერებაში არსებული ცოდნისა და წარმოდგენების თავისებურებები აკუმულირებულია ასოციაციებში. სწორედ ასოციაციაში ვლინდება სიტყვის ენობრივ ცნობიერებაში ფიქსაციისა და თავად ენობრივი ცნობიერების თავისებურება.

ასოციაციურ მნიშვნელობაში აკუმულირებულია სიტყვის ენის მატარებლისათვის აქტუალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობა, რომელშიც ვლინდება სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობასა და სიტყვის რეალურ სემანტიკას შორის არსებული სხვაობა. სიტყვის აქტუალურ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობაში იკვეთება სიტყვის ასოციაციური დიაპაზონი, რომელიც არღვევს სიტყვის ლექსიკონში ფიქსირებული მნიშვნელობის საზღვარს.

სიტყვის „ცხოვრებაში“ მომხდარი ძვრები გამოწვეულია, ერთი მხრივ, კონკრეტული სოციუმის კულტურულ მნიშვნელობათა სისტემის ტრანსფორმაციით, მეორე მხრივ კი, კოგნიტურ-დისკურსული პროცესების სპეციფიკით, რომელშიც სიტყვა მონაწილეობს აზრთწარმოქმნის მეშვეობით.

ცოდნის სოციალური და ინდივიდუალური სისტემების ანალიზი იძლევა კონცეპტის შინაარსობრივი ველის აღწერის საშუალებას. ეს ველი აერთიანებს მნიშვნელობებსა და შინაარსებს, ინდივიდისა და სოციუმის კოგნიტურ-დისკურსული მოღვაწეობის პროცესებსა და შედეგებს.

პროცესებისა და შედეგების შერწყმა, მათი შინაგანი ერთობა არ გამორიცხავს ოპერაციონალური ცოდნის აქტიურ როლს. უფრო მეტიც, პროცესები განსაზღვრავენ შემეცნების შედეგებს, ვინაიდან შინაარსობრივი ველი არსებობს ცოცხალი ადამიანების აზრთწარმოქმნელი მოღვაწეობის შედეგად და სწორედ მისით განისაზღვრება.

„ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის კვლევა გულისხმობს ამ სიტყვის ჩართვას ბუნებრივი სემიოზისის პროცესებში, რაც იძლევა ენისა და კულტურის მატარებელთა ყოფაში სიტყვის ფუნქციონირების სპეციფიკაზე დაკვირვების საშუალებას.

შინაარსობრივი ველის სპეციფიკა აიხსნება სიტყვის სტრუქტურული და ოპერაციონალური პარამეტრების სპეციფიკით. სტრუქტურული პარამეტრები ახდენენ სიტყვის იდენტიფიკაციის შედეგების რეპრეზენტაციას. აღნიშნული პარამეტრების დესკრიფცია ხორციელდება ანალიტიკურ-ნიშნობრივი სტრუქტურების მეშვეობით. ოპერაციონალური პარამეტრები წარმოდგენილია კოგნიტური პროცესებით, რომლებიც აყალიბებენ ოპერაციონალური ცოდნის ბლოკს. „ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის კვლევა სიტყვასთან „ბმადი“ შინაარსობრივი ველის მეშვეობით ითხოვს ასოცირების ბუნების დაზუსტებას და სვამს სიტყვის იდენტიფიკაციის ეტაპებისა და დონეების გამოყოფის ამოცანას.

რამდენდაც სიტყვის ლექსიკონში ფიქსირებული მნიშვნელობა არც და ვერც ასახავს სიტყვის „ცხოვრებაში“ დროითა და სივრცით განპირობებულ ძვრებს, ენის მატარებლისათვის სიტყვის ფსიქიკური თვალსაზრისით რეალური მნიშვნელობის დადგენა აუცილებლობით უნდა გულისხმობდეს ასოციაციური მნიშვნელობის ანალიზს. სწორედ აღნიშნული აუცილებლობა განაპირობებს კვლევის აქტუალობას.

კვლევის მიზანია კონცეპტის „პატრიოტიზმი“, ასოციაციური განზომილების მოდელირება თანამედროვე ინგლისურ ენაში, რაც იძლევა, ერთი მხრივ, კონცეპტის შინაარსის, როგორც ფსიქოლოგიური მოცემულობის, რეპრეზენტაციის, მეორე მხრივ კი, ამ შინაარსის სტაბილური კომპონენტების გამოვლენის შესაძლებლობას.

დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის შემდეგი ამოცანებისა და ეტაპების განხორციელება:

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების მოდელირება, კერძოდ: თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის ჩატარება;

ექსპერიმენტის მონაცემთა (რეაქციების) მთელი კორპუსის სტრუქტურირება სიხშირის მიხედვით, რამაც უზურველყო თანამედროვე ინგლისურის, როგორც მშობლიური ენის, მატარებელ რესპოდენტთა ლინგვისტურ ცნობიერებაში სიტყვა-სტიმულზე -

„პატრიოტიზმი“ ყველაზე აქტუალური ასოციაციების იდენტიფიცირების შესაძლებლობა;

სიხშირით მიღებული მონაცემების თვისებრივი ინტერპრეტაცია, რამაც გამოავლინა ლინგვისტური ცნობიერებისთვის ყველაზე აქტუალური კოგნიტური ნიშნები და უზურველყო კონცეპტის ფუნქციონირების ფსიქოლოგიური ასპექტის დესკრიფცია;

ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვისა და პერიფერიის განსაზღვრა.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური აღწერა თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომელმაც მოიცვა:

კვლევის მოსამზადებელი ეტაპი - ენციკლოპედიური წყაროების, ლექსიკონების მონაცემებისა და ინტერნეტ მონიტორინგის შედეგად მოძიებული ენობრივი მასალის შეგროვება და პირველადი დამუშავება;

კვლევის პირველი ეტაპი:

პატრიოტიზმის შესახებ არსებულ წარმოდგენათა ექსტრალინგვისტური შინაარსის აღწერა ფილოსოფიური და ენციკლოპედიური ლექსიკონების, ფილოსოფიური, სამეცნიერო, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებების მასალებზე დაყრდნობით;

კონცეპტის სემანტიკური მოცულობის განსაზღვრა თანამედროვე ინგლისური ენის

ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში: კონცეპტის ვერბალიზატორთა სალექსიკონო დეფინიციების ანალიზი;

მიღებული მონაცემების შევსება ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური ფონდების ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემებით.

კვლევის მეორე ეტაპი:

კონცეპტის ვერბალიზატორთა შორის პარადიგმატულ და სინტაგმატურ მიმართებათა აქტუალიზაციის სპეციფიკის განხილვა;

კონცეპტის კონცეპტუალური შინაარსისა და კოგნიტური ნიშნების რეპერტუარის იდენტიფიცირება;

კონცეპტის სემანტიკური სტრუქტურის მოდელირება;

კონცეპტის აქსიოლოგიური - კონცეპტისადმი დადებითი და უარყოფითი შემფასებლური დამოკიდებულებების - ველის კონსტრუირება.

კვლევის მესამე ეტაპი:

კონცეპტის ვერბალიზატორთა გამოყენების კონტექსტებისა და ინტერნეტ მონიტორინგით მიღებული მონაცემების ანალიზის გზით წინა ეტაპებზე გამოვლენილი კოგნიტური ნიშნების რეპერტუარის დაზუსტება.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონამცემთა ვერიფიკაცია თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ობიექტურობისა და სისრულის ვერიფიკაცია ასოციაციური განზომილების, კონცეპტუალური და სემანტიკური სივრცეების შემადგენლობათა ანალოგიზაცია-კონტრასტირების გზით.

ასოციაციური განზომილების კოგნიტურ-დისკურსული ბუნების კონცეფციას საფუძვლად დაედო „სიტყვის“ თეორია, რომელშიც სიტყვა განიხილება ადამიანის ერთიან პერცეპტიულ, კოგნიტურ და ინფორმაციულ ბაზაზე წვდომის საშუალებად.

კონცეფციის შემუშავებისას მნიშვნელოვან თეორიულ საფუძვლად გამოყენებულ იქნა შემდეგი იდეები და დებულებები:

„ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის სტრუქტურული და ოპერაციონალური პარამეტრების მოდელირება ეფუძნება „სიტყვა-სტიმული-რეაქცია“ შინაარსობრივი კავშირის ანალიზს;

სიტყვის იდენტიფიკაციისას ბუნებრივი სემიოზისის პროცესების მრავალდონიანი და მრავალეტაპიანი ხასიათის დესკრიფცია მოითხოვს კოგნიტურ, სემანტიკურ და სამეტყველო დონეზე ფუნქციონალური „საყრდენების“ გამოყოფას;

„ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის მთლიანობის (ერთიანობის) პრინციპი გულისხმობს ცოდნის ფუნქციონირების ორი ფორმის - შინაარსობრივი ველის სტრუქტურული და ოპერაციონალური პარამეტრების - გათვალისწინებას;

ასოცირებას გააჩნია კომუნიკაციური და პრედიკაციული ბუნება.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: რამდენადაც ეროვნული კულტურის კონცეპტუალური სფერო მთლიანობაში არის ინდივიდუალური, გენდერული, ასაკობრივი და სხვა ტიპის „სამყართა“ ინვარიანტული კონსტრუქტი, რომელიც ვალიდურია კონკრეტული ეთნოსის მსოფლმხედველობის ფარგლებში ეთნოსის სულიერი ევოლუციის ამა თუ იმ ეტაპზე, საფიქრებელია, რომ რეაქციები სიტყვა-სტიმულზე „პატრიოტიზმი“ უნდა სხვაობდნენ თანამედროვე ინგლისურის, როგორც მშობლიური ენის, მატარებელ რესპონდენტთა ასაკის, სქესისა და კულტურული მახასიათებლების მიხედვით.

კვლევის მეთოდოლოგია ხასიათდება კომპლექსურობით: „ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის კვლევამ მოითხოვა ანალიზის მიმართ კოგნიტურ-დისკურსული მიდგომის თეორიული დასაბუთება, ასევე სპეციალური მეთოდიკისა და ექსპერემენტალური პროცედურების შემუშავება, რომლებიც ორიენტირებულია შინაარსის შემქმნელი პროცესების (ბუნებრივი სემიოზისის) აქტუალიზაციაზე.

ასოციაციური განზომილების ანალიზის მიმართ კოგნიტურ-დისკურსულმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა სიტყვის იდენტიფიკაციის პროცესებისა და შედეგების ფუნქციური სპეციფიკის დადგენა სიტყვის შინაარსობრივი ველის კოგნიტურ, სემანტიკურ და სამეტყველო (დისკურსულ) დონეებზე.

კოგნიტურ-დისკურსულმა მიდგომამ მოითხოვა ასოციაციური განზომილების ანალიზის ორდონიანი მეთოდიკის შემუშავება. მოცემული მეთოდიკა ემყარება სიტყვა-სტიმულსა

და რეაქციას შორის შინაარსობრივი კავშირების ანალიზს.

„ცოცხალი“ სიტყვით წარმოდგენილი შინაარსობრივი ველის სტრუქტურული პარამეტრების რეკონსტრუქციისა და მოდელირების პროცედურათა კომპლექსმა მოიცვა:

მიღებული ასოციაციური რეაქციების მთელი კორპუსის სტრუქტურურება სიხშირის მიხედვით და ამ საფუძველზე ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვის გამოყოფა;

რეაქციებსა და სიტყვა-სტიმულს შორის აზრობრივი კავშირების რეკონსტრუქცია;

რეაქციათა კლასიფიკაცია აზრობრივი კავშირის ტიპის შესაბამისად და ამის საფუძველზე კოგნიტური ფენების განსაზღვრა;

სიტყვის მნიშვნელობის კოგნიტური სტრუქტურის მოდელირება;

სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის მოდელირება რეაქციების სემანტიკური მახასიათებლების გათვალისწინების საფუძველზე.

სიტყვის მნიშვნელობის სტრუქტურული პარამეტრების ანალიზმა ასოციაციური განზომილების ფარგლებში მოიცვა ისეთი ფუნქციონალური საყრდენების მოდელირების საშუალება, როგორებიცაა: ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვი, სიტყვის კოგნიტური და სემანტიკური სტრუქტურები.

სტრუქტურული პარამეტრების მოდელირება არა მხოლოდ აფიქსირებს მნიშვნელობების ერთობლიობას, რომელიც მიღებულია აზრთწარმომქმნელი აქტივობის შედეგად, არამედ აფასებს კიდევ მათ კულტურული ღირებულებების, ენის მატარებელთა ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად.

ოპერაციონალური პარამეტრების მნიშვნელობათა მოდელირების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ცოდნის მიღების პროცესები და მექანიზმები თავისთავად მიუწვდომელია ცნობიერი ინტროსპექციისათვის - ისინი დაფარულია ცოდნის მაძიებელი სუბიექტისაგან.

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ოპერაციონალური პარამეტრების კვლევის მეთოდის შემუშავებისას კვლევაში გათვალისწინებულია დებულება სამეტყველო

ქმედების მრავალეტაპიანი და მრავალდონიანი ხასიათის შესახებ, რამაც მოგვცა ხერხებისა და პროცედურების შემდეგი რეპერტუარის ჩამოყალიბების საშუალება:

„სიტყვა-სტიმული-რეაქცია“ შინაარსობრივი კავშირის ანალიზი;

„სიტყვა-სტიმული-რეაქცია“ შინაარსობრივი კავშირის ანალიზის საფუძველზე კოგნიტური სქემების გამოყოფა;

რეაქციების სემანტიკის ექსპლიკაციის საფუძველზე კოგნიტური ოპერაციების მოდელირება - კოგნიტური ოპერაციების გამოყოფა, რომელთა მეშვეობითაც ჩამოყალიბდა ასოციაციური განზომილების ბირთვი და პერიფერია.

ბუნებრივი სემიოზისის პროცესების დიფერენციაციის შემდეგ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს წარმოდგენათა კოდირების ფორმატი, რომლის შედეგად სიტყვის იდენტიფიკაციის პროცესები შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც გარკვეულ მახასიათებელზე, ისე ერთიან კომპლექსზე ან სიტუაციაზე დაყრდნობით, რაც ასოციაციური კავშირის დამყარების ორ კოგნიტურ სქემას გამოყოფს: სახელი - ნიშანი (მახასიათებელი); სახელი - ერთიანი კომპლექსი ან სიტუაცია.

სემანტიკურ დონეზე სიტყვის მნიშვნელობის იდენტიფიკაციის ძირითად მექანიზმებად გამოყენებულია კოგნიტური ოპერაციები, რომლებიც აქტიურ როლს თამაშობენ აზრწარმოქმნაში. ინდივიდის გამოცდილებაში ჩამოყალიბებული კოგნიტური ოპერაციები წარმოადგენენ გარკვეულ მატრიცას ინფორმაციის ეკონომიური და ეფექტური დამუშავებისათვის, რამდენადაც ახდენენ ცოდნის შინაარსისა და შემდგომში ცოდნის მიღების სტრატეგიის დეტერმინაციას.

სტრატეგიების, სქემების და კოგნიტური ოპერაციების გარკვეულმა რეპერტუარმა ჩამოაყალიბა ოპერაციონალური ცოდნის ბლოკი. ცოდნის აღნიშნული ტიპი არ გაიაზრება შემსწავლელი სუბიექტის მიერ, თუმცა მისმა სტრუქტურირებულობამ უზრუნველყო სტაბილური ბირთვის გამოყოფის შესაძლებლობა.

კვლევაში გამოყენებულია სემანტიკური დეკომპოზიისა და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდები, ექსპერიმენტული მეთოდი, კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, ასევე ანალიზის ზოგადმეცნიერული ფორმები, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, ანალოგიზაცია, კონტრასტირება და მოდელირება.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კომპლექსურ აღწერასა და მისი ასოციაციური განზომილების, როგორც ინდივიდუალური, გენდერული, ასაკობრივი და კულტურული ტიპის „სამყართა“ ინვარიანტული კონსტრუქტის გააზრებაში.

კვლევის თეორიული ღირებულება განისაზღვრება:

ინტერპარადიგმულობით - კვლევაში სინთეზირებულია სისტემურ-სტრუქტურული და ანთროპოცენტრისტული პარადიგმების ფარგლებში შემუშავებული სემანტიკური დეკომპოზიისა და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდები;

ლინგვისტურად ცენტრირებული ინტერგრაციულობით - კვლევაში ინტეგრირებულია ლინგვოკოგნიტოლოგიის, ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეები;

ინტერდისციპლინარიზმით - კვლევა განხორციელებულია ლინგვისტიკის, აქსიოლოგიის, კულტუროლოგიისა და სოციოლოგიის კვეთაზე.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს კვლევის შედეგების ვალიდურობა კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის სასწავლო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემები - რეაქციები სიტყვა-სტიმულზე „პატრიოტიზმი“ თანამედროვე ინგლისურ ენაში. საკვლევი კონცეპტის კონცეპტუალური შინაარსი და სემანტიკური მოცულობა განისაზღვრა ლექსიკოგრაფიული წყაროებზე დაყრდნობით, ასევე ინგლისური ენის ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური ფონდების ანალიზის გზით.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და მეცნიერული სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I. ფსიქოლინგვისტიკა, კონცეპტოლოგია და ლინგვოკულტუროლოგია

1.1. ენის, აზროვნებისა და კულტურის მიმართების საკითხი ფსიქოლინგვისტიკაში

ენის, აზროვნებისა და კულტურის მიმართების საკითხს ცენტრალური ადგილი უკავია ფსიქოლინგვისტიკაში. ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ფიქრობდნენ, აუცილებელია თუ არა მეტყველება ან ენა აზროვნებისთვის. შეგვიძლია, ვიფიქროთ ენის გარეშე? ახდენს თუ არა ენა გავლენას კულტურაზე? ახდენს თუ არა ენა გავლენას ჩვენი აღქმის ბუნებაზე? ახდენს თუ არა ენა გავლენას ჩვენს შეხედულებაზე საზოგადოებასა და სამყაროზე?

როგორც ჩანს, ადამიანების უმეტესობას მიაჩნია, რომ აზროვნება გარკვეულწილად ენაზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, გარკვეული ერთობის ფონზე მაინც იკვეთება ოთხი განსხვავებული თვალსაზრისი:

მეტყველება აუცილებელია აზროვნებისთვის. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ხმამაღლა საუბარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზროვნებას ვერ განვახორციელებთ;

ენა აუცილებელია აზროვნებისთვის. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ენა, უფრო ზუსტად კი ის, თუ როგორ უნდა პროდუცირდეს მეტყველება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ განვახორციელებთ აზროვნებას;

ენა განსაზღვრავს ან აყალიბებს ჩვენი აღქმის ბუნებას. ენის სწავლა განსაზღვრავს ან გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ ფიზიკურ სამყაროს ვიზუალურად, სმენით და ა.შ.

ენა განსაზღვრავს ან აყალიბებს ჩვენს მსოფლმხედველობას. ენის შესწავლა განსაზღვრავს ან გავლენას ახდენს ჩვენ მიერ კულტურისა და სამყაროს გააზრებაზე.

მეტყველება აუცილებელია აზროვნებისთვის: ამ შეხედულების მომხრეები თვლიან, რომ აზროვნება არის ერთგვარი ქცევა, რომელიც წარმოიშობა მეტყველების პროდუცირებიდან. როგორც წესი, ასეთი თეორიები ასოცირდება ბიჰევიორისტებთან, რომელთაც სურთ განთავისუფლდნენ გონებისა და მენტალიზმისაგან ფსიქოლოგიაში, ლინგვისტიკასა და ფილოსოფიაში და შეცვალონ აზრის ან შემეცნების ცნება იმით, რაც ფიზიკურად შესამჩნევია ან პოტენციურად შესამჩნევია. ამ შეხედულების მომხრეები აზროვნებას განსაზღვრავენ როგორც სუბვოკალურ მეტყველებას ან ქცევას და არა რაღაც

გონებრივს, როგორც ეს ფსიქოლოგიის ტრადიციული თვალსაზრისითაა აღიარებული.

შემდეგი მოსაზრებები ახასიათებს თეორიას იმის შესახებ, რომ აზროვნება წარმოიშობა პროდუცირებული მეტყველებისგან: უმარტივესი და დამაკმაყოფილებელია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ აზროვნება უბრალოდ ქცევაა - ვერბალური თუ არავერბალური, ფარული თუ აშკარა. ეს არ არის რაღაც იდუმალი პროცესი, რომელიც პასუხისმგებელია ქცევაზე, არამედ თავად ქცევაა მისი მაკონტროლირებელი ურთიერთობების ყველა სირთულესთან მიმართებაში, როგორც ადამიანების ქცევის, ისე იმ გარემოს მიმართ, სადაც ადამიანები ცხოვრობენ (Skinner/სკინერი, 1957).

აღნიშნულ თეორიას ახასიათებს შემდეგი მოსაზრებაც: წიგნიერმა ადამიანმა შეძლო შეემცირებინა მეტყველების მოძრაობები იქამდე, სანამ ისინი უჩინარნი არ გახდნენ, ანუ მან შეიმუშავა შიდა შემცვლელი მოძრაობების სისტემა, რომელიც მას ემსახურება პირადი მიზნებისათვის, როგორებიცაა: აზროვნება და ჩუმი კითხვა, მოსმენილი მეტყველების ბგერების ნაცვლად (Bloomfield/ ბლუმფილდი, 1961).

აღნიშნულ თვალსაზრისს ეხმიანება შემდეგი თვალსაზრისი: არტიკულაციური მოძრაობები და მათი სენსორული ეფექტები შუამავალია აკუსტიკურ სტიმულსა და მოვლენას შორის, რომლებსაც ჩვენ აღქმას ვუწოდებთ (Lieberman/ლიბერმანი, 1957).

ლიბერმანმა შემოგვთავაზა მეტყველების აღქმის მოტორული თეორია, რომლის მიხედვითაც, სანამ მეტყველების გაგებას შევძლებთ, ჯერ სუბვოკალურად ან შინაგანად უნდა გავიმეოროთ ის, რაც სხვა ადამიანმა თქვა. მხოლოდ ამ წინასწარი მოტორული მოქმედებით შეგვიძლია გავიგოთ მეტყველება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროტესტს იწვევს მოსაზრებები თეორიის ადეკვატურობასთან დაკავშირებით. ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის წინააღმდეგობები, რომლებმაც გააჩინა საფუძვლიანი ეჭვები თეორიის ადეკვატურობის მიმართ. ეს წინააღმდეგობები შემდეგნაირადაა ფორმულირებული: 1. ბავშვებს, რომლებსაც არ აქვთ მეტყველების უნარი, შეუძლიათ გაიგონ მეტყველება და იაზროვნონ; 2. ნორმალურ ბავშვებში მეტყველების გაგება, რაც გულისხმობს აზროვნებას, ვითარდება მეტყველების წარმოქმნამდე; 3. ერთდროულად ფიქრისას ხმამაღლა საუბარი რაღაც განსხვავებულზე ჩვეულებრივ ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში; 4. ტყუილის თქმა; 5. აზროვნება ხორციელდება ქცევის გარეშე. 6. ენათაშორისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ სათანადო სიტუაციებში მეტყველების უნარი არის ენის ცოდნის კარგი მაჩვენებელი, მეტყველების უნარის არარსებობა შეიძლება არ მიუთითებდეს ენის ცოდნის ნაკლებობაზე. ბევრი მსმენელი მუნჯი იბადება. ასეთი ადამიანები შეიძლება დაიბადონ ცერებრალური დამბლით ან რაიმე სხვა პათოლოგიით, რაც მათ უზღუდავს მეტყველების გამოხატვის შესაძლებლობას.

შეუძლია თუ არა მეტყველების უნარის არმქონე ადამიანს აზროვნება? - მოდით, ამ კითხვას ირიბად ვუპასუხოთ. თუ ადამიანს შეუძლია გაიაზროს მეტყველების მნიშვნელობა, მას უნდა ჰქონდეს აზროვნების უნარი. სასაცილო იქნება იმის მტკიცება, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ესმით მეტყველების მნიშვნელობა, მაგრამ ვერ აზროვნებენ. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ მეტყველების უნარის გარეშე პირებს შეუძლიათ აზროვნება, შესაბამისად, აშკარად მცდარია თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ მეტყველების პროდუცირების უნარი აუცილებელია აზროვნებისათვის.

ნორმალურ ბავშვებში მეტყველების გაგება, რაც გულისხმობს აზროვნებას, ვითარდება მეტყველების წარმოქმნამდე - განვითარების პროცესი იმაში მდგომარეობს, რომ მეტყველების გააზრება წინ უსწრებს მეტყველების პროდუცირებას, რომელიც გრძელდება ენის დაუფლების მთელი პროცესის განმავლობაში (Ingram/ინგრამი, 1989), იქნება ეს პირველი სიტყვები (კლარკი და ბარონი, 1988), სინტაქსის ფორმირება (Golinkoff/გოლინკოფი და Hirsh-Pasek/ჰირშ-პასეკი, 1995), თუ მოგვიანებით იდიომებისა და გადატანითი მნიშვნელობების გამოყენება მეტყველებაში (Levorato and Cacciari/ლევორატო და კასიარი, 1995).

გააზრებისა და პროდუცირების პროცესები ვითარდება პარალელურ რეჟიმში, პროდუცირება ყოველთვის ცდილობს, მიჰყვეს გააზრებას (Clark and Hecht/კლარკი და ჰეხტი, 1983).

Sachs and Truswell/საჩსა და ტრუსველმა (1978) დაადგინეს, რომ ბავშვებს, რომლებსაც შეეძლოთ მხოლოდ ერთი სიტყვის წარმოთქმა (ისინი მეტყველების წარმოების ერთი სიტყვის ეტაპზე იყვნენ), მაინც ესმოდათ ერთზე მეტი სიტყვისგან შემდგარი სინტაქსური სტრუქტურები. შედეგი იგივე იყო ბავშვისთვის Steinberg/სტაინბერგის (1975) კვლევაში: 2 წლის ბიჭმა ისწავლა მრავალი დაწერილი სიტყვის, ფრაზისა და წინადადების კითხვა (მნიშვნელობის გაგება), ვიდრე მათ წარმოთქმას შეძლებდა.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ, როგორც ნორმალური ბავშვებისთვის, ისე სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის მეტყველების გაგება არის გონებაში მეტყველების წარმოქმნის საფუძველი. ვინაიდან მეტყველების გაგების უნარი გულისხმობს აზრის არსებობას, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ მეტყველების უნარის რეალიზაცია აზროვნებისთვის აუცილებელი არ არის.

არც ტყუილის თქმა იქნებოდა შესაძლებელი, ფიქრი რომ ერთგვარი მეტყველება იყოს. ტყუილის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი რამ თქვა და სხვაზე ფიქრობდე. ბიჰევიორისტებს სურთ, გამოიყენონ წინადადების შექმნის ერთი პროცესი ორივე პროცესისთვის (პროდუცირებისა და აზროვნებისათვის).

თუმცა, რადგან არსებობს მხოლოდ ერთი წინადადების შემქმნელი აპარატი, ერთი წინადადების აშკარა გამოთქმა და სრულიად განსხვავებული წინადადების ფარული გამოთქმა ერთდროულად ვერ ხერხდება. ცხადია, რომ მოქმედმა ფსიქოლინგვისტურმა თეორიამ უნდა უზრუნველყოს განსხვავებული შინაარსის ორი განსხვავებული პროცესის ერთდროულად განვითარება.

აზროვნების წარმოშობის თეორიაში სკინერმა აღნიშნა, რომ ქცევითი პასუხები შეიძლება იყოს აზრის საფუძველი მეტყველების გამონათქვამებთან ერთად. ასეთი ქცევითი რეაქციები შეიძლება იყოს კუნთოვანი. როგორც ჩანს, სკინერმა გავლენა მოახდინა ზოგიერთი ბიჰევიორისტი ფსიქოლოგის მუშაობაზე, რომლებიც მისი თანამედროვენი იყვნენ 1950-იან წლებში. ბიჰევიორისტი ფსიქოლოგების სასიხარულოდ, ექსპერიმენტებმა აჩვენა რომ ელექტრული პოტენციალის ცვლილებები მოხდა სუბიექტების სხეულის გარკვეულ ნაწილებში, როდესაც სუბიექტებს ევალებოდათ, გაეფიქრებინათ გარკვეული მოტორული საქმიანობა. მაგალითად, ელექტრული პოტენციალის ცვლილებები მარჯვენა მკლავის კუნთში მოხდა იმ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა ამ ხელის აწევას. მათ დაასკვნეს, რომ აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა სხეულის ფიზიკური მოვლენების ანარეკლი. მაშინ ბევრ ფსიქოლოგს სჯეროდა, რომ მათ დაიწყეს მნიშვნელობისა და აზროვნების ლოკალიზება სხეულში, რათა ერთხელ და სამუდამოდ გონება განდევნილიყო ფსიქოლოგიიდან.

თუმცა დიდი დრო არ გასულა, სანამ ასეთი ფორმულირების არაადეკვატურობა აშკარა გახდებოდა. ამ თეორიის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ის არასწორ პროგნოზებს აკეთებს, რომ აზროვნების ან მნიშვნელობის კარგვა მოხდება სხეულის ნაწილების

დაზიანებით ან მოცილებით. სინამდვილეში, ადამიანები არ კარგავენ სიტყვების მნიშვნელობას და ვერ აზროვნებენ, როდესაც იკარგება კიდური ან ამოიღებენ ხორხს (Osgood/ოსგუდი, 1953, 1950). შეგახსენებთ იმ ცვლილებებს, რომლებიც შეეხო ფიზიკოს/ასტრონომს სტივენ ჰოკინგს და მსახიობს კრისტოფერ რივს. ჰოკინგმა დაკარგა მეტყველების უნარი, მაგრამ მაინც აკონტროლებდა სხეულს, ხოლო რივმა შეინარჩუნა მეტყველების უნარი, მაგრამ დაკარგა კონტროლი თავისი სხეულის უმეტეს ნაწილზე. შედეგი? ამ უშიშარმა ადამიანებმა უპასუხეს გამოწვევას საოცარი გონებრივი ძალისხმევით. ცხადია, არც ვოკალური აპარატის და არც მუსკულატურის კონტროლი არ არის რელევანტური აზროვნებისთვის.

დაახლოებით 70 წლის წინ მკვლევართა ჯგუფი (Smith and others/სმიტი და სხვები, 1947) დაინტერესდა, რა დაემართებოდა ადამიანის აზროვნებას, თუ ამ ადამიანის სხეული თითქმის მთლიანად პარალიზებული იქნებოდა. მათი გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ მკვლევარმა სმიტმა თავად გაიკეთა პრეპარატი, რომელიც დროებით იწვევდა სხეულის კუნთების სრულ დამბლას. ვინაიდან პრეპარატის მოქმედების გამო ფუნქციონირებას აგრძელებდა მხოლოდ გული და საჭმლის მომნელებელი სისტემა, სმიტს სუნთქვისთვის დასჭირდა რესპირატორის დახმარება.

როდესაც წამლის ეფექტი გაქრა, სმიტმა თქვა, რომ მან შეძლო მკაფიოდ აზროვნება. მან შეძლო გადაეჭრა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაჭრაც მას სხვა მკვლევარებმა დაავალეს. სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენებით სმიტმა გააკეთა მეცნიერული დასკვნა: ვინაიდან პარალიზებული იყო, მას ლაპარაკი საერთოდ არ შეეძლო და შეეძლო მხოლოდ სხეულის მინიმალური რეაგირება, ცხადია, რომ აზროვნება არ იყო დამოკიდებული სხეულის მოძრაობაზე ან მეტყველების ორგანოების მოძრაობაზე.

სეპირი, უორფი და ვიგოტსკი მიიჩნევენ, რომ ენის სისტემის ცოდნა აუცილებელია აზროვნებისთვის. თითოეული ენის ენობრივი სისტემა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრამატიკა) არის როგორც იდეების შემქმნელი, ისე საშუალება ინდივიდის გონებრივი საქმიანობისთვის, შთაბეჭდილებების ანალიზისთვის, მის საქმიანობაში ფსიქიკური მარაგის სინთეზისთვის. იდეების ფორმულირება არ არის დამოუკიდებელი და რაციონალური პროცესი - იგი კონკრეტული გრამატიკის ნაწილია (ბენჯამინ უორფი, 1940 წლის ნაშრომიდან (Carroll/კეროლი, 1956).

ამ თეორიაში იკვეთება ორი წინააღმდეგობა: 1. სმენადაქვეითებულ პირებს შეუძლიათ

ენის გარეშე აზროვნება; 2. მრავალენოვანი პირები სრულყოფილნი არიან აზროვნების თვალსაზრისით.

სმენადაქვეითებული ბავშვები თამაშობენ და მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში, ისევე გონივრულად და რაციონალურად იქცევიან კონკრეტულ გარემოში, როგორც - სმენის მქონე ბავშვები.

თუკი ვინმე მიიჩნევს, რომ ენა აზროვნების საფუძველია, მას მოუწევს ამტკიცოს, რომ ეს ბავშვები არ ფიქრობენ, რომ ისინი უბრალო რობოტები არიან.

ჩატარებული კვლევის მონაცემები არ მიუთითებს ნორმალურ და სმენადაქვეითებულ ადამიანებს შორის ინტელექტუალურ განსხვავებაზე, მიუხედავად იმისა, რომ სმენადაქვეითებული ადამიანის ენობრივი ცოდნა, ზოგადად, ძალიან შორს არის იმ ადამიანის ენობრივი ცოდნისგან, ვისაც ესმის. კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ სმენადაქვეითებული ბავშვები, რომლებიც გვიან იწყებენ მეტყველებას, არ განიცდიან აღქმის რადიკალურ ცვლილებას.

ახლა კი განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც ადამიანები ფლობენ ერთზე მეტ ენას. თუ ენობრივი სისტემა აყალიბებს აზროვნებას და, თუ სხვადასხვა ენა აყალიბებს განსხვავებული აზროვნების სისტემას, მაშინ ასეთი ადამიანები შექმნიან ერთზე მეტი აზროვნების სისტემას. თეორიის მიხედვით, შეუძლებელი იქნებოდა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება.

თუ დავუშვებთ, რომ მრავალენოვან პირებს გაჩნიათ ერთზე მეტი აზროვნების პროცესი (თითო - თითოეულ ენაზე), უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ პირებს არ შეეძლებათ თანმიმდევრულად აზროვნება, ასეთ ადამიანებს გაუჭირდებათ ერთ ენაზე მიღებული ცოდნის სხვა ენაზე გამოყენება, ვინაიდან, ამ თეორიის თანახმად, აზროვნება უნდა იყოს ერთ დეტერმინირებული და არა უნივერსალური. თუმცა, მულტილინგვურ პირებთან ამ ტიპის პრობლემის არსებობა ჯერ არ დაფიქსირებულა.

ფსიქოლოგები ცდილობდნენ დაადგინონ, თუ რა გავლენა აქვს ენის ლექსიკის ცოდნას აღქმაზე ან ქცევაზე.

მკვლევრებმა დაადგინეს: ლექსიკა კი არ განსაზღვრავს ჩვენს ინტერესებსა და საჭიროებებს, არამედ ჩვენი ინტერესი და საჭიროება განსაზღვრავს ჩვენი ლექსიკის

წარმოშობასა და მისი გამოყენების სპეციფიკას. დღესდღეობით ადამიანებმა ცოტა რამ იციან ცხენებთან დაკავშირებულ ლექსიკაზე და ბევრი რამ იციან ავტომობილებთან, მათ ნაწილებთან და ფუნქციებთან დაკავშირებულ ლექსიკაზე. მას შემდეგ, რაც ლექსიკა ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, იგი გავა ხმარებიდამ.

რა მიმართებაა ლექსიკის სიმწირესა და კონცეპტის არსებობას შორის? - ლექსიკის სიმწირე არ წარმოადგენს კონცეპტის არსებობის კარგ საზომს. ენის ლექსიკა არ წარმოადგენს კონცეპტების ჯამს, რომელიც შეიძლება გააჩნდეს ადამიანს ან კულტურას. გამოცდილება ყოველთვის არ მიგვიყვანს ლექსიკური ერთეულების შექმნამდე - ზოგჯერ ჩვენ ფრაზების შექმნას ვირჩევთ. ჩვენ შეგვიძლია გვჯეროდეს რაღაც განსხვავებულის, რასაც სიტყვასიტყვით განსაზღვრავს ენა - ენის ფორმის უწყვეტმა გამოყენებამ შეიძლება არ შეცვალოს ძირეული აზრი. ჩვენ ვიცით, რომ მზე ან ამოდის, ან ჩადის, რამდენჯერაც არ უნდა გავიგოთ ხალხის ნათქვამი, ან ჩვენ თვითონ რამდენჯერაც არ უნდა ვთქვათ ეს.

საბოლოოდ, ლექსიკური ერთეულის არარსებობა არ მიუთითებს კონცეპტის არარსებობაზე.

ზოგიერთ თეორეტიკოსს მიაჩნია, რომ თუნდაც ენა გარკვეულწილად განსხვავდებოდეს აზრისგან, ენის ცოდნა თავისთავად განაპირობებს და გავლენას მოახდენს ადამიანის კულტურულ, სოციალურ რწმენაზე ან მსოფლმხედველობაზე.

ენა არის გზამკვლევი „სოციალურ რეალობაში“. ადამიანები არ ცხოვრობენ მხოლოდ ობიექტურ სამყაროში და არც მხოლოდ საზოგადოებრივი საქმიანობის სამყაროში - ადამიანები ემორჩილებიან იმ კონკრეტულ ენას, რომლითაც საზოგადოება თავის თავს გამოხატავს. არ არსებობს ორი საკმარისად მსგავსი ენა, რომლებიც ერთსა და იმავე სოციალურ რეალობას წარმოადგენს. სამყაროები, სადაც სხვადასხვა საზოგადოება ცხოვრობს, განსხვავებულია და არა უბრალოდ ერთი და იგივე სამყარო, განსხვავებული წარწერებით (Sapir/სეპირი, 1929).

მოკლედ განვიხილოთ შემდეგი დებულებები: 1. ერთი და იგივე ენა და განსხვავებული მსოფლმხედველობა; 2. განსხვავებული ენები და მსგავსი მსოფლმხედველობა; 3. ერთი და იგივე ენა და დროში ცვალებადი მსოფლმხედველობა; 4. მრავალენოვნება და უნიტარული მსოფლმხედველობა.

ერთი და იგივე ენა და განსხვავებული მსოფლმხედველობა:

განვიხილოთ შეერთებული შტატების მაგალითი - აქ ერთი და იმავე მშობლიური (ინგლისურის) ენის მატარებლები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფილოსოფიური, რელიგიური და პოლიტიკური იდეოლოგიის თვალსაზრისით. ვარიაცია შეინიშნება ერთი ოჯახის ფარგლებშიც კი. მაგალითად, განვიხილოთ ინგლისურენოვანი ერთენოვანი ოჯახი, სადაც დედა ათეისტია, მამა ქრისტიანი, ქალიშვილი მუსლიმი, ხოლო ვაჟიშვილი ბუდისტი. თუ მართალია, რომ ენა გავლენას ახდენს ან განსაზღვრავს ადამიანის მსოფლმხედველობას, მაშინ ჩვენ უნდა ველოდოთ რელიგიური მსოფლმხედველობის ერთგვაროვნებას, ვინაიდან ოპერირებს მხოლოდ ერთი ენობრივი სისტემა - ინგლისური. ერთ-ერთი თვალსაზრისის თანახმად, ჩვენ არ უნდა ველოდოთ განსხვავებებს მსოფლმხედველობაში ერთი და იმავე მშობლიური ენის მატარებელთა შორის, რადგან მათი მსოფლმხედველობა დეტერმინირებულია ენით. ეს დებულება აშკარად მცდარია, ვინაიდან სახეზეა ერთი და იმავე მშობლიური ენის მატარებელთა მსოფლმხედველობის არაერთგვაროვნება.

განსხვავებული ენები და მაინც მსგავსი მსოფლმხედველობა:

ბევრ მრავალენოვან ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს მსგავსი პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, მეცნიერული და ფილოსოფიური შეხედულებები. თუ ენობრივი სისტემა გავლენას ახდენს ან განსაზღვრავს მსოფლმხედველობას, მაშინ განსხვავებული ენის მატარებელ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ განსხვავებული მსოფლმხედველობა. ეს დებულება მცდარია: ქრისტიანულ მოძღვრებას იზიარებენ მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეები. ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამში და კუბაში კომუნისტურ იდეოლოგიას იზიარებენ განსხვავებული ენების მატარებლები.

ერთი და იგივე ენა და დროში ცვალებადი მსოფლმხედველობა:

საზოგადოებამ შეიძლება შეიცვალოს სოციალური სტრუქტურა და მსოფლმხედველობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ენა შედარებით უცვლელი რჩება. ფორმაციათა ცვლა არ აისახება გრამატიკაზე.

მრავალენოვნება და უნიტარული მსოფლმხედველობა:

ერთ-ერთი თვალსაზრისის თანახმად, თუ ადამიანი მრავალენოვანია, მას ექნება იმდენი მსოფლმხედველობა, რამდენი ენობრივი სისტემითაც ოპერირებს. თუ ეს ასეა, ორენოვანი ადამიანი არადეკავტური იქნება.

1.2. სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაცია

კულტურულ ღირებულებათა შექმნის, შენარჩუნებისა და გადაცემის მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს ეროვნულობით დეტერმინირებული სამყაროს კონცეპტუალიზაციის გზა. ეთნოსის მიერ სამყაროს ხედვის ენობრივად დეტერმინირებულობის იდეას საფუძველი ჩაუყარა ვ.ფონ ჰუმბოლდტმა: „ხალხის ენა და სულიერი ძალა არ ვითარდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და თანმიმდევრულად - ხალხის ენა და სული განუყოფელია ერთმანეთისაგან - ისინი წარმოადგენს ინტელექტუალური უნარის ერთი და იმავე ქმედებას“ (Гумбольдт/ჰუმბოლდტი, 2000). ჰუმბოლდტს ეკუთვნის ცნობილი თეზისი: „ხალხის ენა მისი სულია, ხალხის სული კი მისი ენაა და ძნელი წარმოსადგენია რაიმე უფრო იდენტური“ (ჰუმბოლდტი, 2000). სწორედ ამ თეზისიდან „ამოიზარდა“ თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგია.

სწორედ ეს იდეები გადაიქცა სეპირისა და უორფის ლინგვისტური ფარდობითობის თეორიად. ამერიკელი ინდიელების ენების შესწავლისას მეცნიერები მივიდნენ ერთ დასკვნამდე: ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ სამყაროს აღვიქვამთ უშუალოდ: სინამდვილეში, საგნებზე გვექმნება ის წარმოდგენა, რომელსაც ენა გვთავაზობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი ერის ენა თავისებურად ანაწევრებს სამყაროს, „ხაზავს“ წრეს, რომლის მიღმაც გასვლა შეუძლებელია სხვა ენის ცოდნის გარეშე. სწორედ ჩვენი ენის ფორმები გვაწვდიან არა მხოლოდ ჩვენი აზროვნების ფორმებს, არამედ ჩვენი ქცევის ფორმებსაც. „საქმე ისაა, რომ „რეალური სამყარო“ მნიშვნელოვანწილად ყალიბდება სოციალური ჯგუფის ენობრივი უნარების საფუძველზე... ჩვენ ვხედავთ, გვესმის და აღვიქვამთ რეალობას ასე და არა სხვაგვარად, ვინაიდან საზოგადოების ენობრივი უნარები წინასწარ განსაზღვრავენ რეალობის ინტერპრეტაციის შესაძლებლობას“ (სეპირი, 1993). უორფი აღიარებს ენის დომინანტურ როლს ცნებათა ფორმირებაში. ენა ავტომატურად თავს გვახვევს რეალობის აღქმის ფორმას. ამრიგად, ჩვენ „საქმე გვაქვს ფარდობითობის ახალ პრინციპთან, რომლის მიხედვითაც დამკვირვებლები ერთნაირად აღიქვამენ სინამდვილეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი ენობრივი უნარები მსგავსია“ (Уорф/უორფი, 1960), (უორფი, 1960).

ამრიგად, სეპირისა და უორფის ნაშრომებში ცხადად იკვეთება იდეა ენის პრიორიტეტული როლის შესახებ ადამიანის შემეცნებით-ორიენტაციულ საქმიანობაში. აზროვნების ფორმები არავითარ შემთხვევაში არ არის უნივერსალური, ისინი,

გარკვეული გაგებით, დეტერმინირებულია მშობლიური ენის კატეგორიებით, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენს გარკვეულ ნიმუშებს, შაბლონებს, ჩარჩოებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი ითვისებს გარემოდან გრძნობის ორგანოებით მიღებულ ინფორმაციას.

მოგვიანებით კოგნიტური ლინგვისტიკის დებულებების წარმატებით გამოყენების წყალობით, ეს ფუნდამენტური იდეები განვითარდა და გარდაიქმნა „სამყაროს ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის“ მეცნიერულ კონცეფციად. დღეს სამყაროს ლინგვისტური კონცეპტუალიზაცია განიხილება ადამიანის კოგნიციის ძირითად კომპონენტად - "კონცეპტუალიზაციად". ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პროცესს, რომელიც გულისხმობს მიღებული ინფორმაციის გააზრებას, რომლის შედეგადაც ყალიბდება კონცეპტები, კონცეპტუალური სტრუქტურები და ადამიანის ფსიქიკაში არსებული მთელი კონცეპტუალური სისტემა.

„კონცეპტუალიზაცია უკიდურესად ზოგადი ცნებაა, რომელიც გულისხმობს შემეცნების ორიენტაციას როგორც შემეცნების ობიექტის სხვადასხვა მხარეზე, ისე მთლიანად შემეცნების ობიექტზე ... თუ კონცეპტუალიზაციის ობიექტი მთელი სამყაროა, სხვადასხვა კავშირებითა და მიმართებებით მის ფრაგმენტებს შორის, ჩვენ ვსაუბრობთ სამყაროს კონცეპტუალიზაციაზე“ (Радниль/რადბილი, 2017)/

კონცეპტუალიზაცია ის მენტალური აქტივობაა, რის შედეგადაც გარედან, გრძნობების მეშვეობით მიღებული მონაცემების საფუძველზე აზროვნებაში ხდება „სამყაროს დანაწევრება“, სხვა სიტყვებით, ყალიბდება აზრობრივი ხატები და ფორმები, „მენტალური რეპრეზენტაციები“ „სამყაროს შესახებ ცოდნის ფორმატები“ (Куррякова/კურბრიაკოვა, 1994), „ცოდნის ახალი კვანტები“. ეს არის გარე გარემოს შესახებ არსებული ქაოტური ინფორმაციის ერთგვარი „შეფუთვა“, რაც სძენს ინფორმაციას ფორმასა და სტრუქტურას.

შემეცნებითი აქტივობა ხორციელდება ნიშნობრივი ფორმების მეშვეობით.

კონცეპტუალიზაციის თითოეული ტიპი წარმოადგენს რეალობის განსაკუთრებულ ნიშნობრივ მოდელს. ასეთ მოდელებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი სამყაროს ენობრივ მოდელირებას უჭირავს. თუ დანარჩენი კონცეპტუალური სისტემები ასახავენ სინამდვილის რომელიმე სფეროს, ენა არის უნივერსალურ ნიშანთა სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სამყაროში არსებული ნებისმიერი სფეროს და ყველა

შესაძლო სიტუაციის კონცეპტუალიზაცია. სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაცია არის უპირველესი საფუძველი სხვა სახის კონცეპტუალიზაციისთვის (სამეცნიერო, რელიგიური, მხატვრული და სხვ.). „პირველ რიგში, სწორედ ენაშია აღბეჭდილი ადამიანის და, ზოგადად, ეთნოსის სულიერი მოღვაწეობის სფეროში არსებული ყველა მიღწევა. ენა ერთგვარად „გვინერგავს“ გარკვეულ წარმოდგენებს საგნებზე და განსაზღვრავს გონებრივი აქტივობის ბუნებასა და მიმართულებას“ (რადბილი, 2017).

„ენა წარმოადგენს კულტურულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაგროვებისა და შენახვის საშუალებას. თანამედროვე მშობლიური ენის მატარებელთათვის ზოგიერთ ერთეულში ეს ინფორმაცია იმპლიციტურია, დაფარულია საუკუნოვანი ტრანსფორმაციებით, რომელთა წვდომა მხოლოდ ირიბადაა შესაძლებელი. მაგრამ ის არსებობს და „მუშაობს“ ქვეცნობიერის დონეზე (მაგალითად, ინფორმანტებს სიტყვა-სტიმულზე „sun“, სხვა ასოციაციებთან ერთად, უჩნდებათ მითის სემანტიკიდან წამოსული ასოციაციები: მთვარე, ცა, თვალი, ღმერთი, თავი და ა.შ.)“ (Маслова/მასლოვა, 2001).

რეალობის ენობრივი ათვისების პროცესში კონკრეტული ენის მატარებლები აყალიბებენ გარკვეულ წარმოდგენებს, რომლებიც აისახება მათი მშობლიური ენის ერთეულებში. ეს წარმოდგენები აისახება ენობრივი ერთეულების სემანტიკაში, ასე, რომ, ენის, კერძოდ კი, სიტყვების მნიშვნელობების დაუფლებისას, მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე სუბიექტი „ერწყმის“ ამ წარმოდგენებს. ეს უკანასკნელნი კი განაპირობებენ ენის მატარებელთა კულტურის სპეციფიკას.

მშობლიური ენის ერთეულები მოიცავს გარკვეულ "აზრთა კონფიგურაციას", რომელიც ამ ფორმით არ არის წარმოდგენილი სხვა ენებში მაშინაც კი, როცა ამ ერთეულებს გააჩნიათ ლექსიკონში ფიქსირებული შესატყვისები სხვა ენობრივ სისტემებში. როდესაც ადამიანები ბავშვობიდან სწავლობენ მშობლიურ ენას, ენასთან ერთად აღიქვამენ ეროვნულად დეტერმინირებული აზროვნების ზოგიერთ კატეგორიას და სქემას, სამყაროს ასე და არა სხვაგვარად ხედვის ჩვევას. კონკრეტული ენის მატარებლები აღიქვამენ ამ "აზრთა კონფიგურაციას", როგორც ერთადერთ შესაძლო გზას ამა თუ იმ ფენომენის ამგვარად კონცეპტუალიზაციისა და გაგებისთვის. კონკრეტული ენის მატარებელთათვის ეს გზაა ჭეშმარიტი და სანდო, ვინაიდან ყველაზე მეტად იგი შეესაბამება რეალობას. სწორედ ამაში ჩანს სამყაროს ენობრივი კონცეპტუალიზაციის დომინანტური

მნიშვნელობა მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა ეროვნული მსოფლგანცდის ჩამოყალიბებაში.

ამრიგად, თანამედროვე კოგნიტურად ორიენტირებულ ლინგვოკულტუროლოგიურ მიმართულებაში სამყაროს ლინგვისტური კონცეპტუალიზაცია გაგებულია როგორც რეალობის კოგნიტური მოდელირების ორგანიზებული პროცესი. ამ პროცესის მთავარი შედეგი კი, თავის მხრივ, არის „სამყაროს ენობრივი ხატის“ ფენომენი.

1.3. ენობრივი კონცეპტუალიზაციის ფსიქოლინგვისტური საფუძვლები

ენობრივი ფენომენების ანალიზისათვის არ არის საკმარისი წმინდა ენობრივი მეთოდოლოგია - ნათელია ახალი მიდგომების გამოყენების აუცილებლობა. ფსიქოლინგვისტიკაში ფიქსირდება კვლევის ხარვეზები, კერძოდ: სენსორული, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მეხსიერების ურთიერთკავშირის სტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე განსაზღვრული და, შესაბამისად, კონცეპტუალიზაციის ღრმა ანალიზის საფუძველი ბოლომდე არ არის შესწავლილი.

ფსიქოლინგვისტურ მეთოდოლოგიას აქვს უდიდესი განმარტებითი ძალა კონცეპტუალიზაციის კოგნიტურ პროცესთან მიმართებაში. ამავე დროს, სხვადასხვა კულტურის შედარებითი ანალიზის შემთხვევაში, აქტუალური ხდება კულტურული კვლევებისა და ეთნოლოგიის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური აპარატის დამატებითი გამოყენების აუცილებლობა.

ანთროპოცენტრისტულმა პარადიგმამ მისცა ლინგვისტებს ისეთი მეცნიერებების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენების საშუალება, როგორიცაა ეთნოგრაფია, ეთნოლოგია, კულტუროლოგია და ნევროლოგიაც კი.

ყველაზე მნიშვნელოვნად წარმოგვიდგება ფსიქოლოგიის კონცეპტუალურ-კატეგორიული აპარატი, რადგან მხოლოდ მისი დახმარებითაა შესაძლებელი ისეთი რთული ლინგვისტური მოვლენის ზუსტად ახსნა, როგორიცაა კონცეპტუალიზაცია.

კონცეპტის ლექსიკური „შემავსებლის“ ანალიზისას კვლევა კონცენტრირებულია

პრობლემებზე, რომლებიც ეხება ამა თუ იმ ლექსემის მნიშვნელობას და, შესაძლოა, მათ ეტიმოლოგიას. ამ შემთხვევაში აღრეულია ტერმინები „კონცეპტი“ და „ლექსემა“ და სხვაობა მათ შორის გამქრალია.

მეორე მიდგომა „სინტაქსურია“ და აქცენტს აკეთებს ლექსემის, როგორც წინადადებაში კონცეპტის რეპრეზენტატორის, კვლევაზე. აქედან გამომდინარეობს კონცეპტის ახსნა მისი იმ მნიშვნელობით, რომელსაც გვიჩვენებს მისი სტატუსი კონკრეტულ შემთხვევაში. ასეთ მიდგომასაც აქვს შეზღუდვა, რადგან წინადადება მხოლოდ ტექსტის ნაწილია, ამიტომ მისი განხილვა კონტექსტისგან იზოლირებულად არ შეიძლება.

ყველაზე რაციონალური „დისკურსიული“ მიდგომა გახლავთ, რადგან მისი ჩარჩოს ფარგლებში კონცეპტები განიხილება კოჰერენტული დისკურსის კონტექსტში, რომელიც შეიცავს ბმულების კვლევას სხვადასხვა კონცეპტებსა და ლექსემებს შორის, იდეებს შორის კავშირის დადგენასა და მრავალმნიშვნელოვანი ტექსტებისთვის მიკროსტრუქტურის შექმნას. მაგრამ ამ მიდგომის გამოყენებისას მკვლევარის წინაშე დგება სუფთა ენობრივი მეთოდოლოგიური ხერხების უკმარისობის პრობლემა.

ბევრი მკვლევარი კონცეპტებს განიხილავს როგორც მსოფლიოს ენობრივი ხატის მინიმალურ ერთეულებს. მეცნიერთა თვალსაზრისით, ობიექტური რეალობა ჩვენს ცნობიერებაში აისახება კონცეპტების სახით, ხოლო კონცეპტები გარდაიქმნება სიტყვებად. კონცეპტების, როგორც ობიექტური რეალობის შემეცნების ფორმების, შინაარსი ერთნაირია ყველა ადამიანისთვის, განურჩევლად იმისა, თუ რომელ ენაზე საუბრობენ ისინი. მაგრამ განსხვავებული ენები არა მხოლოდ სხვადასხვანაირად აღნიშნავენ ერთსა და იმავე საგანს, არამედ ასახავენ ამ საგნის სხვადასხვა ხედვას, ანუ სამყაროს ნაციონალურ ხედვას.

კონცეპტის განსაზღვრება შეიძლება იყოს კულტუროლოგიური, ლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური. კულტუროლოგიური განსაზღვრების კვინტესენციას წარმოადგენს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, კონცეპტი არის მნიშვნელობათა მრავალკომპონენტური ქსელი, რომელსაც გააჩნია ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, დიალოგიური და სხვა ტიპის განზომილებები.

წმინდა ენობრივ მიმართულებას შეიძლება მივაკუთვნოთ მოსაზრება, რომელიც კონცენტრირდება სიტყვის სემანტიკაზე, უფრო სწორად, სემანტიკური ველის ბირთვულ

სქემებზე.

ჩვენი კვლევისათვის რელევანტურია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, კონცეპტი დისკრეტული მენტალური წარმონაქმნია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის საზოგადო კოდის საბაზო ერთეულს, აქვს შედარებით მოწესრიგებული შინაგანი სტრუქტურა, წარმოადგენს პიროვნებისა და საზოგადოების შემეცნებითი (კოგნიტური) საქმიანობის შედეგს და არის ასახული საგნის ან მოვლენის შესახებ არსებულ კომპლექსურ, ენციკლოპედიურ ინფორმაციაში, მოიცავს ამ ინფორმაციის საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ ინტერპრეტაციას, გვიჩვენებს მოცემული მოვლენის ან საგნის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების დამოკიდებულებას.

თელიას აზრით, კონცეპტს არ შეიძლება ვუწოდოთ კონცეპტი, თუ მას საფუძვლად არ უდევს ჩარჩო (ფრეიმი) – ცოდნა, რომელიც სტრუქტურირებულია გარკვეულ ხატად (გამოსახულებად), მენტალურ წარმოდგენად, რომელიც ყოველთვის არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ვერბალიზატორთან. სწორედ ამაში მდგომარეობს კონცეპტსა და ცნებას შორის არსებული განსხვავება: „კონცეპტი ასახავს არა უბრალოდ ობიექტის არსებით ნიშნებს, არამედ ყველა ნიშანს, რომლებიც მოცემულ ენობრივ კოლექტივში ივსება ცოდნით არსის შესახებ“ (Телия/თელია, 1999).

ფრეიმები აღიწერება როგორც ცოდნისა და წარმოდგენების მოწესრიგებული ქვესისტემები შესასწავლ მოვლენაზე (მინსკი 1986). ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ფრეიმი წარმოადგენს ერთგვარ სქემატურ კონსტრუქციას, რომელიც ავსებს საკვლევი სურათის სემანტიკურ ველს. ჩარჩოს სტრუქტურებს, თავის მხრივ, აქვთ რამდენიმე ფენა: საბაზისო ფენა წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ და საყრდენ ცნებებს.

კოგნიტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ადამიანის გონების მთავარ შესაძლებლობას წარმოადგენს ობიექტების (საგნების) და მოვლენების კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია. კატეგორიზაციის პროდუქტი – კატეგორიები – ჩვენი კოგნიტური აპარატის ნაწილია და შეიძლება გაგებულ იქნას როგორც მენტალური ცნებები (კონცეპტები), რომლებიც ინახება გრძელვადიან მეხსიერებაში. ადამიანის მიერ ინფორმაციის გადამუშავების მენტალური პროცესი შედგება რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპისაგან.

ფსიქოლოგიის ინ ნაწილის ფარგლებში, რომელიც მეხსიერებას შეისწავლის, ადამიანი წარმოდგენილია როგორც ინფორმაციის საცავი, ერთგვარი კომპიუტერი, რომელსაც

შეუძლია სტიმულისა და რეაქციების საბაზისო პროცესების დახმარებით შეინარჩუნოს და დაამუშავოს ინფორმაციის გარკვეული რაოდენობა. ფსიქოლოგების წარმოდგენის თანახმად, შემაჯავლი ინფორმაცია თავიდან ინახება დროებით საცავში, ანუ მოკლევადიან მეხსიერებაში, შემდეგ კი გადადის მუდმივ საცავში, გრძელვადიან მეხსიერებაში (Broadbent/ბროდბენტი, 1958; Norman/ნორმანი, 1969; Atkinson/ატკინსონი, 1968; Shiffrin/შიფრინი, 1996). ბ. მერდოკმა დახვეწა და გააფართოვა ეს სქემატური მოდელი და დაამატა სენსორული საცავი (Murdock/მურდოკი, 2004).

უნდა აღინიშნოს, რომ სტიმულების შეყვანა სენსორულ საცავებში შესაძლებელია სუბიექტის ნების გარეშე. შემაჯავლი მონაცემები სენსორულ საცავებში დაშიფრულია აუდიო-ვერბალურ-ფსიქოლოგიურ მონაცემებად. კონცეპტის ვ.ნ. თელიასეულ განსაზღვრებას რომ დავუბრუნდეთ, აღსანიშნავია შემდეგი: ფსიქოლოგიაში გვაქვს ემპირიული მონაცემები და გამოსახულებები, რომლებიც ყოველთვის ვერბალიზებული არ არის, ისინი შეიძლება იყოს შენახული სენსორულ საცავში, ანუ ურთიერთობა სენსორულ საცავსა და ვერბალიზაციას შორის არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. ამით შეიძლება დამტკიცდეს კონცეპტის არავერბალური არსი.

ყველაზე რთული პრობლემა კოგნიტურ ფსიქოლოგიაში არის ურთიერთობა მოკლე და გრძელვადიან მეხსიერებას შორის. როგორ ურთიერთქმედებენ ისინი? არის თუ არა ეს კავშირი ერთჯერადი, თუ არა? თუ (და, ალბათ, ასეცაა) ორივე ვარიანტი სწორია, მაშინ რომელ შემთხვევაშია იგი ერთჯერადი და რომელში - მრავალჯერადი? თანამედროვე ფსიქოლოგების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სტიმულების, ანუ შემაჯავლი ინფორმაციის კვანტების ანალიზი ხდება რამდენიმე დონეზე მიმდევრობით ან ერთდროულად. პირველ ეტაპზე სენსორულ საცავში და მოკლევადიან მეხსიერებაში ანალიზდება ხილული ფიზიკური მახასიათებლები. ეს პროცესი ფსიქოლოგიაში იწოდება პერცეპტიულ ანალიზად და მისი შედეგია მეხსიერების კვალი, ამასთანავე, რაც უფრო ძლიერია სტიმული, მით ძლიერია მეხსიერების კვალი.

მეორე ეტაპზე გრძელვადიან მეხსიერებაში ეს მონაცემები ედარება ინდივიდის წარსულ გამოცდილებას, რაც გვეხმარება აზრის გამოტანაში. ამასთანავე ინფორმაციის დასაზუსტებლად ცნობიერებას შეუძლია რამდენჯერმე მიმართოს სტიმულს. ეს კი გულისხმობს აქტიურ მუდმივ ურთიერთობას, სენსორულ საცავს, მოკლევადიან მეხსიერებასა და გრძელვადიან მეხსიერებას შორის, რაც, სრულიად შესაძლებელია, რომ

იყოს მრავალმხრივი. ამასთანავე, ასეთი რთული კავშირი ვლინდება რთული, აბსტრაქტული ცნებების კონცეპტუალიზაციისას. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვიზუალური ხატები, როგორც წესი, მუშავდება უფრო მაღალი ინტენსიურობითა და სიჩქარით, ვიდრე - სიტყვები ან ციფრები.

„სიღრმისეული დამუშავების“ პროცესში, რომელიც გულისხმობს სემანტიკური ან შემეცნებითი ანალიზის საკმარის ხარისხს, კონკრეტული ანალიზის კონტექსტიდან თუ მიზნიდან გამომდინარე, საწყისი სტიმული შეიძლება მრავალჯერ დაზუსტდეს და გამდიდრდეს. გამდიდრება და დაზუსტება გულისხმობს იმ ასოციაციების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია ამ კონცეპტთან. ამ შემთხვევაში, ვერბალური მასალა არ არის საკმარისი ამა თუ იმ კონცეპტის გასაგებად. ლინგვისტური ანალიზის ფარგლებში დამუშავების საბოლოო ეტაპი არის ინფორმაციის მიღება, ვინაიდან ნებისმიერი ლინგვოკონტური პროცესისთვის არსებობს კონკრეტული მიზანი. ფსიქოლოგიაში საბოლოო მიზანს წარმოადგენს დამახსოვრება.

ბოლომდე არ არის გასაგები ინფორმაციის გაფილტვრის კრიტერიუმები, ვინაიდან მიდგომა, როგორც ამას ემპირიული მონაცემები აჩვენებს, ყოველთვის არ არის სანდო. ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი მეხსიერების მოცულობის პრობლემაც. ამჟამად მხოლოდ მოკლევადიანი მეხსიერების დაახლოებით მოცულობაზე შეიძლება ვისაუბროთ. მაგალითად, გამოვლინდა, რომ მოკლევადიანი მეხსიერების მოცულობის მაჩვენებლები ჩვეულებრივ მერყეობს 5-დან 9 ელემენტამდე, იმის მიხედვით, ეს ელემენტები სიტყვებია, ასოები თუ ციფრები. გარდა ამისა, მეხსიერების მოცულობა ასევე დამოკიდებულია ასაკზე.

და ბოლოს, კოდირების ერთეულების არჩევანი ყოველთვის არ არის გასაგები. დადასტურებულია, რომ სენსორულ საცავში და მოკლევადიან მეხსიერებაშიც კი ასეთი ფრაგმენტები შეიძლება იყოს როგორც მარტივი ნიშნები, ისე სემები. განსხვავებულად კოდირებული წარმოდგენები, როგორც ჩანს, ინახება სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში.

კონცეპტი ფსიქოლინგვისტიკის ფარგლებში – ეს არის ტვინში განაწილებული ქსელი, რომელიც დაკავშირებულია გარე სამყაროს ან გამოცდილების კატეგორიზაციასთან. ამასთანავე ეს არის დინამიური ქსელი, ანუ ინფორმაცია ყოველთვის მულტიმოდალურია (Barsalou 2003). კონცეპტის ანალიზისას ინფორმაცია აგრეგირებას განიცდის სხვადასხვა

მდგომარეობიდან. აგრეგირება შეიძლება შეზღუდული იყოს ეთნოკულტურული ან თუნდაც გენეტიკური ფაქტორებით, რომლებზეც დამოკიდებულია ასოციაციური კავშირები (Simmons, Barsalou 2003).

ფსიქოლინგვისტები ხშირად ყურადღებას ამახვილებენ კონცეპტების კომბინაციაზე (Gagné/გაგნე, Spalding/სპალდინგი, 2014; Hampton/ჰემპტონი, Jönsson/ჯონსონი, 2012; Werning/ვერნინგი, 2012). კონცეპტების ანალიზისთვის რეალურ პირობებში სწორედ კონცეპტების კომბინაციას აქვს დიდი მნიშვნელობა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ განაწილებული ქსელი, რომელსაც კონცეპტი წარმოადგენს, ქმნის შემდგომი ანალიტიკური კოგნიტური საქმიანობის მხარდამჭერ კოორდინატთა სისტემას. როდესაც კონცეპტუალური მნიშვნელობა აუცილებელია კონკრეტული კოგნიტური ამოცანის გადასაწყვეტად, კონცეპტები შესაბამისი კატეგორიის სიტუაციურ მოდელირებას ახორციელებენ დინამიურად - კოგნიტური მოდელირებისას იქმნება მდგომარეობები, რომლებიც დაკავშირებულია კატეგორიების დამუშავებასთან. უფრო ხშირად ეს გაუცნობიერებელი პროცესია - ადამიანი ყოველთვის ვერ აღიქვამს ლოგიკური ჯაჭვის თანმიმდევრობას, ნაწილობრივ, პროცესის მაღალი სიჩქარის გამო. ეს განაპირობებს მის აფექტურობას, განსაკუთრებით ევოლუციური კონცეპტების მიმართ („სახლი“, „სამშობლო“, „სიყვარული“), ვინაიდან ემოციურობა არის ანალიზის სიჩქარისა და მისი სიღმის მიზეზი და შედეგი. აფექტურობა განაპირობებს შემდგომ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, დაკავშირებულს კონცეპტის გააზრებასა და შეგრძნებასთან. როდესაც კონცეპტუალიზაციის ბოლო სტადიებზე კოგნიტური სიმულაციები გააზრებულია, ისინი გადაიქცევა მენტალურ ხატებად (გამოსახულებად, აბსტრაქციებად, იდეალებად), რომლებიც შემდეგ ვერბალიზდება.

კონცეპტების ანალიზის ფსიქოლინგვისტური მეთოდოლოგიის განხილვა გვიჩვენებს, რომ კონცეპტები შეისწავლება როგორც დინამიური წარმონაქმნები, რომლებიც წარმოადგენს განაწილებულ კონცეპტუალურ ჯაჭვებს. ამ ჯაჭვთა კომპონენტების კომბინაციიდან გამომდინარე, განისაზღვრება კონცეპტის შინაარსი კონკრეტულ სიტუაციაში. მაგრამ ეს არ უარყოფს კონცეპტების აბსტრაქტულ კატეგორიებად წარმოდგენის შესაძლებლობას ამ ჯაჭვების კომპონენტთა საერთო რაოდენობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტების არჩევით.

რომელი კომპონენტები უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვანად? - უპირველესია

კონცეპტუალური კავშირების კომპოზიციის პრინციპების – სხვადასხვა სიტუაციაში კონცეპტების პრიორიტეტების - დადგენა. ანალიზის გარკვეული ტიპებისთვის (მაგალითად, შედარებითისთვის), არ არის საკმარისი წმინდა ლინგვისტური მეთოდები. საჭიროა მივმართოთ კულტუროლოგიასა და ეთნოლოგიას, ვინაიდან ლინგვოკულტურების შედარების სიტუაციაში პრიორიტეტების განსაზღვრის მთავარი ფაქტორი სწორედ კულტუროლოგიური კვლევებია.

თავი II. კონცეპტი და კონცეპტუალური სფერო

2.1. კონცეპტის სტრუქტურული ორგანიზაცია და ენობრივი ობიექტივაცია

ამჟამად კონცეპტოლოგიაში არ არსებობს ცალსახა პასუხი კითხვაზე: როგორია კონცეპტის სტრუქტურა?

კონცეპტუალური შინაარსის მინიმალურ სტრუქტურულ ელემენტად მიჩნეულია კოგნიტური ან კონცეპტუალური ნიშანი, რომელიც წარმოადგენს კომპონენტური ან დისტრიბუციული ანალიზის, სალექსიკონო დეფინიციების ანალიზის, კონტექსტუალური ანალიზისა და ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის შედეგად გამოვლენილ, სხვა აზრობრივი ერთეულებისაგან განსხვავებულ, დისკრეტულ აზრობრივ ერთეულს.

გამოვლენილ კოგნიტურ ნიშანთა ერთობლიობა ქმნის კონცეპტუალურ შინაარსს (სხვა ტერმინოლოგიით, კონტექტის „სემანტიკურ შიგთავსს“). გამოვლენილ კოგნიტურ ნიშანთა საერთო რაოდენობა წარმოადგენს ცნების სემანტიკურ მოცულობას. გამოვლენილ კოგნიტურ ნიშანთა კომბინაციებით იქმნება კონცეპტის სემანტიკური სტრუქტურა.

კოგნიტური ნიშნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პროტოტიპთან სიახლოვით - ზოგი კოგნიტური ნიშანი უფრო მნიშვნელოვანია კონცეპტის ძირითადი შინაარსისათვის, შესაბამისად, უფრო ახლოსაა პროტოტიპთან, ზოგი კი ნაკლებად მნიშვნელოვანია კონცეპტის ძირითადი შინაარსისათვის, შესაბამისად, უფრო დისტანცირებულია პროტოტიპისაგან. კოგნიტური ნიშნები ქმნიან გარკვეულ იერარქიას. ერთი დონის კოგნიტური ნიშნები ერთიანდებიან კონცეპტუალურ ფენაში. კონცეპტუალურ შინაარსს გააჩნია ველისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა. სწორედ ამ ფაქტის გამო, ფენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმ მანძილით, რომლითაც ისინი დაშორებული არიან ცენტრსა და პერიფერიას. ამრიგად, გამოიყოფა კონცეპტის ბირთვი, გარდამავალი და პერიფერიული ფენები.

კონცეპტის ბირთვი მოიცავს სიტყვების საწყის, პირველად მნიშვნელობებს - კონცეპტის სახელებს და მნიშვნელობებს, რომლებიც ყველაზე ახლოსაა ყველაზე ხშირად გამოყენებადი სახელების მნიშვნელობებთან და რომლებიც ხასიათდებიან მინიმალური კონტექსტური განპირობებულობით. გარდამავალი ფენა იქმნება სინქრონული და

დიაქრონიული ტიპების სემანტიკური ან დერივაციული პროცესების შედეგად მიღებული მეორადი მნიშვნელობებით, ასევე სინონიმებით, ანტონიმებით, ჰიპონიმებითა და ჰიპერონიმებით. პერიფერიული ფენა წარმოდგენილია კონცეპტის ინტერპრეტაციული ველით და მოიცავს კონოტაციურ მნიშვნელობებს, ფრაზეოლოგიზმებს, ანდაზებს, ემოციურ-შემფასებლურ ერთეულებს, პრეცედენტულ ფენომენებს, ასოციაციებს და ა.შ.

თანამედროვე მეცნიერებაში ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ კონცეპტში რა განეკუთვნება აზროვნებას და რა - ენას. ერთი მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ კონცეპტში საერთოდ არაფერია ენობრივი. კონცეპტები ყალიბდება აზროვნებაში, ენისგან დამოუკიდებლად. კონცეპტები აზროვნების უნივერსალური ერთეულებია, რომელსაც სხვადასხვა ენა სხვადასხვა სახელს ანიჭებს. მეორე მხრივ, არსებობს „ვერბალური“ თვალსაზრისი (უორფი, 1960), (სეპირი, 1993), რომლის მიხედვითაც, აზრი სამყაროს შესახებ მთლიანად და სრულად ყალიბდება ენაში და ამიტომ არ შეიძლება არ იყოს განპირობებული ეროვნული ენის მახასიათებლებით. ამრიგად, კონცეპტი, თავისი ბუნებით, წმინდა ენობრივი ფენომენია.

სიმართლე, ცხადია, აღნიშნულ თვალსაზრისთა შორისაა საძიებელი. ამ საკითხის გადაჭრის კომპრომისული მიდგომის მიხედვით, კონცეპტი კომპლექსური, აზროვნებისა და მეტყველების ერთეულია. მისი შინაარსი, რა თქმა უნდა, აზროვნების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ ამ კონცეპტუალური შინაარსის ობიექტივაციის ხერხი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ჩვენი აზრის მიერ „დატყვევებული“ ამა თუ იმ ფენომენის აღქმას, ენას განეკუთვნება. ამ მიზეზის გამო, კონცეპტის აღწერა არ უნდა შეიზღუდოს ლინგვისტური სემანტიკის საზღვრებით: კონცეპტს ყოველთვის ექნება მნიშვნელობის არავერბალიზებული კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია აზროვნებაში, თუმცა მოკლებულია ენობრივ რეპრეზენტაციას.

კონცეპტი არის კონცეპტუალური სფეროს ერთეული, მნიშვნელობა კი წარმოადგენს სემანტიკური სისტემის, ენის სემანტიკური სივრცის ერთეულს. მნიშვნელობა თავისი სისტემური სემებით გადმოსცემს გარკვეულ მახასიათებლებს, რომლებიც ქმნიან კონცეპტს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელნი ქმნიან კონცეპტის მხოლოდ სემანტიკური შინაარსის ნაწილს. კონცეპტის ექსპლიკაცია, ჩვეულებრივ, მოითხოვს მრავალ ლექსიკურ ერთეულს, უფრო ზუსტად კი, ლექსიკური ერთეულების

მნიშვნელობებს.

მეორე მხრივ, კონცეპტი გამოხატავს ლოგიკური ოპერაციებით მიღებულ არარაციონალურ, აბსტრაქტულ ცოდნას სამყაროს შესახებ. კონცეპტი განასახიერებს მშობლიური ენის მატარებელთა იდეებს გარემომცველი სამყაროს საგნებსა და ფენომენებზე, სამყაროს ნაივურ მოდელზე, რაც, თავის მხრივ, დიდწილად განეკუთვნება ენობრივ ცოდნას. აქედან გამომდინარე, ენობრივი საშუალებების სემანტიკა, გარკვეულწილად, პასუხისმგებელია კონცეპტის მთლიანობრივი შინაარსის ფორმირებაზე. ეს, სხვათა შორის, ხსნის თანამედროვე მეცნიერებაში ცნობილ ფაქტს, რომ ლოგიკური ცნებები არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ენაზე. ლოგიკური ცნებები უნივერსალური და ზოგადსაკაცობრიოა, ხოლო კონცეპტები შეიძლება მნიშვნელოვნად სხვაობდნენ ენიდან ენაში და კულტურიდან კულტურაში.

ასე რომ, კონცეპტის შინაარსში, გარდა ექსტრალინგვისტური ინფორმაციისა ბუნებრივი და სოციალური გარემოს, ცხოვრებისა და კულტურის, მორალური და ესთეტიკური ღირებულებების შესახებ, ასევე ფიქსირდება „სემანტიკური აურა“ (Wierzbicka/ვეჟბიკა, 1992), რომელსაც ვ. ფონ ჰუმბოლდტმა უწოდა „ენის შიდა ფორმა“, ან, უფრო მარტივად, „ენის სული“ (ჰუმბოლდტი, 2000). ამასთან დაკავშირებით, ა. ვეჟბიკა აღნიშნავს, რომ ეთნოსის ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტები კოდირებულია ენაში და ენის საშუალებით. კონცეპტს არ შეიძლება გააჩნდეს სხვა, თანაბრად სრულფასოვანი ობიექტივიზაციის ინსტრუმენტები (ვეჟბიკა, 1985). როგორც ჩანს, სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებს ს. ვორკაჩევი, რომელიც ახასიათებს კონცეპტს, როგორც „კულტურულად მარკირებულ ვერბალიზებულ აზრს“ (Воркачев/ვორკაჩევი, 2001).

აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა ენობრივი საშუალებები მონაწილეობენ უშუალოდ კონცეპტუალური შინაარსის ვერბალიზაციაში? სავსებით მოსალოდნელია, რომ კონცეპტის მთავარ ვერბალიზატორად უნდა ჩაითვალოს სიტყვა - სამყაროს შესახებ ინფორმაციის ნომინაციისა და სიგნიფიკაციის ბუნებრივი ენობრივი ინსტრუმენტი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ენაში სიტყვები სხვაობენ თავიანთი მნიშვნელოვნებით კონცეპტის ობიექტივიზაციის პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით.

ეს ძირითადად ეხება ეგრეთ წოდებულ „ბირთვულ სიტყვებს“ (ვეჟბიკა, 1992). ამრიგად, ამ პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ავტორები განასხვავებენ სიტყვებისა და გამოთქმების იმ ჯგუფებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამყაროს

ენობრივი ხატის კონფიგურაციაში:

სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო მუდმივებთან - ფილოსოფიურ კატეგორიებთან და ცნებებთან (სიცოცხლე და სიკვდილი, ადამიანი და ღმერთი და ა.შ.). ეს ერთეულები წარმოადგენენ კოგნიტური თვალსაზრისით უნივერსალური კონცეპტების ვერბალიზატორებს;

სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც შეესაბამება მსგავს სიტყვებს და გამოთქმებს სხვა კულტურაში, მაგრამ სხვა კულტურაში ამ ერთეულებს გააჩნია ან უფრო მაღალი, ან უფრო დაბალი აქსიოლოგიური მნიშვნელოვნება და, შესაბამისად, განსხვავებული „ზოგადრივი კონფიგურაცია“, რომელსაც არ ეძებნება ეკვივალენტი სხვა ენასა და კულტურაში. ასეთი ერთეულები წარმოადგენენ კოგნიტური თვალსაზრისით უნიკალური კონცეპტების ვერბალიზატორებს;

სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც, არ გააჩნიათ ეკვივალენტები არა მხოლოდ კონცეპტუალურ, არამედ ვერბალურ დონეზეც („არაეკვივალენტური ლექსიკა და ფრაზეოლოგია“). ასეთი ერთეულები წარმოადგენენ ვერბალური თვალსაზრისით უნიკალური კონცეპტების ვერბალიზატორებს;

ეროვნულად სპეციფიკური „დისკურსული სიტყვების“ კლასი (მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, შორსიდებულები და ა.შ.), რომელიც გამოხატავს ენის მატარებელთა პოზიციას, „განწყობას“ (რადბილი, 2017).

რადბილი მიუთითებს კონცეპტუალური შინაარსის გამოხატვის შესაძლებლობაზე სიტყვათწარმოებისა და გრამატიკული საშუალებებით. მკვლევარი გულისხმობს ეროვნულად დეტერმინირებული სიტყვაწარმოების მოდელებისა და საშუალებების, ასევე გრამატიკული კატეგორიების გამოყენების შესაძლებლობას (რადბილი, 2017).

ზოგადად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიური ხედვის თანახმად, კონცეპტის ენობრივ ექსპლიკაციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია აბსოლუტურად ნებისმიერ, შინაარსობრივ თუ ფორმალურ ენობრივ საშუალებას (თუნდაც ინტონაციისა და პროსოდიის თავისებურებებს, გრაფიკულ საშუალებებს და ა.შ.). უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს ერთ პირობას - მას უნდა შეეძლოს კულტურულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოხატვა.

2.2. კონცეპტუალურ სფეროში ინტეგრირებულ კონცეპტთა კლასიფიკაცია

თანამედროვე კონცეპტოლოგიაში ფიქსირდება კონცეპტთა სხვადასხვა საფუძვლის მიხედვით კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციათაგან უმარტივესია ცნებათა თემატური კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს კონცეპტების დაყოფას რეალობის იმ სფეროს მიხედვით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ: ყოფიერებითი (ეგზისტენციალური, ფილოსოფიური (Arutyunova/არუთინოვა, 1996) ბუნებითი, ანთროპოლოგიური, ფსიქოლოგიური, მორალური, ესთეტიკური. და ა.შ. თუმცა, თ. რადბილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ასეთი „ჰორიზონტალური“ კლასიფიკაცია არ არის რელევანტური, ვინაიდან ნებისმიერი კონცეპტი, პრინციპში, ასახავს არა ერთ, არამედ ყოფიერების რამდენიმე სფეროს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ხშირად სინკრეტული, განუყოფელი სახით (რადბილი, 2017).

მეცნიერული თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია კონცეპტთა „ვერტიკალური“ კლასიფიკაცია საზოგადოებრივ ცნობიერებაში არსებობის დონის მიხედვით: ეს არის დაყოფა უნივერსალურ კონცეპტებად, რომლებიც ტიპურია ყველა ადამიანისათვის, გამონაკლისის გარეშე; ეროვნულად სპეციფიკური (იდიოეთნიკური) კონცეპტები, რომლებიც მნიშვნელოვანია მხოლოდ კონკრეტული ეროვნული კულტურის ფარგლებში; სოციალური (სოციალურ-კულტურული, სოციალურ-ჯგუფური), რომლებიც მნიშვნელოვანია მხოლოდ კონკრეტული სოციალური ან კულტურული ჯგუფისთვის; ინდივიდუალური (მათ შორის, ინდივიდუალურ-ავტორისეული) (რადბილი, 2017).

ასევე ცნობილია კონცეპტთა სოციალური ცნობიერების მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული ტიპოლოგიები, რომელშიც ფიქსირდება სამეცნიერო, რელიგიური, მითოლოგიური, მხატვრული, ყოფითი კონცეპტები.

რელევანტური ჩანს კონცეპტთა კლასიფიკაცია აზროვნებაში სამყაროს შესახებ ინფორმაციის კონცეპტუალიზაციის ფორმის მიხედვით. აღნიშნული კლასიფიკაციის თანახმად, ინფორმაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს: ობიექტის ან ფენომენის სენსორულად აღქმადი წარმოდგენის მეშვეობით; სქემის მეშვეობით - ობიექტის სივრცითი (მათ შორის, გრაფიკული) გამოსახულებით; გემტალტის საშუალებით - უფრო მარტივი ფენომენის სქემის „დადებით“ უფრო რთული ფენომენის მსგავს სტრუქტურაზე ამ უკანასკნელის ასახსნელად (დავა როგორც ომი; სიყვარული, როგორც დაავადება და ა.შ.); ფრემის მეშვეობით - იერარქიულად ორგანიზებული ობიექტის ან ობიექტების

მრავალგანზომილებიანი რეპრეზენტაციით; სკრიპტის საშუალებით - სიტუაციის, მოვლენის, ელემენტარული მოქმედების ან რთული აქტივობის დინამიური ეტაპობრივი სტრუქტურირებით - დროში თანმიმდევრული ოპერაციების ან ეპიზოდების თანმიმდევრობით.

ეროვნული დეტერმინირებულობის ხარისხის მიხედვით, კონცეპტები იყოფა: კოგნიტური (კონცეპტუალური) თვალსაზრისით, უნივერსალურ და კოგნიტური (კონცეპტუალური) თვალსაზრისით, უნიკალურ და ვერბალურად უნიკალურ კონცეპტებად (რადბილი, 2017).

არსებობს კიდევ სხვა ტიპის კლასიფიკაციებიც, რომლებიც ასახავენ კონცეპტის ენობრივ ცნობიერებაში არსებობის სხვადასხვა ასპექტს:

ვერბალური პროდუცირების კანონზომიერების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს კონცეპტთა დაყოფას რეგულარულად ვერბალიზებულ (სტაბილურ) და პასიურად ვერბალიზებულ (არასტაბილურ) ტიპებად;

ვერბალური პროდუცირების ტიპის მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს კონცეპტთა აბსტრაქტულ და კონკრეტულად ტიპებად დაყოფას;

ვერბალური ექსპლიკაციის არსებობა-არარსებობის მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს კონცეპტთა დაყოფას ექსპლიციტურ ვერბალიზებულ და იმპლიციტურ არავერბალიზებულ ტიპებად დაყოფას;

ვერბალიზაციის მეთოდებისა და საშუალებების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც გულისხმობს ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სინტაქსური საშუალებებით, ასევე პარემიებით ვერბალიზებული კონცეპტების გამოყოფას;

როგორც ვხედავთ, არსებობს კონცეპტთა სხვადასხვა ტიპი. ცნობილი კოგნიტივისტების ნაშრომებში გამოთქმულია ჰიპოთეზა ცნობიერებაში სპეციალური დონის არსებობის შესახებ, რომელზედაც აკუმულირდება გრძნობის სხვადასხვა ორგანოებისა და სხვადასხვა ტიპის ოპერაციებით მიღებული მთელი ინფორმაცია და რომელზედაც ეს ინფორმაცია დადის ერთ მნიშვნელამდე (Jackendoff/ჯეკენდოფი, 2002). ამ ჰიპოთეზას მიყვავართ ეროვნულ კონცეპტუალურ სფეროში კონცეპტთა სისტემური ორგანიზების პრობლემამდე (ჰამპტონი, (1997).

კონცეპტუალური სფეროს არსებობის აუცილებლობა ნაკარნახევია ადამიანის აზროვნების ონტოლოგიური მახასიათებლებით - ობიექტების მოწესრიგების მიზნით, მათი აბსტრაქტიზებისა და კატეგორიზაციის უნარით. ადამიანს, როგორც მოაზროვნე არსებას, აქვს „ყველაფრის თაროებზე განთავსების“ უნარი.

კონცეპტუალური სფერო წარმოადგენს ეროვნულ ენაში რეალიზებულ ყველა კონცეპტთა ერთობლიობას. კონცეპტუალური სფეროს წყალობით, ენა მარტივი კომუნიკაციის საშუალებიდან გადაიქცა ერთგვარ „კულტურულ კონცენტრატად“, რომელიც ასრულებს კულტურის „გამტარის“ ფუნქციას როგორც მთელი ერისთვის, ისე მისი ცალკეული წარმომადგენლისთვის.

კონცეპტუალური სფერო ეთნოსის სულიერი ევოლუციის შედეგად ყალიბდება ხალხის ისტორიული გამოცდილებით, მათი რელიგიითა და მეცნიერებით, ლიტერატურითა და ხელოვნებით, ფოლკლორით. ყველა ეს ფაქტორი ამდიდრებს კონცეპტუალურ სფეროს მნიშვნელოვანი კულტურული საზრისებით და „ილექება“ ეროვნულ ენაში კონცეპტუალური სფეროს მეშვეობით.

ამ თვალსაზრისით, კონცეპტუალური სფერო წარმოადგენს ეროვნული ენის გარკვეულ პოტენციალს, რომელიც აქტუალიზდება მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შემოქმედებაში. კონცეპტუალური სფერო წარმოადგენილია სხვადასხვა ვერსიით - ტერიტორიული, სოციალური, კულტურული და ა.შ. მაგრამ ყველა მათგანს აქვს რაღაც საერთო, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს კომუნიკაციის დროს გაცვალონ კულტურული საზრისები და ადეკვატურად გაუგონ ერთმანეთს. კონცეპტუალური სფერო არის ის, რაც ენის წყალობით უნარჩუნებს კულტურას მთლიანობას და არ აძლევს ენობრივი კოლექტივის წევრებს კულტურული მეხსიერების დაკარგვის საშუალებას.

მასლოვას შრომებში კონცეპტუალური სფერო გაგებულია როგორც კონცეპტთა ერთობლიობა, რომელიც ქმნის ხალხის ერთიან წარმოდგენას სამყაროზე (მასლოვა, 2001).

კუბრიაკოვას ლინგვოკოგნიტური მიდგომის ფარგლებში კონცეპტუალური სფერო განიხილება „კონცეპტუალური სისტემის“, „კონცეპტუალური სტრუქტურის“ სინონიმად და განისაზღვრება როგორც „ის მენტალური დონე, ან ის მენტალური (ფსიქიკური) ორგანიზაცია, სადაც კონცენტრირებულია ადამიანის გონებისათვის ხელმისაწვდომ

ყველა კონცეპტთა მოწესრიგებული მთლიანობა (მასლოვა, 2001).

ასე რომ, კონცეპტუალური სფერო არის ეროვნული კულტურის კონცეპტთა იერარქიულად ორგანიზებული ერთობლიობა, რომელიც ყალიბდება ეთნოსის შემეცნებითი და შემფასებლურ-ღირებულებითი აქტივობის შედეგად, რომელიც ორიენტირებულია სამყაროს წვდომასა და სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციის გააზრებაზე. კონცეპტუალური სფერო ხასიათდება სისტემური ორგანიზაციით: კონცეპტები შედიან ერთმანეთთან პარადიგმატულ მიმართებებში (სიმრავლეთა ერთმანეთში ჩართულობა, კვეთა, მსგავსება, განსხვავება და ა.შ.) და სინტაგმატურ მიმართებებში (კონიუქცია, იმპლიკაცია, დროში თანმიმდევრულობა და ა.შ.).

ეროვნული კულტურის კონცეპტუალური სფერო მთლიანობაში არის ინდივიდუალური, სოციალური, გენდერული, ასაკობრივი და სხვა ტიპის „სამყაროთა“ ინვარიანტული კონსტრუქტი, რომელიც ვალიდურია კონკრეტული ეთნოსის მსოფლმხედველობის ფარგლებში ეთნოსის სულიერი ევოლუციის ამა თუ იმ ეტაპზე.

კონცეპტუალური სფერო არის წმინდა აზროვნებითი, არავერბალური ფენომენი, რომელიც ემსახურება სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნის შინაარსის სისტემურ ორგანიზებასა და ადამიანის მიერ რეალობის წვდომის შედეგად მიღებული გამოცდილების რეპრეზენტაციას, რომელიც, პრინციპში, ენაზე არ არის დამოკიდებული - არსებობს ენობრივი იმპლიკაციის საშუალებებისა და მეთოდებისგან დამოუკიდებლად (Sternin/სტერნინი).

როგორც კონცეპტების იერარქიულად კოორდინირებულ ერთობლიობას, კონცეპტუალურ სფეროს შეიძლება ჰქონდეს ზოგადობის სხვადასხვა ხარისხი. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ კონცეპტუალურ სფეროზე, როგორც ეთნოსის, სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული ჯგუფის, მოსახლეობის ფენებისა თუ ინდივიდის ატრიბუტზე.

მთელ ეროვნულ კონცეპტუალურ სფეროს არავერბალური ხასიათი აქვს, მაგრამ მისი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ექვემდებარება სავალდებულო ვერბალიზაციას ეროვნული ენის საშუალებით. კონცეპტუალური სფეროს ვერბალიზებულ ნაწილს მეცნიერები უწოდებენ „ენის სემანტიკურ სივრცეს“ - „კონცეპტუალური სფეროს იმ ნაწილს, რომელიც გამოიხატა ენობრივი ნიშნების დახმარებით. მოცემული ენის ენობრივი ნიშნებით გადმოცემული მნიშვნელობების მთელი ნაკრები აყალიბებს ამ ენის

სემანტიკურ სივრცეს” (Jackson/ჯექსონი, 2000).

რა თქმა უნდა, კონცეპტუალურ სფეროს მთელი შინაარსი არ ამოიწურება მისი ვერბალიზებული ნაწილით, მაგრამ მისი არსებითი კულტურულად მნიშვნელოვანი კომპონენტი, ეთნოსისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტები, მაინც ამა თუ იმ გზით ობიექტივირდება ენაში და, რაც მთავარია, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ წვდომა კონცეპტუალური სფეროს მთლიან შინაარსზე ძირითადად მისი ენობრივი ასპექტის, ე.ი. ენის მეშვეობით.

თავი III. მეთოდოლოგია და მეთოდი

3.1. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: მონაცემების ორგანიზებისა და დამუშავების სპეციფიკა

რაოდენობრივ მეთოდებზე საუბარი აუცილებლად ნიშნავს ცვლადებზე (ცვალეზად ფაქტორზე, თვისებაზე ან ელემენტზე) საუბარს. ცვლადი არის კონკრეტული შემთხვევის მახასიათებელი და კონკრეტულ შემთხვევას შეუძლია მიიღოს ერთ-ერთი შესაძლო მახასიათებელი.

რაოდენობრივი კვლევა დედუქციურია: იგი ემყარება უკვე ცნობილ თეორიას, რომლის ჰიპოთეზებს ამუშავებს, შემდეგომ კი ამტიკიცებს მკვლევარი. ჰიპოთეზები არის განცხადებები მინიმუმ ორ ცვლადს შორის პოტენციური ან/და სავარაუდო მიმართების შესახებ, მაგალითად: "რაც უფრო ასაკოვანია რესპოდენტი, მით მეტად სცემს იგი პატივს ტრადიციებს", ან „ქალები უფრო იშვიათად ბილწსიტყვაობენ“.

რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს გაზომვა. როდესაც რაოდენობრივად ვზომავთ რაიმეს, ანუ ვანიჭებთ მას ცვლად მნიშვნელობას, უნდა შევარჩიოთ მაქსიმალურად საიმედო გზა, უნდა ჩამოვაყალიბოთ მკაფიო და ობიექტური განსაზღვრება თითოეული კატეგორიისთვის ან შედეგისთვის.

გაზომვის საკითხს უკავშირდება საიმედოობისა და ვალიდურობის ცნებები. საიმედოობა ეხება პროცედურას, რომელიც მრავალჯერადად ჩატარებისას იძლევა ერთსა და იმავე (ან თითქმის ერთნაირ) შედეგს. იდეალურ შემთხვევაში, თუ რესპოდენტებთან ვიყენებთ ერთსა და იმავე საზომს ერთსა და იმავე პირობებში, გაზომვამ უნდა მოგვცეს იგივე შედეგი.

ხელახალი ტესტირების მეთოდი პრობლემურია. გაზომვის საიმედოობის შესამოწმებლად სწრაფი და მარტივი გამოსავალი არის მეთოდი „ორად გაყოფა“ (Schnell/შნელი, Esser/ესერი, 2005). შევარჩევთ ადამიანთა ჯგუფს, ვზომავთ რისი გაზომვაც გვსურს, შემდეგ შემთხვევით ვყოფთ ჯგუფს ორ ქვეჯგუფად და ვადარებთ შედეგებს. თუ პროცედურა საიმედოა, უნდა მივიღოთ ძალიან მსგავსი შედეგები ორივე ქვეჯგუფისთვის. თუ მივიღებთ არსებითად განსხვავებულ შედეგებს, უნდა გადამოწმდეს სანდოობა ხელახალი ტესტირების გზით.

ვალიდურობა შეიძლება უფრო პრობლემური იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვზომავთ აბსტრაქტულ ცნებებს (Bernard/ბერნარდი, 2006),(Bryman/ბრაიმენი, 2004), (Scott/სკოტი & Marshall/მარშალი, 2005). ვალიდურობის უზრუნველყოფის უმარტივესი, თუმცა მხოლოდ, გარკვეულწილად, საიმედო გზა სადი აზრის გამოყენებაა.

იმისათვის, რომ კვლევას ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული დიზაინი, საჭიროა არა მხოლოდ ინსტრუმენტების ერთობლიობა მონაცემების მისაღებად, არამედ თანმიმდევრული და მყარი ჩარჩო, რომლის გარშემოც აკუმულირდება მიღებული მონაცემები. მკვლევარს შეიძლება ჰქონდეს კარგი კითხვარი (რომელიც ადრე გამოუყენებია და იცის, რომ არის საიმედო და ვალიდური) და ახალი ციფრული ჩამწერი მოწყობილობა. მაგრამ, თუ, უბრალოდ, შემთხვევით ჩაწერს ხალხს და სთხოვს მათ, შეავსონ კითხვარი, ის რასაც მიიღებს, არის მონაცემების გროვა და არა ის მონაცემები, რომლებიც საჭიროა საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

კვლევის დიზაინი, თეორიული საფუძველი და მეთოდები განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ქმნიან კვლევის საერთო ჩარჩოს.

როგორი უნდა იყოს კითხვარი? – კითხვარის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას, პოტენციურად, შეუძლია შექმნას დიდი რაოდენობით მონაცემები, რომელთა დამუშავებაც შედარებით მარტივია. ცნობილია, რომ ინტერვიუების ჩატარება შრომატევადია და თვისებრივი მონაცემების კოდირება - საკმაოდ რთული. სწორედ ამ სირთულის დაძლევის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს სრულყოფილი კითხვარი.

როგორია სრულყოფილი კითხვარი? - სრულყოფილი კითხვარი წარმოქმნის საიმედო მონაცემებს. ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს კითხვების რაოდენობა, რომელსაც კითხვარი უნდა შეიცავდეს. კითხვარი უნდა შეიცავდეს კითხვების ზუსტად იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებელი და საკმარისია კონკრეტული საკითხის სათანადოდ და საიმედოდ გამოსაკვლევად.

ხშირად კითხვები მეტისმეტად ბუნდოვანია. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს კითხვები, რომლებიც ეხება იმ საკითხებს, რომელთა შესწავლაცაა გამიზნული?

მცდარია მოსაზრება, რომ კითხვარი უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ იგი იძლეოდეს იმ პასუხებს, რომლებიც სრულად შეესაბამება მკვლევარის ჰიპოთეზასა და არგუმენტებს.

ზოგჯერ კითხვები ყალიბდება ისე, რომ გულისხმობს კონკრეტულ პასუხს. ზოგიერთი კითხვარი თავს არიდებს კითხვებს, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, გამოიწვიონ „არასასურველი“ პასუხი.

კითხვარები სხვა არაფერია, თუ არა სამეცნიერო ინსტრუმენტები, რომლებიც გვეხმარება გავზომოთ „რეალობის“ სხვადასხვა ასპექტი ნეიტრალურად და ობიექტურად. ეს იმას ნიშნავს, რომ კითხვა არ უნდა გულისხმობდეს „სწორ“ პასუხს. აქვე უნდა ითქვას, რომ „სწორი“ პასუხი არც არსებობს.

რაოდენობრივი ანალიზი არის რაღაცის დათვლა. ჩვენ განვიხილავთ რას ვგულისხმობთ, როდესაც ვსაუბრობთ დათვლაზე ანალიტიკური ან მეცნიერული გაგებით. შემდეგ კი ავხსნით, თუ რას როგორ ვთვლით კვლევაში.

იმისათვის, რომ რაღაც დაითვალოს, უნდა იქნეს გათვალისწინებული ორი პირობა:

1. ის, რისი დათვლაც უნდა მოხდეს, უნდა იყოს „თვლადი“ და
2. ის, რისი დათვლაც გვსურს, უნდა ჰქონდეს პოტენციალი, იყოს ცვლადი.

ცვალებადობის პოტენციალი გულისხმობს ვარიაციის არსებობის შესაძლებლობას პასუხებში, თუმცა ცვალებადობის პირობა არის მოთხოვნა ვარიაციის შესაძლო არსებობის შესახებ და არ ნიშნავს იმას, რომ ვარიაცია ნამდვილად დაფიქსირდება. ცვალებადობის გამო, იმას, რასაც ვითვლით რაოდენობრივ ანალიზში, ცვლადი ეწოდება.

დასკვნითი სტატისტიკა შექმნილია იმის დასადგენად, ფიქსირდება თუ არა მონაცემებში შაბლონები, სხვა სიტყვებით, არიან თუ არა ისინი ის, რასაც ჩვენ სტატისტიკურად მნიშვნელოვანს ვუწოდებთ. აღწერითი სტატისტიკა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ შაბლონები მონაცემებში.

იმისათვის, რომ ჩავატაროთ სტაბილური სტატისტიკური ანალიზი, უნდა შევამოწმოთ ჰიპოთეზა (ანუ ინფორმაციაზე დაყრდნობილი ვარაუდი). ამ ჰიპოთეზას ეწოდება ექსპერიმენტული ჰიპოთეზა და ჩვეულებრივ გამომდინარეობს აღწერითი სტატისტიკით განსაზღვრული ნიმუშებიდან. ექსპერიმენტული ჰიპოთეზა ყოველთვის იღებს განაცხადის ფორმას იმის თაობაზე, რომ გარკვეულ ცვლადზე პროგნოზირებადი და სისტემატური გზით გავლენას ახდენს სხვა ცვლადი.

ცვლადს, რომელზეც გავლენას ახდენს სხვა ცვლადი, ეწოდება დამოკიდებული ცვლადი. ექსპერიმენტული ჰიპოთეზები აცხადებენ, რომ არსებობს ურთიერთობა დამოკიდებულ ცვლადსა და დამოუკიდებელ ცვლადს შორის, ისე, რომ დამოუკიდებელი ცვლადი (ები) გავლენას ახდენს დამოკიდებულ ცვლადზე პროგნოზირებადი გზით.

ჰიპოთეზა არასოდეს არ არსებობს იზოლირებულად, არამედ ყოველთვის შერწყმულია დიამეტრალურად საპირისპირო ოპოზიტებთან - ნულოვან ჰიპოთეზასთან. ნულოვანი ჰიპოთეზები, გარკვეული თვალსაზრისით, ექსპერიმენტული ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდაა მიმართული - ნულოვანი ჰიპოთეზა პროგნოზირებს, რომ არანაირი დამოკიდებულება არ არსებობს ცვლადებს შორის.

სტატისტიკური მნიშვნელობის განსაზღვრა რაოდენობრივ კვლევაში გადამწყვეტი ნაბიჯია. თუმცა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ანალიზში. მას შემდეგ, რაც ყველა გაანგარიშება დასრულდება და აღმოჩნდება, რომ ჩატარებული ანალიზი, ფაქტობრივად, მნიშვნელოვანია, უნდა გადაწყდეს, ნიშნავს თუ არა ეს შედეგი საერთოდ რაიმეს. ეს არის სწორედ ის, რასაც ვგულისხმობთ, როდესაც ვსაუბრობთ შედეგების ინტერპრეტაციაზე.

3.2. თვისებრივი კვლევა: მეთოდოლოგიური საფუძვლები და კვლევის პარადიგმები

თვისებრივი კვლევის მეთოდები ორიენტირებულია კონკრეტული ჯგუფის თვისებების ან მახასიათებლების ზუსტად განსაზღვრაზე. თვისებრივი კვლევის მეთოდებით მიღებული მონაცემები ხელს უწყობს რაოდენობრივ შედეგს და შესაძლოა მიუთითებდეს, რომ სტატისტიკური მნიშვნელობა ფაქტობრივად შეესაბამება რაღაცას რეალურ სამყაროში.

კვლევის, იქნება იგი თვისებრივი თუ რაოდენობრივი, არსის გააზრება მოითხოვს მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების ცოდნას, რაც ეფუძნება კვლევის რელევანტურ პარადიგმებს. კვლევის პარადიგმის არსის გააზრება კი მოითხოვს სამ ფუნდამენტურ შეკითხვაზე პასუხის გაცემას:

რისი გაგება შეიძლება სამყაროს ხატის კონკრეტულ ფრაგმენტზე?

რა მიმართება ფიქსირდება მკვლევარსა და საკვლევ ობიექტს შორის?

რა გზით უნდა აღმოაჩინოს მკვლევარმა ის, რისი გაგებაც სურს?

ცხადია, სამივე შეკითხვა ურთიერთდაკავშირებულია და განსაზღვრავს კვლევის ბუნებას (Guba/გუბა, Lincoln/ლინკოლნი, 1994).

რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, რომელიც პოზიტივისტურ პარადიგმას ეფუძნება, თვისებრივი კვლევა ეყრდნობა კონსტრუქტივისტულ პარადიგმას - თვისებრივი მკვლევარი საკვლევ რეალობას აღიქვამს არა ობიექტურ მოცემულობად, არამედ სოციალურად კონსტრუირებულ ფენომენად. ის, რასაც რაოდენობრივი მკვლევრები ობიექტურ რეალობას უწოდებენ, თვისებრივი მკვლევრების მიერ ინტერსუბიექტურ რეალობადაა სახელდებული. ეს კი იმიტომ, რომ იგი ინდივიდების მიერაა გაზიარებული. თითოეული ინდივიდი სამყაროს თავისი სუბიექტური პრიზმიდან, თავისი სამრეკლოდან ხედავს სამყაროს და რაც უფრო ეთანადება ეს სუბიექტური ხედვები ერთმანეთს, მით მეტად მიდრეკილია ადამიანი, რეალობას ობიექტურის სახელი დაარქვას. თუმცა, თვისებრივი მკვლევრისთვის რეალობა ინტერსუბიექტურია (Tsuladze/ წულაძე, 2020).

რეალობის კონსტრუირება ინტერსუბიექტური პროცესია. იგი დეტერმინირებულია დროითა და კონტექსტით, სხვა სიტყვებით, კონკრეტული დრო და კონტექსტი განაპირობებს რეალობის აღქმის სპეციფიკას. რესპოდენტის ნარატივის ანალიზისას, პირველ რიგში, იმაზე უნდა დავფიქრდეთ, თუ როდის და რა ვითარებაში გვთავაზობს რესპოდენტი მოცემულ ნარატივს. დროისა და კონტექსტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია იმის გაგება, თუ რა უბიძგებს რესპოდენტს, თქვას ის, რასაც ამბობს და სწორედ იმ ფორმით, რა ფორმითაც ამბობს (წულაძე, 2020).

აუცილებელია საკვლევ სუბიექტისა და მკვლევარის მიმართების გათვალისწინება, რადგან სწორედ მათი ინტერაქციის პროცესში კონსტრუირდება რეალობა. ირვინგ ჰოფმანის თქმით, ნებისმიერი ადამიანი ცდილობს, საკუთარი ქმედება იმ „ჩარჩოს“ მთარგოს, რომელიც შეესაბამება მოცემულ კონტექსტს. ამით ადამიანი ცდილობს სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს აუდიტორიაზე (Goffman/ჰოფმანი, 1956). სწორედ ამ ტიპის „ჩარჩოთი“ ხორციელდება მკვლევარსა და საკვლევ სუბიექტს შორის ინტერაქცია. სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად, ორივე მხარემ სათანადოდ უნდა

შეასრულოს საკუთარი „როლი“. საკვლევი სუბიექტის მიერ როლის მორგების მოტივაციასა და სპეციფიკას რომ სწვდეს, მკვლევარმა უნდა შეხედოს ინტერაქციის პროცესს მისი პერსპექტივიდან. რაოდენობრივი კვლევისგან განსხვავებით, რომელშიც ეტიკური მიდგომაა დომინანტური (რეალობის ხედვა გარე აქტორის პერსპექტივიდან), თვისებრივი კვლევისას წამყვანია ემიკური მიდგომა (რეალობის ხედვა შიდა აქტორის პერსპექტივიდან) (წულაძე, 2020).

ემიკური მიდგომისას, მკვლევარის, როგორც მოცემული საზოგადოების წევრისა და კულტურის მატარებლის, ემპათიური პოზიცია იძლევა ფაქტებისა და მოვლენების ამ საზოგადოების წევრებისა და კულტურის მატარებლების თვალთ დანახვის საშუალებას. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამყაროს ხატის მეტ-ნაკლებად იდენტურ ინტერპრეტაციას მკვლევარისა და კვლევის სუბიექტის მიერ. იმავდროულად, კვლევის ობიექტურობის, რესპოდენტების თვალსაზრისთა მრავალფეროვნების წვდომისა და დესკრიფციის სისრულის უზრუნველყოფის მიზნით, მკვლევარმა უნდა შეხედოს საკუთარ საზოგადოებას, როგორც „სოციოლოგიურად უცხოს“ (წულაძე, 2020).

თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენს მონაცემების კონტექსტუალიზაცია და ცალკეული ტენდენციების გამოვლენა იმ მიზნით, რასაც კლიფორდ გირცი „გაჯერებულ აღწერას“ (“Thick Description”) უწოდებს. გირცის თვალსაზრისით, ის, რასაც ჩვენ ემპირიულ მონაცემებს ვუწოდებთ, სინამდვილეში, ჩვენი წარმოდგენებია სხვა ადამიანების წარმოდგენებსა და ქმედებებზე, ანუ ჩვენ მიერ სოციალურად კონსტრუირებული რეალობაა. ეს წარმოდგენები გვეძლევა კონკრეტულ კონტექსტში და მხოლოდ ამ კონტექსტის ფარგლებშია შესაძლებელი მათი ინტერპრეტაცია. თვისებრივი კვლევის მთავარი მიზანი არა კანონზომიერებების დადგენა, არამედ საკვლევი ფენომენის „გაჯერებული აღწერა“ (Geertz/გერცი, 1973).

ამგვარად, თვისებრივი კვლევა ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პარადიგმას, აღიარებს რეალობის ინტერსუბიექტურ ბუნებას, მორგებულია დროსა და კონტექსტზე, რაოდენობრივი კვლევისაგან განსხვავებით, ორიენტირებულია არა მონაცემების ფართო საზოგადოებაზე განვრცობაზე, არამედ კონკრეტულ ჯგუფებს შიგნით არსებული ტენდენციების გამოვლენაზე (წულაძე, 2020).

ნებისმიერი კვლევის, იქნება ის თვისებრივი თუ რაოდენობრივი, წარმატებას განაპირობებს წინასწარ დეტალურად გაწერილი დიზაინი ანუ სქემა, რომლითაც

მკვლევარი ხელმძღვანელობს საველე სამუშაოების ჩატარებისას. მკვლევარისათვის ეს სქემა წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს, რათა თანმიმდევრულად განახორციელოს დაგეგმილი კვლევა, ხოლო მისი კოლეგებისათვის ეს სქემა განხორციელებული კვლევის ხარისხის ინდიკატორია, რამდენადაც იგი აჩვენებს, თუ რამდენად ლოგიკურ შესაბამისობაშია ერთმანეთთან კვლევის თითოეული კომპონენტი.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დიზაინი მსგავსი კომპონენტებისგან შედგება, ანუ სტრუქტურულად იდენტურია, თუმცა თითოეულს თავისი სპეციფიკა აქვს, რაც გასათვალისწინებელია კვლევის მეთოდის შერჩევისას.

რაოდენობრივი კვლევის დიზაინისგან განსხვავებით, რომლის ყველა პუნქტი წინასწარ მკაცრადაა გაწერილი და კვლევის პროცესში არ განიცდის ცვლილებას, თვისებრივი კვლევის დიზაინი კვლევის პროცესში იხვეწება და განიცდის მოდიფიკაციას. სწორედ ამიტომ, თვისებრივი კვლევის დიზაინს „ინტერაქციულსაც“ უწოდებენ (Maxwell/მაქსველი, 2013).

თვისებრივი კვლევის დიზაინი შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან: თეორიული ანუ მეთოდოლოგიური ნაწილისა და მეთოდური ანუ პროცედურული ნაწილისაგან.

თეორიულ ანუ მეთოდოლოგიურ ნაწილში: ისმება საკვლევი პრობლემა; კონკრეტულ მიზნამდე დაიყვანება საკვლევი პრობლემა; გამოიყოფა დასახული მიზნისათვის რელევანტური ამოცანები; კვლევის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით შემუშავდება წინასწარი დაშვება ანუ ჰიპოთეზა (წულაძე, 2020).

მეთოდურ ანუ პროცედურულ ნაწილში: გამოიყოფა სამიზნე ჯგუფი; ყალიბდება განმარტება იმის თაობაზე, თუ საერთო პოპულაციიდან რატომ შეირჩა ის კონკრეტული ადამიანები, რომლებიც კვლევაში იღებენ მონაწილეობას; განიხილება მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები; შემუშავდება მონაცემების ანალიზის სტრატეგიები.

მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდებზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია კვლევის სანდოობისა და ვალიდურობის საკითხები: მკვლევარმა უნდა ახსნას, თუ რატომაა მისი მონაცემები დამაჯერებელი, რა ალტერნატიული ინტერპრეტაციები შეიძლება არსებობდეს და რა სახის მხარდაჭერას თუ გამოწვევას წარმოადგენს მკვლევრის ძირითადი არგუმენტებისთვის მოპოვებული მონაცემები (წულაძე, 2020).

სანდოობა გულისხმობს, რომ იმავე პირობებში, იდენტური მეთოდის გამოყენებით კვლევის განმეორების შემთხვევაში, მკვლევარმა უნდა მიიღოს იდენტური შედეგები. კვლევის სანდოობას უზრუნველყოფს ისეთი საზომების გამოყენება, რომლებიც არაერთხელ გამოყენებულა წინა კვლევებში და რომელთა სანდოობაც არაერთხელ დადასტურებულია წინა კვლევებში. ვალიდურობა კი გულისხმობს, რომ საზომი ადეკვატურად ზომავს საკვლევ ფენომენს (წულაძე, 2020).

სიღრმისეული ინტერვიუ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია. ზოგს ინტერვიუ თვისებრივი მკვლევრის საყვარელ მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტად მიაჩნია (Denzin/დენზინი, ლინკოლნი, 2004).

სხვები უფრო შორსაც მიდიან და თვლიან, რომ დღეს „ინტერვიუს საზოგადოებაში“ (“The Interview Society”) ვცხოვრობთ (Silverman/სილვერმენი, 1993).

სიღრმისეული ინტერვიუ კონკრეტულ კონტექსტში მიმდინარეობს, რომელშიც ორი (ან მეტი) ადამიანი ქმნის ინტერვიუს. მიღებული ნარატივი ასახავს ინტერვიუერისა და რესპოდენტის მიერ ერთობლივად კონსტრუირებულ რეალობას, რომლის წვდომაც მხოლოდ მოცემულ კონტექსტშია შესაძლებელი - სხვა კონტექსტში შესაძლოა სულ სხვა ნარატივი მიგვეღო.

ინტერვიუს პროცესში რესპოდენტები ორი სახის ნარატივს გვთავაზობენ: პიროვნულსა და კოლექტიურს. პიროვნული ნარატივის ფორმასა და შინაარსს რესპოდენტის პირადი გამოცდილება განსაზღვრავს, კოლექტიური ნარატივი კი კულტურაში ფართოდ გაზიარებულ, კონვენციურ წარმოდგენებს ასახავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პიროვნულ ნარატივზეც დიდ გავლენას ახდენს კულტურის მიერ აღიარებული ნარატიული და ლინგვისტური კონვენციები, რომლებიც, თავის მხრივ, რესპოდენტთა სქესზე, ასაკზე, განათლებასა და სხვა მახასიათებლებზეა დამოკიდებული. კოლექტიური ნარატივი თითოეული რესპოდენტის მიერ ინდივიდუალურად აღქმული და გადმოცემულია (Narayan/ნარაიანი, & George/ჯორჯი, 2003).

მკვლევარს უჩნდება მნიშვნელოვანი შეკითხვა: როგორ მისწვდეს ინტერვიუს მიღმა არსებულ რეალობას, როგორ ხდება საზრისის წვდომა სიღრმისეული ინტერვიუს გზით? - ინტერპრეტაციული პრაქტიკის, ანუ ყველა იმ პროცედურისა თუ რესურსის საფუძველზე, რომელიც რეალობის გაგების, ორგანიზებისა და რეპრეზენტაციისთვისაა აუცილებელი

(Holstein/ჰოლშტაინი, 1993); ჰოლშტაინი & Gubrium/გუბრიუმი, 1994).

სიღრმისეული ინტერვიუ მოითხოვს ინტერვიუერისა და რესპოდენტის აქტიურ ჩართულობას ინტერპრეტაციის პროცესში. ამიტომ, შემოქმედებითთან ერთად, ამგვარ ინტერვიუს „აქტიურ ინტერვიუსაც“ (“Active Interviewing”) უწოდებენ (გუბრიუმი, ჰოლშტაინი, 2003). აქტიური და შემოქმედებითი ხასიათის გამო, სიღრმისეული ინტერვიუ რეალობის კონსტრუირების მნიშვნელოვან მექანიზმადაა აღიარებული.

ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელექტრონული ინტერვიუს ჩატარების სპეციფიკა. ელექტრონული ინტერვიუს ჩატარებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი: რესპოდენტების ნდობის მოპოვება ვირტუალურ სივრცეში, რაც ბევრად მარტივია უშუალო, პირისპირ კომუნიკაციისას; ვირტუალური ინტერაქციისა და ვირტუალური დისკუსიების მოდერაციის ეფექტურობის უზრუნველყოფა; ვირტუალური სივრცისა და მასში გამოყენებული ენისა თუ კომუნიკაციის არავერბალური სტრატეგიების გავლენის იდენტიფიცირება მონაწილეთა იდენტობებზე.

ინტერვიუს მონაცემების ანალიზი წარმოადგენს „ნედლი“ ინტერვიუებიდან არგუმენტირებულ ინტერპრეტაციაზე გადასვლის პროცესს, რომელიც გულისხმობს ინტერვიუს მასალის კლასიფიცირებას, შედარებას და კომბინირებას გარკვეული კანონზომიერებების გამოსავლენად, იზოლირებული აღწერების ერთ ლოგიკურ ნარატივად გასაერთიანებლად და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად (წულაძე, 2020).

სიღრმისეული ინტერვიუ მონაცემების ანალიზის ოთხ ეტაპს მოიცავს: კოდირებას, კატეგორიზაციას, ლოკალურ ინტეგრაციასა და ინკლუზიურ ინტეგრაციას (Weiss/ვაისი, 1994).

ანალიზის საწყის ეტაპზე მკვლევარი ინტერვიუს აუდიოჩანაწერებს შიფრავს და ამზადებს მათ ტრანსკრიპტებს (აუდიოჩანაწერის წერილობით ვერსიას), შემდეგ კი ახდენს მონაცემების კოდირებასა და კატეგორიზაციას.

მონაცემების კოდირება ინტერვიუს მასალიდან ბირთვული კონცეპტების ამოღებას და მათ მოკლე შეჯამებას გულისხმობს; მონაცემების კატეგორიზაცია კი იმ ინფორმაციის შეკრებას გულისხმობს, რომელსაც რესპოდენტები ამ კონცეპტების შესახებ ამბობენ. ანალიზის მომდევნო ეტაპი უფრო სიღრმისეული ხასიათისაა და თავდაპირველად მონაცემების ლოკალურ ინტეგრაციას ახდენს, ანუ თითოეული კოდის ქვეშ თავმოყრილი

ინფორმაციის ანალიზსა და ინტერპრეტაციას, ხოლო შემდეგ – ინკლუზიურ ინტეგრაციას, ანუ ინფორმაციის ცალკეული ამონარიდის ერთმანეთთან მიმართებაში ანალიზს, ინტერპრეტაციას და ერთ ლოგიკურ ნარატივად გაერთიანებას (წულაძე, 2020).

მონაცემების ანალიზი მათი კოდირებით იწყება, რაც, პირველ რიგში, ინტერვიუს მასალაში საკვანძო ბირთვული კონცეპტების, თემების, მოვლენებისა თუ თემატური მარკერების იდენტიფიცირებას ნიშნავს, შემდეგ კი – თითოეულ ტრანსკრიპტში შესაბამისი სახელწოდების ანუ კოდის მიწერას იმ მონაცემებისთვის, რომლებშიც ეს კონცეპტი, თემა, მოვლენა თუ თემატური მარკერი გვხვდება.

მონაცემების კოდირებას მოსდევს მათი კატეგორიზაცია, რაც გულისხმობს შესაბამისი კოდების ქვეშ ინტერვიუს მონაცემების დახარისხებას. მკვლევარმა თითოეული ინტერვიუდან კოდის სახელწოდების შესაბამისი შინაარსი უნდა ამოკრიფოს და მოათავსოს მოცემული კოდის ქვეშ. ეს პროცედურა საშუალებას აძლევს მკვლევარს, გააანალიზოს, თუ მთლიანობაში როგორ აღიქმება განსახილველი საკითხი თუ მოვლენა, რა დატვირთვა აქვს მას სხვადასხვა რესპონდენტისთვის, რა მსგავსება-განსხვავებებია რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ მსგავსი კონცეპტების, თემებისა თუ მოვლენების ხედვაში. დაჯგუფებულ მასალაში, მკვლევარი ცდილობს კონცეპტებს, თემებსა და მოვლენებს შორის არსებული კავშირების იდენტიფიცირებას და გარკვეული კანონზომიერებების დადგენას, რათა შედეგად წარმოადგინოს „გაჯერებული აღწერა“ (წულაძე, 2020).

ჩნდება შეკითხვა: როგორ ადგენს მკვლევარი თემებს შორის კავშირებს? - პირველ რიგში, ეს საკუთარი შეკითხვების გაანალიზებით ხდება, რადგან კვლევის დროს გაჩენილი შეკითხვები ასახავს მკვლევარის იდეებს საკვლევი ფენომენის შესახებ. მეორე გზა გულისხმობს იმის ანალიზს, თუ თავად რესპონდენტები როგორ ხედავენ ბირთვულ კონცეპტებს შორის კავშირებს. მესამე გზაა მოცემული კვლევის კონტექსტუალიზება არსებული ლიტერატურის ფარგლებში და იმის მოძიება, თუ ამ კონცეპტებს შორის რა კავშირებს აფსიქსირებს განხილული ლიტერატურა. და ბოლოს, მარტივ ლოგიკაზე დაყრდნობით, კონცეპტებსა და თემებს შორის კავშირების გამოცნობა და ამ ლოგიკური ჯაჭვის ადეკვატურობის შემოწმება (Rubin/რუბინი & Rubin/რუბინი, 2005).

ლოკალური ინტეგრაციისას ცალკეული კოდის ქვეშ შესაბამისი მონაცემებია კატეგორიზებული. მკვლევარი აჯამებს და აანალიზებს მათ, რის შედეგადაც იქმნება

კვლევის ანგარიშის კონკრეტული სექცია (ვაისი, 1994).

ლოკალური ინტეგრაციისას, თავდაპირველად, ჯამდება რესპონდენტების აზრები, იდენტიფიცირდება დომინანტური იდეები და ხედვები, რითიც ვითარდება არგუმენტაციის ძირითადი ხაზი. შემდეგ ვლინდება და ჯამდება მათგან განსხვავებული, ალტერნატიული მოსაზრებები.

ლოკალური ინტეგრაციისას, მონაცემების აღწერასთან ერთად, აუცილებელია გარკვეული თეორიული ინტერპრეტაციების მოყვანაც, რომ მკვლევარის არგუმენტები დამაჯერებლად ჟღერდეს. ამიტომ ვაისი გვთავაზობს „მინითეორიებს“, ანუ იმ ჰიპოთეზების შემუშავებას, რომლებიც კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული მასალის გააზრებაში ეხმარება მკვლევარს. მონაცემების ანალიზის კვალდაკვალ, მკვლევარი მხოლოდ იმ „მინითეორიებს“ ინარჩუნებს, რომლებიც ამყარებს მის მონაცემებს (ვაისი, 1994).

ინკლუზიური ინტეგრაცია ერთ მთლიან ისტორიად კრავს ლოკალური ინტეგრაციის შედეგად მიღებული ცალკეული სექციის ანალიზს. ინკლუზიური ინტეგრაციის მიზანს წარმოადგენს იმ საერთო თეორიული ჩარჩოს შემუშავება, რომლის ფარგლებშიც მოხდება მონაცემების ინტეგრირება და საბოლოო დასკვნების გამოტანა. ინკლუზიური ინტეგრაციისას ანალიზდება და სინთეზირდება ის ძირითადი თემატური სექციები, რომლებიც მიიღება ლოკალური ინტეგრაციის შედეგად (ვაისი, 1994).

ანალიზის დასასრულს, მკვლევარი აჯამებს თემებს, რომლებიც მის საკვლევ კითხვას პასუხობს. ამ ეტაპზე მკვლევარი ცდილობს იმის დადგენას, თუ რამდენად ხსნის მოცემული კვლევის შედეგები სხვა მსგავს ფენომენებსა თუ სიტუაციებს, ანუ რამდენად ფართოდ გამოყენებადია მისი მიგნებები. ამისთვის რამდენიმე მიდგომა არსებობს: ერთ შემთხვევაში, რესპონდენტები და შემთხვევები თავიდანვე იმგვარად შეირჩევა, რომ მოგვიანებით სხვა მსგავს შემთხვევებსა თუ სიტუაციებზეც იყოს შესაძლებელი მონაცემების განზოგადება. კვლევის მიგნებების განვრცობის კიდევ ერთი გზაა მსგავს თემატიკაზე ლიტერატურის ანალიზი, რათა მკვლევარმა გამოავლინოს საკუთარი ნააზრევის სხვა ავტორთა ნააზრევთან შესაბამისობა-შეუსაბამობა (წულაძე, 2020). საბოლოო ჯამში, მონაცემების ანალიზის მიზანია იმ კონცეპტების და თემების რეპრეზენტაცია, რომლებიც სათანადოდ აღწერენ საკვლევ ფენომენს.

3.3. თვისებრივი კონტენტანალიზი: დიზაინი, სანდოობა და ვალიდურობა

თვისებრივი კონტენტანალიზი წარმოადგენს ტექსტური მასალის ანალიზის მეთოდს, რომელიც ორიენტირებულია ტექსტის დეტალურ და სისტემატურ ანალიზსა და ინტერპრეტაციაზე. ტექსტური მასალის ანალიზის მეთოდის გამოყენების გზით ხდება კონკრეტული შინაარსის, თემების თუ ტენდენციების გამოვლენა (წულაძე, 2020). ტექსტური მასალა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ნაბეჭდი თუ ელექტრონული დოკუმენტების, აუდიო თუ ვიდეო მასალის სახით. მისი წყარო შესაძლოა იყოს პირადი დოკუმენტები (წერილები, დღიურები, ავტობიოგრაფიები), ასევე ჯგუფური ინტერაქცია (ფოკუსჯგუფის დისკუსია, პოლიტიკოსებს შორის დებატები), ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტაცია და ა.შ. ტექსტები გვთავაზობენ რეალობის განსაკუთრებულ, დოკუმენტურ ვერსიას (ატკინსონი, Coffey/კოფი, 2004).

ანალიტიკოსები გამოყოფენ კონტენტანალიზისას აუცილებელად გასათვალისწინებელ ტექსტების ექვს საკვანძო ნიშანს:

1. ტექსტს არ გააჩნია ობიექტური, მკითხველისგან დამოუკიდებელი მახასიათებლები. ტექსტს აზრი ეძლევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კითხულობენ. მკითხველის თავისებურებებზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ გაიგებს ის ტექსტის მნიშვნელობას და რა საზრისს ამოიკითხავს მასში;
2. ტექსტს არ გააჩნია ერთი კონკრეტული მნიშვნელობა. ტექსტის სხვადასხვა პერსპექტივიდან წვდომა გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ანალიზის განხორციელების შესაძლებლობას;
3. ტექსტის მნიშვნელობის გაზიარება არ არის სავალდებულო. საკმაოდ იშვიათია თანხმობის მიღწევა იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმა ტექსტის ავტორმა და რა საზრისია ჩადებული აღნიშნულ ტექსტში;
4. მნიშვნელობები სცილდება კონკრეტულ ტექსტს. ტექსტი გვაწვდის ინფორმაციას მოვლენების, ადამიანთა განსხვავებული თვალსაზრისების შესახებ და ა.შ. ეს კი უბიძგებს მკითხველს გადალახოს ტექსტი, გავიდეს კონკრეტულ ტექსტს მიღმა და დასვას კითხვები იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებენ სხვა ადამიანები იმავე ტექსტებს განსხვავებულ გარემოში, როგორ ესმით სხვა ადამიანებს მათი მნიშვნელობა და რა გავლენას ახდენს აღნიშნული ტექსტები მათ იდენტობაზე (წულაძე, 2020).

5. ტექსტი მნიშვნელობას იძენს გარკვეულ კონტესტთან, დისკურსთან და მიზანთან კავშირში;
6. კონტენტანალიზის შედეგად ტექსტური მასალის ანალიზიდან მიღებული დასკვნები ასახავს კონკრეტულ კონტექსტს. რამდენადაც კონტენტანალიზისას საკვლევ შეკითხვაზე პასუხის მოძიების მიზნით ხდება ტექსტის ანალიზი, ამდენად, მისი დასკვნები კონტექსტსპეციფიკურია. უფრო მეტიც, ითვლება, რომ კონტექსტი თავადაც კონსტრუირებულია კონტენტანალიტიკოსის მიერ და იგი მუდმივი რეკონსტრუირების პროცესშია (Krippendorf/კრიპენდორფი, 2004).

რა უნდა იქნეს გათვალისწინებული ტექსტური მასალის ანალიზისას? - ტექსტური მასალის ანალიზისას აუცილებლად გასათვალისწინებელია მისი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი – ინტერტექსტუალობა.

ტექსტები არ არსებობენ ერთმანეთისგან იზოლირებულად, მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. სწორედ ამგვარი ურთიერთკავშირის შედეგად იქმნება ტექსტური რეალობა. ამიტომ უნდა გაანალიზდეს არა მხოლოდ ცალკეული ტექსტის შემადგენელი ელემენტები, არამედ უნდა გამოვლინდეს ტექსტებს შორის არსებული კავშირებიც. ამგვარად, მკვლევარმა უნდა იკვლიოს ინტერტექსტური კავშირები და გამოავლინოს ტექსტებს შორის მსგავსება-განსხვავებები (ატკინსონი, კოფი, 2004).

ტექსტი რეალობის კონსტრუირების საშუალებაა. კონტენტანალიზი კი ამ რეალობის წვდომის ინსტრუმენტადაა მიჩნეული. იმ ტექსტების კლასიფიცირება, რომელთა გაანალიზებაც კონტენტანალიზის გზითაა შესაძლებელი, რამდენიმე ნიშნით ხორციელდება (Neuendorf/ნოიენდორფი, 2017). ჩვენ გამოვყოფთ ჩვენი კვლევისათვის რელევანტურ ნიშნებს:

1. აშკარა და ლატენტური შინაარსი - პირველ რიგში, მკვლევარს თვალში ხვდება ტექსტის ის ელემენტები, რომლებიც აშკარად ჩანს, ექსპლიციტურია და თან დათვლადი. თუმცა, ზედაპირულ მახასიათებლებთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ლატენტური შინაარსის წვდომაც, რომელიც არ არის ერთმნიშვნელოვნად თვალსაჩინო და პირდაპირ გაზომვადი. ამ ტიპის შინაარსი ხაზებს შორის იკითხება;
2. ტექსტის შინაარსის ანალიზი - ტრადიციულად, კონტენტანალიზის ერთეულად

ტექსტი მიიჩნეოდა. დღეს ტექსტის გაგება ბევრად ფართოა და, შესაბამისად, გაფართოვდა კონტენტანალიზის სამიზნეც - მან მოიცვა ვერბალური და არავერბალური ინტერაქცია, ასევე ვიზუალურ ხატებიც.

3. ბოლო პერიოდში ტექსტის გაგების ცვლილებებს მოჰყვა თავად კონტენტანალიზის ტექნიკის ხედვის ცვლილება. ადრე მკვლევრები მას ექსკლუზიურად რაოდენობრივი ან თვისებრივი პერსპექტივიდან უდგებოდნენ. მკვლევართა ერთი ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ობიექტური მონაცემების მოსაპოვებლად, კონტენტანალიზი აუცილებლად რაოდენობრივი უნდა ყოფილიყო, მეორე ჯგუფი კი ამტკიცებდა, რომ საზრისის წვდომა შეუძლებელია მონაცემების დათვლით და კონტენტანალიზი წმინდა თვისებრივი მეთოდია. დღეს კი სახეზეა ორივე მიდგომის სინთეზირების გავრცელებული პრაქტიკა, რაოდენობრივ და თვისებრივ პერსპექტივათა კომბინირება (Berg/ბერგი, Lune/ლუნი,2012).

მიუხედავად ამ ფაქტისა, რაოდენობრივ და თვისებრივ კონტენტანალიზს შორის არსებული სხვაობა ნათლად იკვეთება და მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის მიზნით, ზოგიერთი ავტორი განასხვავებს ნარატიულ ანალიზსა და არანარატიულ კონტენტანალიზს (სილვერმენი,2011). პირველ შემთხვევაში ხდება გარკვეული პრინციპების შემუშავება და მათ საფუძველზე ტექსტის საზრისის წვდომა. მეორე შემთხვევაში კი ყალიბდება გარკვეული კატეგორიები და შემდეგ ითვლება თითოეული კატეგორიის შიგნით შემთხვევების რაოდენობა (სილვერმენი,2011). ეს ორი მიდგომა არ წარმოადგენს ორ რადიკალურად განსხვავებულ ტექნიკას - ისინი ანალიზის განსხვავებულ დონეებს ასახავენ.

ნარატიული ანალიზისგან განსხვავებით, არანარატიული კონტენტანალიზის მიზანს წარმოადგენს არა ტექსტის სიღრმისეული ანალიზი, მისი სემანტიკური მნიშვნელობის, ფორმის, ფუნქციისა თუ კონტექსტის გათვალისწინებით, არამედ ანალიტიკური კატეგორიების შემუშავება და ტექსტში მათი გამოყენების სიხშირის დათვლა.

შემუშავებული კატეგორიები იმდენად ზუსტი უნდა იყოს, რომ ყველა ანალიტიკოსი, რომელნიც მოცემულ ტექსტს განიხილავენ, მსგავს შედეგებამდე მივიდნენ. სწორედ ამ გზით ცდილობენ მოცემული მიდგომის წარმომადგენლები საზომის სანდოობის (სხვადასხვა მკვლევრის მიერ მისი იდენტურად გამოყენება) და შედეგების ვალიდურობის (ამა თუ იმ სიტყვის გამოყენების სიხშირის დათვლა) უზრუნველყოფას

(სილვერმენი, 2011).

რა საფეხურებს გადის მკვლევარი არანარატიული კონტენტანალიზისას? -

სავალდებულოდაა მიჩნეული შემდეგი საფეხურების გავლა (სილვერმენი, 2011):

1. საკვლევი პრობლემისათვის რელევანტური ტექსტების მოძიება;
2. სათანადო შერჩევის განხორციელება, თუ მათი რაოდენობა ძალიან დიდია;
3. მონაცემებისათვის რელევანტური კოდების ჩარჩოს (კატეგორიზაციის სქემის) შექმნა;
4. შერჩეული ტექსტური მასალის კოდირება;
5. მონაცემების ფაილის შექმნა სტატისტიკური ანალიზისთვის - კოდების სიხშირის გამოვლენისათვის.

ამგვარი კოდირება იძლევა მონაცემების დიდი რაოდენობის გაცხრილვისა და მათ ორგანიზებულ სეგმენტებამდე დაყვანის შესაძლებლობას, რითაც ამარტივებს თვისებრივ ანალიზს.

კონტენტანალიზის დიზაინი მოიცავს კვლევის პროცესში განხორციელებული საფეხურების აღწერას, სხვა სიტყვებით, კონტენტანალიზის დიზაინი გულისხმობს მკვლევარის მოძრაობას ტექსტიდან კვლევის შედეგებამდე. კონტენტანალიზის პროცესში შემდეგი საფეხურებია გასავლელი (წულაძე, 2020):

1. ანალიზის ერთეულის განსაზღვრა - ტექსტის ამა თუ იმ სეგმენტის – სიტყვების, ფრაზების და ა.შ. – სისტემატურ იდენტიფიცირებას და ანალიზის ძირითად სამიზნედ ქცევას გულისხმობს.

ანალიზისთვის მნიშვნელოვანი ერთეულების განსაზღვრა მკვლევარს მონაცემების შეკვეცაში, ანუ ანალიზისთვის უმნიშვნელო ერთეულების გაცხრილვაში ეხმარება. ანალიზის ერთეულებად შეიძლება მოგვევლინოს სიტყვები, ტერმინები, თემები, აქტორები, პარაგრაფები და ცნებები (ბერგი & ლუნი, 2012).

სიტყვა კონტენტანალიზის ყველაზე მცირე ერთეულია. რაოდენობრივი კონტენტანალიზისას ზომავენ მოცემულ ტექსტში კონკრეტული სიტყვების გამოყენების სიხშირეს, ხოლო თვისებრივი კონტენტანალიზისას იკვლევენ მათ სემანტიკურ

მნიშვნელობას.

თემა მარტივი წინადადებაა, რომელშიც სუბიექტი და მისი ქმედებაა წარმოდგენილი. რადგანაც სუბიექტი მისი ქმედებით ტექსტში მრავალჯერ გვხვდება, ამიტომ წინასწარ უნდა განისაზღვროს, თუ რა კონკრეტული ამონარიდები უნდა გაანალიზდეს.

ტექსტური ანალიზის ერთეულად შესაძლოა აქტორიც მოგვევლინოს. ამ შემთხვევაში ტექსტში გარკვეული სიტყვების თუ ტერმინების გამოყენების სიხშირე კი არ იზომება, არამედ ამა თუ იმ აქტორის მოხსენიების სიხშირე (რაოდენობრივი კონტენტანალიზისას), ან ანალიზდება, თუ რა კონტექსტში და რა პერფორმატიული ფუნქციით გვევლინება ეს აქტორი (თვისებრივი კონტენტანალიზისას).

მისი კოდირების სირთულის გამო, პარაგრაფი ნაკლებად განიხილება კონტენტანალიზის ერთეულად, რადგან ერთ პარაგრაფში შესაძლოა თავმოყრილი იყოს რამდენიმე სხვადასხვა იდეა. თუმცა, რადგან თითოეული პარაგრაფი გარკვეულ არგუმენტს მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებით, ის ტექსტის კოდირებისა და კატეგორიზაციისთვის მაინც ვალიდური ერთეულია.

ცნების გამოყენება კონტენტანალიზისთვის პროცედურულად ყველაზე რთულია, რადგან ცნებები ნიშნავს კონცეპტუალურ კლასტერებად დაჯგუფებულ სიტყვებს (წულაძე, 2020).

შერჩევის განხორციელება - შერჩევა გულისხმობს ტექსტების იმგვარ რაოდენობამდე დაყვანას, რომ მათი ანალიზი რეალისტური იყოს და, იმავდროულად, ისინი ამ ერთობლიობის სტატისტიკურ (რაოდენობრივი კონტენტანალიზისას) ან კონცეპტუალურ (თვისებრივი კონტენტანალიზისას) რეპრეზენტაციას ახდენდნენ.

მონაცემების კოდირება წარმოადგენს ერთგვარ ხიდს ანალიზის ერთეულებსა და მკითხველის მიერ მათ გაგებას შორის. იქმნება ანალიტიკური კატეგორიები, რომლებიც სახელდება მკვლევარის მიერ. მკვლევარს მათი შედარება შეუძლია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ან სხვა მსგავსი კვლევების მონაცემებთანაც კი (წულაძე, 2020).

ანალიზის ერთეულების იდენტიფიცირებას და საერთო მახასიათებლების საფუძველზე მათ დაჯგუფებას, ანუ კატეგორიების შექმნას, მათი კოდირება მოსდევს. განსხვავებით რაოდენობრივი კონტენტანალიზისგან, სადაც კატეგორიები ურთიერთგამომრიცხავი

უნდა იყოს, რომ სტატისტიკური ანალიზის პროცესში ხარვეზები არ გამოიწვიოს, თვისებრივი კონტენტანალიზი იძლევა ტექსტის გარკვეული ერთეულის ერთდროულად ერთზე მეტი კატეგორიისათვის მიკუთვნებას (Tesch/ტეში, 1990). მიუხედავად თვისებრივი კონტენტანალიზის ამგვარი მოქნილობისა, კატეგორიები მაინც იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ შიგნიდან მაქსიმალურად ჰომოგენური, ხოლო გარედან, ანუ ერთმანეთთან მიმართებაში მაქსიმალურად ჰეტეროგენული იყოს (ლინკოლნი & გუბა, 1985).

საწყის ეტაპზე კოდირება, უმეტესად, აღწერთია, თუმცა ანალიზის გაღრმავების კვალდაკვალ, ის სულ უფრო ანალიტიკური ხდება. კოდირება მოიცავს სამ ეტაპს:

1. ღია კოდირებას, რაც გარკვეული ფენომენების თუ მოვლენების უფრო ფართო აღწერით კატეგორიებში გაერთიანებას გულისხმობს. ეს პროცესი გულისხმობს მოცემული ფენომენებისა თუ მოვლენების დანარჩენებთან შედარებას და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების დადგენას. ამ გზით, კონცეპტუალურად მსგავსი ფენომენები თუ მოვლენები ჯგუფდებიან და ქმნიან საერთო კატეგორიებსა თუ ქვეკატეგორიებს, რომელთაც მკვლევარი შესაბამის სახელწოდებას აძლევს (Corbin/კორბინი, Strauss/შტრაუსი, 1990);
2. ღერძულ კოდირებას, რომლის დროსაც კატეგორიების შემდგომი ჩაშლა ხდება ქვეკატეგორიებად. ლოგიკური და იერარქიული თანმიმდევრობით მათი განლაგების მიზნით, შემუშავდება კოდირების პარადიგმა (კორბინი & შტრაუსი, 1990). თუ კოდირების ჩარჩო (ბერგი & ლუნი, 2012), სადაც ზოგი კატეგორია „ბირთვულია“ (დომინანტურია), ზოგი კი – „პერიფერიული“ (არადომინანტური);
3. სელექციურ კოდირებას, რომელიც ყველა კატეგორიის „ბირთვული“ კატეგორიის გარშემო გაერთიანებას გულისხმობს. „ბირთვული“ კატეგორია წარმოადგენს ძირითად საკვლევ ფენომენს. მისი განსაზღვრა საკვლევ კითხვის საფუძველზე ხდება: რა არის ამ კვლევის მთავარი ფოკუსი? ანალიზის ამ ეტაპზე ხდება ნაკლები კატეგორიების შევსება, ბუნდოვანი კატეგორიების დაზუსტება და „ბირთვულ“ კატეგორიასთან მათი ლოგიკური კავშირის შემოწმება, რის შედეგადაც მიიღწევა აბსტრაქციის გარკვეული დონე (კორბინი & შტრაუსი, 1990). მონაცემების შეკვება ამარტივებს მონაცემების ანალიზს. რაოდენობრივი კონტენტანალიზის შემთხვევაში იგი სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით ხორციელდება, თვისებრივი კონტენტანალიზის

შემთხვევაში კი – მონაცემების შეჯამებით და ანალიზისთვის მხოლოდ არსებითი ინფორმაციის შენარჩუნებით.

დასკვნების გამოტანა მოცემული კონტექსტის შესაბამისი ანალიტიკური მოდელების საფუძველზე - კონტექსტური დასკვნების გამოტანის გზით ტექსტის ანალიზი სცილდება კონკრეტული მონაცემების ანალიზს და ტექსტის აღწერით ანგარიშს აკავშირებს მის ანალიტიკურ ინტერპრეტაციასთან. ძირითადი არგუმენტების გასამყარებლად მკვლევარს შესაბამისი სამხილის მოძიება სჭირდება, რაც კონტენტანალიზისას იმ ანალიტიკური მოდელების საფუძველზე ხდება, რომლებიც მოცემული კონტექსტის შესახებ გვაწვდის დეტალურ ცოდნას.

საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემა ნარატივის სახით, ანუ მონაცემების ინტერპრეტაციისთვის ნარატიული ანალიზის გამოყენება (წულაძე, 2020).

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახის თვისებრივი მონაცემების ანალიზს, ტექსტურ ანალიზსაც ახასიათებს სანდოობა და ვალიდურობა.

კონტენტანალიზი მიიჩნევა სანდოდ, თუ მკვლევრები თანხმდებიან მოცემული ტექსტური მონაცემებისა და კვლევის შედეგების იდენტურ გააზრებაზე. სანდოობა გვიჩვენებს, თუ რამდენად ეთანხმება აკადემიური წრე მოცემული ტექსტური მასალის სწორედ ამგვარ გააზრებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას (კრიპენდორფი, 2004).

კონტენტანალიზისას საუბრობენ სამი სახის სანდოობაზე: სტაბილურობაზე, რეპროდუცირებადობასა და აკურატულობაზე. სტაბილურობა უზრუნველყოფილია, თუ გარკვეული დროის შემდეგ განმეორებითი კოდირებისას კოდირების პროცედურა იძლევა იდენტურ შედეგებს (წულაძე, 2020).

რეპროდუცირებადობა უზრუნველყოფილია, თუ სხვა ადგილებსა და პირობებში მყოფ მკვლევარებს შეუძლიათ მოცემული კვლევის გამეორება. მაგალითად, ორმა ან მეტმა დამოუკიდებელმა მკვლევარმა შესაძლოა გამოიყენოს ანალიზის მსგავსი ერთეულების განსაზღვრისადმი მოცემული კვლევის მიდგომა და მოსალოდნელია, რომ ისინი მივლენ მსგავს შედეგებამდე. რეპროდუცირებადობას „ინტერსუბიექტურ თანხმობასაც“ უწოდებენ. იგი სანდოობის ბევრად უფრო ძლიერი საზომია, ვიდრე სტაბილურობა (ანუ დროთი სიმყარე), რადგან ცხოვრება ძალიან სწრაფად იცვლება (წულაძე, 2020).

აკურატულობის გაზომვისას მკვლევარები მოცემული კვლევის პროცესის ცალკეულ

პროცედურას იმ პროცედურებთან ადარებენ, რომლებიც გამართულად არის მიჩნეული. რადგანაც ამ შემთხვევაში უკვე აღიარებულ პროცედურებთან ხდება შედარება, აკურატულობა წარმოადგენს ტექსტური მონაცემების სანდოობის შემოწმების ყველაზე ძლიერ საზომს (კრიპენდორფი, 2004).

კონტენტანალიზის სანდოობასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ვალიდურობის უზრუნველყოფაც. საზომი ვალიდურად მიიჩნევა, თუ ის ნამდვილად ზომავს იმას, რის გაზომვაც იგეგმება. კონტენტანალიზი ვალიდურია, თუ შესასწავლი ტექსტებიდან მიღებული დასკვნები მკვლევარს ძირითადი არგუმენტისთვის ადეკვატურ სამხილს სთავაზობს, ერგება არსებულ თეორიულ ჩარჩოს ან ახალი იდეებით ამდიდრებს მას (კრიპენდორფი, 2004).

ტექსტის შინაარსთან მიმართებაში გამოიყოფა ორი სახის ვალიდურობა: შერჩევის ვალიდურობა, რაც ნიშნავს, რომ შესასწავლი ტექსტები სათანადოდ ასახავენ ტექსტების იმ ერთობლიობას, რომლიდანაც ის აღებულია და რომელზეც მოცემული კვლევის შედეგები უნდა გავრცელდეს; სემანტიკურ ვალიდურობა, რაც ნიშნავს, რომ ანალიტიკური კატეგორიები ზუსტად აღწერს ტექსტის მნიშვნელობას, სხვა სიტყვებით, მკვლევრები თანხმდებიან, რომ მოცემული კვლევის ფარგლებში შექმნილი კატეგორიების შემადგენელ ერთეულებს სწორედ ის მნიშვნელობა აქვთ, რასაც მათ მკვლევარი მიაწერს (კრიპენდორფი, 2004).

3.4. შერეული მეთოდოლოგია და ტრიანგულაცია როგორც ცენტრალური

მეთოდოლოგიური კონცეპტი

დღეს საკმაოდ აქტუალურია ლინგვისტურ კვლევაში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების სინთეზირების პრობლემა. აღნიშნული პრობლემა გულისხმობს ორი პარადიგმის ინტეგრაციასთან, უფრო ზუსტად კი, შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებასთან, კვლევის დიზაინში რაოდენობრივი და თვისებრივი ელემენტების კომბინირებასთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრას.

ორი პარადიგმის გაერთიანების სარგებელი არაერთხელ იქნა განხილული სოციალურ და

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროებში განხორციელებული კვლევის მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში (Brockmeier/ბროკმაიერი, ჰარი, 1997); (Litosseliti/ლიტოსელიტი, 2018). თუმცა, ჯერ კიდევ საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა პარადიგმათა კონტრასტირება, მათი ანალოგიზაციისა და სინთეზირების შესაძლებლობის უგულვებელყოფა. ერთი რამ აშკარაა: ამგვარი თვალსაზრისი მეტყველებს არა პარადიგმათა ურთიერთგამომრიცხავობასა და შეუთავსებლობაზე, არამედ მკვლევარის მსოფლმხედველობაზე.

შერეული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მკვლევარს პრობლემების გადაჭრის გზებით. ძალიან ხშირად შეუძლებელია ადეკვატური კითხვებზე პასუხების მოძიება ამ გზების გამოყენების გარეშე. შერეული მეთოდოლოგიის გამოყენება გულისხმობს კვლევის საზღვრების გადალახვასა და ინტერდისციპლინარიზმისაკენ სვლას.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კონსენსუსი იმის შესახებ, რომ მიდგომების გაერთიანება არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ სასარგებლოა "რეალობის" სხვადასხვა ასპექტის გამოვლენისათვის, ისევ ელოდება პასუხს შემდეგი შეკითხვები:

1. რამდენად ბუნებრივია სხვადასხვა პარადიგმისა და მეთოდის გაერთიანება ერთ სააზროვნო სივრცეში?
2. რა განაპირობებს ამ ტიპის გაერთიანების აუცილებლობას?
3. როგორ უნდა დაიძლიოს სხვადასხვა მიდგომათა შეჯერებასთან დაკავშირებული პოტენციური ბარიერები?
4. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს რაოდენობრივი ანალიზის მეშვეობით შაბლონები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდება თვისებრივი ინტერპრეტაცია?
5. როგორ უნდა განისაზღვროს შერეული მეთოდების პარადიგმა?
6. როგორ უნდა დადგინდეს ორი პარადიგმის ინტეგრაციის ხარისხი - „ზომა“?

ლინგვისტიკაში ფიქსირდება მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიძლება გარკვეულ მიდგომებთან „კუთვნილებამ“ გავლენა მოახდინოს შერჩეულ მეთოდოლოგიაზე. თითოეულ მეთოდოლოგიას გააჩნია მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების საკუთარი რეპერტუარი. მიდგომები ხშირად იზღუდება დისციპლინის საზღვრებით, ოპერირებს

„საკუთარი“ კონცეფციებითა და ინსტრუმენტებით. ფაქტია, რომ ხშირად მიდგომები ვერ „თავსდებიან“ ერთ დიზაინში.

ლინგვისტიკის სფეროში არსებობს შემთხვევი, როდესაც პარადიგმებისა და მეთოდების კომბინაცია არ არის გამიჯნული პარადიგმებისა და მეთოდების ინტეგრაციისაგან.

ბუნებრივია ჩნდება კითხვა: როგორ უნდა განხორციელდეს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ინტეგრაცია? - პასუხი ამ შეკითხვაზე შემდეგნაირად ჟღერს: იმისათვის, რომ განხორციელდეს მეთოდების ინტეგრაცია, აუცილებელია:

1. მონაცემთა შეგროვების ორი სახის პროცედურის (მაგალითად: თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი და ინტერვიუ) გამოყენება;
2. ორი სახის მონაცემის (მაგალითად, რიცხვითი და ტექსტუალური) შეგროვება;
3. მონაცემის ანალიზის ორი ტიპის (მაგალითად, სტატისტიკური და თემატური) განხორციელება.

თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების ინტეგრაციის პრობლემა გულისხმობს თვისებრივი და რაოდენობრივი კომპონენტის თანმიმდევრობას და მნიშვნელოვნებას (დომინირებას).

მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი კვლევა სასარგებლოა კვლევის შედეგების განზოგადებისათვის, თვისებრივი მიდგომები განსაკუთრებით ღირებულია სიღრმისეული, მდიდარი მონაცემების მოპოვებისათვის. შერეული მეთოდოლოგია უზრუნველყოფს თვალსაზრისთა მრავალფეროვნებასა და დასკვნების არგუმენტირებულობას. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება ხშირად ასოცირდება ტრიანგულაციასთან.

ტრიანგულაცია, როგორც ცენტრალური მეთოდოლოგიური კონცეპტი, წარმოადგენს ვალიდური კვლევის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს (Cohen/კოენი, Manion/მანიონი, 1994). დენზინი თავის ნაშრომში მიუთითებდა ერთზე მეტი ტიპის ტრიანგულაციის არსებობაზე (დენზინი, 1970):

1. მონაცემთა ტრიანგულაცია (ერთზე მეტი შერჩევის მეთოდის გამოყენება მონაცემების შეგროვებისათვის);

2. მკვლევარის ტრიანგულაცია (ერთზე მეტი მკვლევარის მონაწილეობა);
3. თეორიული ტრიანგულაცია (ერთზე მეტი თეორიული პოზიციის გამოყენება);
4. მეთოდოლოგიური ტრიანგულაცია (ერთზე მეტი სახეობის მეთოდოლოგიის გამოყენება).

მონაცემთა ტრიანგულაცია ეხება მონაცემთა შეგროვების მეთოდებს, ხოლო მეთოდური ტრიანგულაცია უფრო ფართოა და გულისხმობს კვლევის დიზაინში ერთზე მეტი სახეობის მეთოდოლოგიის გამოყენებას.

ტრიანგულაცია ხშირად არის კვლევის შერეული მეთოდით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. საქმე ისაა, რომ ტერმინის „ტრიანგულაცია“ არ არის თანმიმდევრული. შერეული მეთოდების ტიპოლოგიის მიხედვით, ზოგი მკვლევარი გვთავაზობს დიზაინს (Green/გრინი, Preston/პრესტონი, 2005); (გრინი, Caracelli/კარაცელი, Graham/გრამი, 1989), ზოგი კი ამტკიცებს, რომ ტერმინი ნიშნავს დასკვნების თანხვედრას და კვლევის შედეგების დასაბუთებას (ბრაიმანი, 2006; ბრაიმანი, 2007).

ამ თვალსაზრისის მიხედვით, არსებობს მოლოდინი იმისა, რომ მონაცემთა სხვადასხვა ნაკრები ან განსხვავებული მეთოდოლოგიის გამოყენება გამოიღებს მსგავს შედეგებს, უზრუნველყოფს მკვლევარის მიერ ადეკვატური ინტერპრეტაციის განხორციელებისა და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობას (Lyons/ლიონსი, 2000).

ტერმინი „ტრიანგულაცია“ ასევე ასოცირდება კვლევის შედეგების სანდოობასთან. ამ მიდგომასთან დაკავშირებით ჩნდება ვარაუდი: რამდენადაც სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით მოპოვებული მონაცემების ანალოგიზაცია-კონტრასტირება ხორციელდება კვლევის ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხის გასაცემად, ეს თვალსაზრისი ვარაუდობს, რომ არსებობს ერთი ობიექტური „რეალობა“ ან „სიმართლე“, შესაბამისად, უგულვებელყოფილია ალბათობა იმისა, რომ სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემები შეიძლება ავლენდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო რეალობას (Harden/ჰარდენი, Thomas/ტომასი, 2005).

ამავე დროს მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ტრიანგულაცია არ არის შერეული მეთოდის კვლევის ერთადერთი მიზანი. არსებობს შერეული მეთოდის დიზაინის ტიპოლოგია, რომელიც, ტრიანგულაციის გარდა, მოიცავს ოთხ შერეულ

მეთოდს (გრინი & პრესტონი, 2005):

1. ინიციატორი, რომელიც ორიენტირებულია მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებისა და პარადოქსების აღმოჩენაზე;
2. კომპლიმენტარულობა, რომლის მიზანია ერთი და იმავე ფენომენის სხვადასხვა ასპექტის გამოვლენა;
3. განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს ერთი მეთოდით მიღებული მონაცემების გამოყენებას მეორე მეთოდის დიზაინისათვის;
4. გაფართოება, რომელიც ორიენტირებულია კვლევის სფეროს გაფართოებაზე (Tashakkori/ტაშაკორი, ტედლი, 2003).

ბრაიმანის თვალსაზრისით, მეცნიერთა დიდი ნაწილი შერეულ მეთოდს იყენებს კვლევის შედეგის შემდგომი დამუშავების მიზნით (ბრაიმანი, 2006).

წლების განმავლობაში ტრიანგულაცია იქცა ჯადოსნურ სიტყვად. ტრიანგულაცია იმდენად ხშირად ასოცირდება შერეული მეთოდის კვლევასთან, რომ დაფიქსირდა შემდეგი მოწოდება: თავი შეიკავეთ შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებისგან, თუ არ დააკონკრეტებთ მისი გამოყენების სპეციფიკას კონკრეტული კვლევის კონტექსტში (ტაშაკორი & ტედლი, 2003).

ეს არ ნიშნავს დაეჭვებას ტრიანგულაციის ღირებულებაში. აშკარაა, რომ ტრიანგულაცია უზურუნველყოფს კვლევის რთული საკითხის უკეთ გააზრების შესაძლებლობას (Creswell/კრესველი, Clark/კლარკი, Gutmann/გუტმანი, Hanson/ჰანსონი, 2003); (Dörnyei/დორნიეი, 2007).

ჰოლმისა და მეიერჰოფის თქმით „მკვლევარები ნაყოფიერად აერთიანებენ სხვადასხვა მეთოდოლოგიის ასპექტებს, რათა უპასუხონ კითხვებს, რომლებიც წარმოიქმნება მათი კვლევის დროს“ (Holmes/ჰოლმსი, Meyerhoff/მეიერჰოფი, 2003); მიუხედავად იმისა, რომ მეთოდოლოგიის თაობაზე არსებულ თვალსაზრისთა ველში კვლავ საგრძნობია "პარადიგმის ომების ნარჩენები" (ტაშაკორი & ტედლი, 2003). ერთ საკითხზე მაინც მიღწეულია კონსენსუსი: შერეული მეთოდოლოგია უზურუნველყოფს სიახლეთა აღმოჩენის შესაძლებლობას. პარადიგმათა სინთეზირების წყალობით, შერეული მეთოდებით კვლევა აფართოებს დისციპლინათა საზღვრებს და ხელს უწყობს მონაცემთა შეგროვების

ინსტრუმენტების ფართო სპექტრის გამოყენებას.

ჩვენი კვლევისათვის რელევანტურია რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების სინთეზირების პრობლემა. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში ეს დიქტომია ნაკლებად მკაცრი გახდა და შერეული მეთოდოლოგიისა და ტრიანგულაციის მიდგომების გამოყენებამ განაპირობა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდის ერთდროული გამოყენება.

რა განსხვავებაა რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას შორის? - თვისებრივი კვლევა ეხება სტრუქტურებსა და ნიმუშებს, ხოლო რაოდენობრივი კვლევა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენია კონკრეტული მახასიათებელი ან ნივთი. რაოდენობრივი კვლევის დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა შედარებით დიდი რაოდენობის ფენომენთა შედარების შესაძლებლობას. რაოდენობრივი მნიშვნელობა მიუთითებს თვისებრივ მნიშვნელობაზე.

კიდევ ერთი განსხვავება თვისებრივ და რაოდენობრივ კვლევებს შორის: თვისებრივი კვლევები ინდუქციურია - თეორია გამომდინარეობს კვლევის შედეგებიდან (მაგალითად, ინტერვიუს შემთხვევაში, თეორია გამომდინარეობს ტექსტუალური მონაცემებიდან).

3.5. მიდგომები და რესურსები

1985 წლიდან WordNet – ის წარმოების მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად შეიცვალა. თავდაპირველად დაიწყო პრინსტონის WordNet– ში (PWN) ათვისებული ფსიქოლინგვისტური ტექნიკით, შემდეგ კი გადავიდა EuroWordNet (EWN) პროექტის სრულიად განსხვავებულ მეთოდოლოგიაზე, რომელიც ეფუძნება არსებული რესურსების გამოყენებას, ან თავად PWN-ის გაფართოების მოდელში, ან ხელმისაწვდომი ეროვნული ენობრივი რესურსების შერწყმის მოდელში.

კვლევის მოცემულ სეგმენტში ჩვენ შემოგთავაზებთ კავშირს ამ ორ მეთოდოლოგიას შორის და წარმოვადგენთ რესურსს, რომელიც შეიცავს ფსიქოლინგვისტურ მონაცემებს კარგად სტრუქტურირებული ფორმით, რომელიც რელევანტურია როგორც PWN, ისე EWN მეთოდებისათვის.

ამავე სეგმენტში წარმოგიდგენთ WAT-დან მიღებული სხვადასხვა სახის ემპირიულ ენობრივ მონაცემებზე და WordNet -ის კონსტრუირებაში მათი გამოყენების სპეციფიკაზე დაკვირვების, ასევე WAT-ის გამოყენების შედეგების ტექსტურ კორპუსებთან შედარების შედეგებს.

თავდაპირველად ტერმინით "ასოციაცია" ფსიქოლინგვისტიკაში აღინიშნებოდა იდეების, ცნებებისა თუ სიტყვების კავშირი, ან მიმართება, რომელიც არსებობს ადამიანის გონებაში და ვლინდება შემდეგნაირად: ერთი ობიექტის გამოჩენა გულისხმობს მეორის გამოჩენას გონებაში.

თანამედროვე კვლევებში ეს ტერმინი ხშირად ფართოვდება კორპუსლინგვისტიკისა და ლექსიკოგრაფიის ფარგლებში, მაგრამ ჩვენ გამოვიყენებთ მას ტრადიციული გაგებით.

ასოციაციის მექანიზმის გამოსავლენად უმარტივეს ექსპერიმენტულ ტექნიკას წარმოადგენს „თავისუფალი ასოციაციის ტესტი“ (FAT). რესპოდენტები აფიქსირებენ თავიანთ რეაქციებს სიტყვა-სტიმულზე (სტიმულებზე), რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. განსხვავებით ასოციაციის ექსპერიმენტების სხვა, უფრო დახვეწილი ფორმებისგან (მაგ. კონტროლირებადი ასოციაციის ტესტი, პრაიმინგი და ა.შ.), FAT იძლევა ფართო ინფორმაციას ადამიანის გონებაში არსებული ცოდნის სტრუქტურირების თავისებურებათა შესახებ.

FAT სერიის ტესტი ჩატარდა რამდენიმე ასეული სტიმულით და რამდენიმე ათასი სუბიექტით. მისი შედეგები მოცემულია ცხრილების სახით და ეწოდა "Word Association Norms" (WAN). WAN-ი წარმოადგენს სტიმულების ჩამონათვალს, პასუხების სიას, მათი სიხშირეებით თითოეული სტიმული-სიტყვისათვის. პასუხების განაწილებასთან ერთად, პასუხის სიხშირე განიხილება, როგორც არსებითი ინდექსი, რომელიც ასახავს სიტყვებს შორის სემანტიკური ურთიერთობების სიმძლავრეს.

პირველი WAN შეაგროვეს კენტმა და როზანოფმა (Kent/კენტი, Rosanoff/როზანოფი, 1910) 100 სტიმულიანი სიტყვების სიის საფუძველზე, არსებითი სახელებისა და ზედსართავების ჩათვლით და 1000 სუბიექტის მონაწილეობით.

მას შემდეგ მრავალი ერთენოვანი, ასევე ორენოვანი და სამენოვანი WAN გამოქვეყნდა, რომლებშიც, ძირითადად, კენტისა და როზანოფის სტიმულის სიის გამოცდილებაა

გამოყენებული სხვა ენების მიმართ.

ასოციაციაციათა თეზაურუსი (WAT) საკმაოდ ჰგავს WAN– ს, მაგრამ ის მნიშვნელოვნად აღემატება მოცულობით (იგი მოიცავს რამდენიმე ათას სტიმულს). ასევე გაცილებით რთულია მონაცემთა შეგროვების პროცედურაც: სტიმულის მცირე ნაკრები გამოიყენება როგორც ექსპერიმენტის საწყისი წერტილი, მათთვის მიღებული პასუხები გამოიყენება სტიმულის სახით შემდგომ ეტაპზე, ციკლი მეორდება მინიმუმ 3 -ჯერ. ამგვარად, WAT, სავარაუდოდ, იქნება "თეზაურუსი", ანუ მოიცავს და ასახავს ენის ძირითად სტრუქტურას. WAN– ისგან განსხვავებით, ჯერჯერობით WAT ხელმისაწვდომია მხოლოდ ორ ენაზე: ინგლისურ (Kiss/კისი, Armstrong/არმსტრონგი, Milroy/მილროი, 1972): 8400 სტიმული – 54000 სიტყვა - 1000 სუბიექტი, (Nelson/ნესლონი, McEvoy/მაკევი, Schreiber/შრაიბერი, 1998): 5000 სტიმული - 75000 პასუხი - 6000 სუბიექტი და რუსულ ენებზე (Karaulov/კარაულოვი 1994, 1996, 1998): დაახლოებით 8000 სტიმული - 23000 სიტყვა - 1000 საგანი.

ჩვეულებრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ის, თუ რას აჩვენებს სინამდვილეში FAT? ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ გარკვეული სიტყვები გარკვეულწილად არის დაკავშირებული, მაგრამ არ აკონკრეტებენ, როგორ. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათა ასოციაციის ტესტების შედეგები სავსეა ღირებული ინფორმაციით, ისინი დიდი სიფრთხილით უნდა განიმარტოს (კლარკი, 1970).

პირველი, ვინც სცადა სიტყვების ასოციაციების ენობრივი ინტერპრეტაცია, იყო დიზი (Deese/დიზი, 1965), რომელმაც გამოიყენა სიტყვა ასოციაციები სხვადასხვა სიტყვების სემანტიკური მსგავსების გასაზომად. ის ვარაუდობდა, რომ მსგავსმა სიტყვებმა უნდა გამოიწვიოს მსგავსი პასუხები. ამრიგად, თვით სიტყვა-სტიმული განიხილება, როგორც პასუხი თითოეული სუბიექტისთვის. მან გამოთვალა სიტყვების წყვილთა კორელაციის ინდექსი, როგორც პასუხების ორი განაწილების კვეთა და განმარტა იგი, როგორც სემანტიკური მსგავსების საზომი.

როგორ შეიძლება WAT– მა ხელი შეუწყოს wordnet– ის დაფარვის პრობლემებს და მის შესაბამის კონსტრუირებას?

ექსპერიმენტები (Ufimtseva/უფიმცევა, 2002) გვიჩვენებს, რომ ყველა ენაში არსებობს შეზღუდული რაოდენობის სიტყვები, რომლებიც უფრო ფიქსირდებიან WAT– ში, ვიდრე

სხვა სიტყვები. აღნიშნული სიტყვების მახასიათებლებს წარმოადგენს მაღალი სიხშირე და სტაბილურობა, სხვა სიტყვებით ამ სიტყვათა რეპერტუარი დროთა განმავლობაში დიდად არ იცვლება და არ არის დამოკიდებული შერჩეულ სიტყვა-სტიმულთა რაოდენობაზე.

ეს სიტყვები განსაზღვრავს კონკრეტული ენის ფუნდამენტურ კონცეპტებს და, შესაბამისად, უნდა შედიოდეს ლექსიკურ მონაცემთა ბაზაში, როგორც მისი ძირითადი კომპონენტები (მაგ., EWN ძირითადი კონცეპტები (Vossen/ვოსენი, 1998)), წარმოადგენს ყველაზე ზოგად ცნებებს, ეს სიტყვები ასოცირდება სხვა (უფრო სპეციფიკურ) სიტყვებთან ჰიპონიმიური ურთიერთობების საშუალებით.

იდეათა ასოციაციის კანონის თანახმად, ცხოვრების განმავლობაში ჩვენ ვსწავლობთ, თუ "რა რას უკავშირდება და ერწყმის". მაშასადამე, თუ სიტყვა-სტიმული არის ზმნა, მოსალოდნელია, რომ პასუხები იყოს მისი ყველა თანმხლები სიტყვა, მისი კონტექსტები, არსებითი სახელები, ზედსართავები და ზმნიზედები.

ეს მონაცემები შეიძლება იყოს ჩართული WordNet -ში, როგორც სიტყვების კონტექსტების, ისე სიტყვებს შორის სემანტიკური ურთიერთობების ნიმუშები. უფრო მეტიც, თითოეულ ნიმუშს შეიძლება თან ახლდეს ალბათობის ინდექსი, რომელიც ასახავს WAT- ში მისი წარმოქმნის სიხშირეს.

ეს მონაცემები სასარგებლოა WordNet - ის აგების სხვა ამოცანების შესასრულებლად. ის იძლევა ემპირიულ საფუძველს სიტყვის მნიშვნელობების, სინონიმური, ჰიპონიმიური და ანტონიმური ურთიერთობების დიფერენცირებისათვის.

იდეათა ასოციაციის კანონს ასევე შეუძლია ახსნას WAT-ში პარადიგმატულად დაკავშირებული სიტყვების თანაარსებობა. ისევე, როგორც სინონიმები, ჰიპონიმები/ჰიპერონიმები, მერონიმები, ან ანტონიმები რეგულარულად თანაარსებობენ კონტექსტში, ისინიც ხშირად ჩნდებიან WAT-ში ერთად, როგორც წყვილი "სტიმული-რეაქცია".

პარადიგმატული ურთიერთობები არის WAT- ის თვისება, რომელიც განასხვავებს მას სხვა ენობრივი რესურსებისგან (არ არსებობს ასეთი მკაფიო ინფორმაცია განმარტებით ლექსიკონებში, ხოლო კორპუსიდან მის ამოსაღებად საჭიროა რამდენიმე რთული ტექნიკის გამოყენება).

ეს ინფორმაცია შეიძლება პირდაპირ შედიოდეს WordNet -ში. გარდა ამისა, ეს ინფორმაცია გვეხმარება გავამდიდროთ და შევამოწმოთ ადრე ფიქსირებულ მიმართებათა რეპერტუარი.

გარდა სემანტიკური ურთიერთობების ჩვეულებრივი კომპლექტის მონაცემებისა, როგორცაა სინონიმია, ჰიპონიმია, მერონიმია და ა.შ. - WAT იძლევა უფრო დახვეწილ ინფორმაციას ცოდნის დომენური სტრუქტურირების თავისებურებათა შესახებ.

ამ ტიპის მონაცემების ამოღება კორპუსიდან არც ისე იოლია, განმარტებითი ლექსიკონებში იგი მხოლოდ ნაწილობრივადაა წარმოდგენილი (ზოგადად, მოიცავს მხოლოდ სპეციალურ ტერმინოლოგიას) და, უმეტეს წილად, ლექსიკოგრაფების ინტუიციას ეფუძნება.

ჩვეულებრივი ენობრივი რესურსებისგან განსხვავებით (LRs), WAT პირდაპირ ასახავს იმას, თუ როგორ არის დაჯგუფებული საერთო სიტყვები მათ მიერ აღწერილი რეალობის ფრაგმენტების მიხედვით. დომენური ურთიერთობები შეიძლება მიეკუთვნებოდეს თითოეულ სიტყვას wordnet-ში, რაც გვამძლევს უფრო ფართო ცოდნას თითოეული სიტყვის შესაძლო კონტექსტების შესახებ.

ფაქტია, რომ WAT- ში სიტყვის ასოციაციის დაახლოებით 80%, ისევე, როგორც კორპუსში სიტყვის 90%, დაკავშირებულია მშობლიური ენის მატარებლის აღქმასთან. ეს საშუალებას გვამძლევს გავზომოთ მშობლიური ენის მატარებლისათვის კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობა და, შესაბამისად, ვიპოვოთ სიტყვის შესაბამისი ადგილი მშობლიური ენის მატარებლის გრძნობათა და აზრთა/მნიშვნელობათა იერარქიაში.

იმავე PoS ფარგლებში სინტაგმატური და პარადიგმატური ასოციაციების პროპორცია მნიშვნელოვნად განსხვავდება. ეს თანაფარდობა დაკავშირებულია ზმნების სინტაგმატურ მახასიათებელთან - ვალენტობასთან, რაც, თავის მხრივ, კორელაციაშია ზმნის სემანტიკურ მახასიათებლებთან. ეს ჰიპოთეზა დადასტურებულია ზმნების სემანტიკური კლასიფიკაციის ფორმალური კრიტერიუმების საფუძველზე.

აღიარებულია, იმისათვის, რომ მოვიპოვოთ მონაცემები ადეკვატური და საიმედო ლექსიკური ბაზის შესაქმნელად (მაგ. WordNet), რომელიც ასახავს ენის სრულ პოტენციალს, არ არის საკმარისი, რომ დავეყრდნოთ "ექსპერტების" (მაგ. ენათმეცნიერების, ლექსიკოგრაფების) მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რომელიც ინახება

ჩვეულებრივ LR- ში. მონაცემების მოპოვება ერთეულის რეალური და პოტენციური გამოყენების შემთხვევათა სპეციფიკის თაობაზე შესაძლებელია ფსიქოლინგვისტური ტექნიკის საშუალებით.

როგორია RWAT- ისა და კორპუსის ურთიერთგადაფარვა? - სტატისტიკურმა ანალიზმა და „დაუმუშავებელი“ LR-ების შედარებამ გამოავლინა ტექსტური კორპუსები და სიტყვა ასოციაციები, რათა დადასტურებულიყო კორელაცია კორპუსში XY თანაარსებობის სიხშირესა და WAN- ში X-Y ასოციაციის სიძლიერეს შორის. ამ ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ კორპუსების გამოყენება შესაძლებელია WAN-ის მსგავსი სიძლიერის ასოციაციის მისაღებად, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვებისათვის.

WAT- ის გამოყენების უპირატესობა WordNet –ის სტრუქტურირებაში მდგომარეობს:

1. მონაცემთა მოპოვების სიმარტივეში;
2. მოპოვებული სემანტიკური ინფორმაციის მრავალფეროვნებაში;
3. მოპოვებული მონაცემების ემპირიულ ხასიათში (განმარტებითი და ორენოვანი ლექსიკონები, რომლებშიც წარმოადგენილია მკვლევრის ინტროსპექციისა და ინტუიციის შედეგები, იწვევს ერთეულთა არასათანადო შეფასებას);
4. WAT-ის ფუნქციონირების სპეციფიკაში - WAT შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც "გადაუმუშავებელი" ენობრივი მონაცემების წყარო, რომელიც შედარებულია დაბალანსებულ ტექსტურ კორპუსთან და რომელსაც შეუძლია ყველა საჭირო ემპირიული ინფორმაციის მოწოდება ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში;
5. წარმოდგენილი მონაცემების ალბათურ ხასიათში.

შეიძლება ითქვას, რომ WAT-ისა და სხვა LR- ს პარალელური გამოყენება წარმოადგენს WordNet -ის მუდმივი დახვეწისა და გაფართოების ეფექტურ გზას. ჩვენ გვჯერა, რომ WordNet -ის მაქსიმალური თანმიმდევრულობა და მოცულობა მიღწევადია.

3.6. კონცეპტის კომპლექსური აღწერის მეთოდი

კონცეპტუალური კვლევის პრობლემებზე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვაზოგადოთ თანამედროვე ლინგვისტიკაში კონცეპტის ანალიზის მეთოდოლოგიისა და მეთოდის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი.

სავსებით ბუნებრივია, რომ თავად კვლევის ობიექტის სირთულის და მისი შესწავლისადმი მიდგომების მრავალფეროვნების გამო, დღეს ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ კონცეპტის ანალიზისადმი რაიმე ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული კვლევის ტექნოლოგიის არსებობაზე. ჰუმანიტარული ცოდნის თანამედროვე პარადიგმაში თანაარსებობს კონცეპტის შინაარსისა და მისი ენობრივი რეპრეზენტაციის სინქრონული, დიაქრონიული ან ექსპერიმენტული აღწერის პრინციპები, მეთოდები, ტექნიკა და პროცედურები. პირობითად შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სამეცნიერო სტრატეგია, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულია ლინგვისტური და კულტურული ორიენტაციის კონცეპტუალური კვლევების ამა თუ იმ ასპექტზე: ეთნოლინგვისტური მიდგომა, კოგნიტიურად ორიენტირებული მიდგომა და ექსპერიმენტული მიდგომა.

ეთნოლინგვისტური მიდგომა კონცეპტის ანალიზისადმი თავდაპირველად გაჩნდა დიაქრონიული, ისტორიული და ლინგვისტური კვლევის ფარგლებში. სხვადასხვა კულტურის სფეროს ერთეულები - რიტუალი, ცეკვა და სიმღერა, სახვითი ხელოვნება და ა.შ. - სიმბოლურად გამოხატავენ ერთსა და იმავე სემანტიკას და ვარირებენ საერთო სემიოტიკური კოდის - ინტერკოდის - საფუძველზე.

ერის მენტალიტეტზე საუბარი მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით შეიძლება. ასეთ შემთხვევაში იგი კი არ კონსტრუირდება, არამედ ხელახლა იქმნება მის განსხვავებებში. კონცეპტების, როგორც „ეროვნულ-კულტურული გენების“, რეკონსტრუქცია ხორციელდება ლექსიკის მნიშვნელოვანი თემატური ჯგუფების ეტიმოლოგიური და ისტორიულ-ლინგვისტური კვლევებით (ფერი, სივრცითი ორიენტაცია, ოჯახი და ხალხი, სამართალი და ა.შ.), ასევე გრამატიკული კატეგორიებისა და სტრუქტურების ფორმირებისა და განვითარების თავისებურებათა შესწავლით (სუბიექტისა და პრედიკატის გამოხატვის თავისებურებები, გრამატიკული დროის სპეციფიკა. და ა.შ.).

სტეპანოვს მიაჩნია კონცეპტები კულტურულ დომინანტებად - „მშვიდობა“, „ქეშმარიტება“, „ცოდნა“, „რწმენა“, „კანონი“ და ა.შ. ადამიანი თავის კულტურულ და

ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს იმ დომინანტებით, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე მსოფლმხედველობაში. მეცნიერის აზრით, „ნებისმიერი საზოგადოების მთელი კუმულაციური სულიერი კულტურა დიდწილად შედგება ამ ცნებებით ოპერაციებში, ხოლო დამწერლობის წარმოშობამდე არსებული კულტურის ისტორია აღბეჭდილია არა არქეოლოგიურ ძეგლებში (არა "ძვლებში"), არამედ სიტყვების მნიშვნელობებში“.

ეთნოლინგვისტური მიმართულების ფარგლებში, კერძოდ კი, დიალექტოლოგიურ კვლევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონცეპტუალურ ანალიზს. ამ ტიპის ანალიზის მნიშვნელობა მდგომარეობს ტრადიციული კულტურის კონცეპტუალური სფეროების მოდელირებაში ძირითადი კონცეპტების იდენტიფიცირებით ისეთ ტრადიციულ კულტურულ კოდებში, როგორცაა: ანთროპომორფული, ზომომორფული, სომატური, ყოფითი, სივრცითი და დროითი კოდები. კონცეპტუალური სფეროების მოდელირება იძლევა ეთნიკური ცნობიერების რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.

კვლევის ამ მიმართულებაში თავსდება თელიას კვლევებიც: „ფრაზეოლოგიური ერთეულების კონტრასტული აღწერის შედეგები ნათელს ჰფენს ეთნიკურ ლოგიკას, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს მსოფლიოს „ნაივურ“ კულტურულ-ენობრივ, ენობრივ ხატებში“ არსებულ განსხვავებებს (თელია, 1999). თავად ტერმინის „კონცეპტი“ გამოყენების გარეშე, მკვლევარმა, ფაქტობრივად, შემოგვთავაზა „კულტურის ენის“ კონცეპტუალური ანალიზის პროგრამა, რომელიც ეფუძნება ფრაზეოლოგიური ერთეულების შიდა ფორმის რეკონსტრუქციის მეთოდს, ე.ი. მისი ხატობრივი საფუძვლის აღწერას. ეს მეთოდი ეყრდნობა ფრაზეოლოგიური ერთეულის „სიტყვასიტყვით“ წაკითხვას, რისი შედეგებიც გვაძლევს ფრაზეოლოგიური ერთეულის ეროვნულ-კულტურული კონოტაციის წვდომის შესაძლებლობას.

კონცეპტის ანალიზისადმი ლინგვოკოგნიტური მიდგომა ხასიათდება კონცეპტუალური შინაარსის სინქრონულ აღწერაზე ორიენტაციით. მრავალი სამეცნიერო კონცეპტის ლინგვოკოგნიტური აღწერის ბევრი სტრატეგია ეყრდნობა ჯ.ლაკოფის და მ. ჯონსონის კონცეპტუალური მეტაფორის თეორიას (Лаккоф/ლაკოფი, Джонсон/ჯონსონი, 2004).

აბსტრაქცია სამყაროს ეროვნულ აღქმაში, „ლინგვისტურ ცოდნაში“ სხვაგვარადაა წარმოდგენილი, ვიდრე სამყაროს მეცნიერულ სურათში. აბსტრაქტული ცნებები ექვემდებარება კონცეპტუალური მეტაფორის მოდელის მიხედვით ობიექტივაციას.

ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს ვეჟბიცკას სამეცნიერო მემკვიდრეობა - განხორციელებული კონცეპტუალური ანალიზის შემთხვევა. თავად ა. ვეჟბიცკა არ მიაკუთვნებს საკუთარ მოღვაწეობას კოგნიტურ ლინგვისტიკას, თუმცა ეთნოფსიქოლოგიის სფეროში (მაგალითად, „კულტურის ბირთვული სიტყვები“, „კულტურული სკრიპტები“, „კულტურული სცენარები“ და ა.შ.) მის მიერ განხორციელებული კვლევები ორიენტირებულია სამყაროს კონცეპტუალიზაციის მოდელების სპეციფიკის - სხვადასხვა ენაში, შესაბამისად კი, სხვადასხვა კულტურაში მათი მსავსება- განსხვავებების იდენტიფიცირებაზე.

ეყრდნობოდა რა მის მიერვე შექმნილ „სემანტიკური პრიმიტივების“ მეტაენას, ვეჟბიცკამ შემოგვთავაზა ენობრივი ერთეულების მიღმა არსებული ცოდნის, განწყობებისა და ქცევის მოდელების სემანტიკური დესკრიფცია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ ვეჟბიცკას მიერ ენაში კონკრეტული ნომინაციის არსებობა განიმარტება, როგორც მოცემულ კულტურაში შესაბამისი კონცეპტის არსებობა (თუ ენას გააჩნია კონკრეტული სიტყვა ფენომენის აღსანიშნავად, ეს ნიშნავს, რომ ენის მატარებლებმა მიიჩნიეს ეს ფენომენი კულტურულად მნიშვნელოვანად და აღნიშნეს სიტყვით, რითაც განასხვავეს იგი სხვა ფენომენებისაგან) (ვეჟბიცკა, 1992).

კონცეპტთა ანალიზისადმი ექსპერიმენტული მიდგომა საკმაოდ ახალია, თუმცა ლინგვისტიკაში ექსპერიმენტის ტრადიციები არსებობის ას წელზე მეტს ითვლის. ექსპერიმენტულმა მეთოდმა სერიოზული იმპულსი მიიღო კოგნიტური ფსიქოლოგიის სფეროში განხორციელებული ექსპერიმენტული კვლევების წყალობით. თანამედროვე კონცეპტოლოგიაში ძირითადად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ფსიქოლინგვისტური ასოციაციური ექსპერიმენტები.

თანამედროვე კონცეპტოლოგიაში მიჩნეულია, რომ ასოციაციური ექსპერიმენტის წყალობით შესაძლებელია ენობრივი კოლექტივის წევრების ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტის კოგნიტური ნიშნების ფსიქოლოგიური მახასიათებლების დადგენა: ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემები იძლევა შემეცნების კონკრეტული მდგომარეობისათვის აქტუალური კოგნიტური ნიშნების გამოვლენას.

ექსპერიმენტი ეფუძნება შემდეგ თვალსაზრისს: ენის სიტყვებსა და გამოთქმებში ჩადებულია გარკვეული ასოციაციური პოტენციალი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ექსპერიმენტის დროს გარკვეული სიტყვა-სტიმულების აქტუალიზაციისას.

ექსპერიმენტის მონაწილეებს, ჩვეულებრივ, სთავაზობენ სიტყვა-სტიმულს, რომელზეც მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული ვერბალური რეაქცია. რეაქცია უნდა იყოს სპონტანური. ექსპერიმენტის მონაცემების ვალიდურია, თუ რეაქცია ვერბალურ სტიმულზე არაცნობიერია. რეაქციებს უწოდებენ ასოციაციებს, რადგან ისინი გამოწვეულია სწორედ ასოციაციებით, რომლებიც წარმოიშვა რესპოდენტებში მათთვის სტიმულის სახით შეთავაზებულ სიტყვაზე. ცხადია, რომ ასოციაციები მნიშვნელოვნად სხვაობენ რესპოდენტთა ასაკის, სქესის, განათლების, სოციალური, პროფესიული, კულტურული და ა.შ. მახასიათებლების მიხედვით.

რესპოდენტს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის ვერბალური რეაქცია, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სტიმულის რომელ ასპექტზე რეაგირებს რესპოდენტი. შეიძლება რეაქციები განპირობებული იყოს ინდივიდუალური ფაქტორებით: განათლებით, კულტურული დონით, ცხოვრების წესით და ა.შ. ამ ტიპის ასოციაციებს პირობითად შეიძლება ეწოდოს ექსტრალინგვისტური. შესაძლებელია სიტყვების სემანტიკური კავშირებით გამოწვეული რეაქციების არსებობა (სინონიმია, ანტონიმია, ჰიპონიმია და ა.შ.). ასეთ ასოციაციებს შეიძლება ეწოდოს პარადიგმატული. არსებობს სინტაგმატური ასოციაციებიც. ამ ტიპის ასოციაციების შემთხვევაში რესპოდენტი აძლევს განმარტებას, მაგალითად, არსებითი სახელის სტიმულს. ზოგჯერ რესპოდენტი რეაგირებს სიტყვის ჟღერადობაზე. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს „პარონიმული ატრაქციის“ ფენომენტთან და ფონეტიკურ ასოციაციებთან.

ექსპერიმენტული მეთოდის რეალიზაციაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ექსპერიმენტის შედეგების საბოლოო დამუშავება. კერძოდ, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია წმინდა ინდივიდუალური ხასიათის, შემთხვევითი, არატრივიალური ცხოვრებისეული გარემოებებით განპირობებული ასოციაციების გაცხრილვა. უპირველეს ყოვლისა, კონცეპტის ექსპერიმენტულ დესკრიფციისას ჩვენ გვინტერესებს ტიპური, სტანდარტული ასოციაციები, რომლებიც საერთოა მშობლიური ენის მატარებელთათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს რესპოდენტთა სუბიექტურ-ინდივიდუალური ასოციაციები.

ექსპერიმენტი, როგორც წესი, ტარდება კონცეპტის კომპლექსური აღწერის ბოლოს და ემსახურება ანალიზის წინა ეტაპებზე გამოვლენილი კონცეპტის კოგნიტური ნიშნების ვერიფიკაციასა და დაზუსტებას.

მეცნიერები აღწერენ ფსიქოლინგვისტური ასოციაციური ექსპერიმენტების შემდეგ ტიპებს:

1. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი - ექსპერიმენტის პირობების მიხედვით, რესპოდენტმა უნდა დააფიქსიროს პირველივე ვერბალური რეაქცია - უნდა თქვას ან დაწეროს პირველი, რაც გაახსენდება, რაც აზრად მოუვა;
2. ჯაჭვური ასოციაციური ექსპერიმენტი - თავისუფალი ექსპერიმენტისგან განსხვავებით, რესპოდენტი რეაგირებს არა ერთ სტიმულზე, არამედ მათ გარკვეულ რაოდენობაზე მნიშვნელოვნების ხარისხის კლების მიხედვით (მაგალითად, ერთიდან, სამიდან). ასე იქმნება მთლიანი ასოციაციური „ჯაჭვი“;
3. ასოციაციური ექსპერიმენტი, რომლის პირობების მიხედვითაც, რეაქციათა რეპერტუარი შეზღუდულია (მაგალითად, რესპოდენტმა უნდა დააფიქსიროს რეაქციები მხოლოდ არსებითი სახელის ფორმით; რესპოდენტმა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი სახელები და ა.შ.).

აშკარაა, რომ კონცეპტთა ანალიზის აღნიშნული სამი მიმართულება კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ ამ მიმართულებათა გაერთიანებაზე, რათა შეიქმნას კონცეპტუალური ანალიზის მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს ეთნოლინგვისტურ, ლინგვო-კოგნიტურ და ექსპერიმენტულ კომპონენტებს.

მიდგომათა კომპლექსურობა მიიღწევა:

1. სინქრონულ-დიაქრონული ანალიზით;
2. კვლევის ლინგვოკულტურული, ლინგვოკოგნიტური და ექსპერიმენტული სტრატეგიების ერთობლიობით;
3. კვლევის პროცედურაში ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური შინაარსის ინტეგრირებით;
4. ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის დესკრიფციისათვის მისი დისკურსული ვარიაციისა და ტექსტუალური აქტუალიზაციის დესკრიფციის დამატებით;
5. კონცეპტის ველის სტრუქტურის მოდელირებით.

კონცეპტის კომპლექსური სინქრონულ-დიაქრონული ლინგვოკულტურული აღწერა ლინგვოკოგნიტურ საფუძველზე აკმაყოფილებს შემდეგ საწყის პრინციპებს:

1. ვინაიდან კონცეპტი არის ფენომენი, რომელიც აერთიანებს არავერბალიზებულ და

ვერბალიზებულ კომპონენტებს, აუცილებელია მისი ექსტრალინგვისტური შინაარსის და სათანადო ენობრივი სემანტიკის ერთიანობაში შესწავლა;

2. კონცეპტი არის კონცეპტუალური სფეროს ერთეული, მნიშვნელობა კი წარმოადგენს სემანტიკური სისტემის, ენის სემანტიკური სივრცის ერთეულს. მნიშვნელობა თავისი სემებით გადმოსცემს გარკვეულ მახასიათებლებს, რომლებიც ქმნიან კონცეპტს, მაგრამ ეს ყოველთვის ცნების სემანტიკური შინაარსის მხოლოდ ნაწილია. კონცეპტის ექსპლიკაცია, ჩვეულებრივ, მოითხოვს ბევრ ლექსიკურ ერთეულს, სხვა სიტყვებით, მათ მნიშვნელობებს.

კონცეპტუალური შინაარსი არის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური კომპონენტების ერთობლიობა. კონცეპტუალური შინაარსი (ან კონცეპტის სემანტიკური მოცულობა) არის სემანტიკური კომპონენტების ერთობლიობა, რომლებიც „დალაგებულია“ სისტემურ მთლიანობაში. ეს აზრობრივი კომპონენტები განისაზღვრება სალექსიკონო დეფინიციების განზოგადებით, აგრეთვე საკვლევი კონცეპტის რეპრეზენტატთა პარადიგმატური, სინტაგმატური და დერივაციული კავშირებისა და მიმართებების ანალიზით.

კონცეპტის შინაარსი არ წარმოადგენს გამოვლენილი კოგნიტური მახასიათებლების მექანიკურ ჯამს. მხედველობაში მიიღება სემანტიკური კავშირებისა და მიმართებების ბუნება, რის საფუძველზეც ხორციელდება კონცეპტის სემანტიკური სტრუქტურის მოდელირება.

კონცეპტის სემანტიკური შინაარსი წარმოადგენს მის „შინაარსობრივ პლანს“.

კონცეპტების კომპლექსური დესკრიფციისას მისი „გამოხატვის პლანად“ განიხილება კონცეპტის ენობრივი ობიექტივიზაცია (სხვა ტერმინებით - ექსპლიკაცია, რეპრეზენტაცია). კონცეპტის ძირითად, ბირთვულ ენობრივ რეპრეზენტატს წარმოადგენს სიტყვა, რომელიც ასახელებს საკვლევ კონცეპტს. ეს არის "კულტურის ენის" ელემენტი, რომელსაც ზოგჯერ უწოდებენ ეროვნული კულტურის ბირთვულ სიტყვას (ვეუბიცკა, 1992). გარდა ამისა, კონცეპტის ენობრივი ობიექტივიზაცია მოიცავს პარადიგმატურ, სინტაგმატურ და დერივაციულ კავშირებს და მიმართებებს სიტყვებს შორის, რომლებიც ახდენენ კონცეპტის შინაარსის ობიექტივიზაციას.

კონცეპტის კომპლექსური აღწერა ასევე გულისხმობს სიტყვათა დისკურსული

ვარიაციისა და ტექსტუალური იმპლემენტაციის შესწავლას. დასკვნით ეტაპზე ხორციელდება მიღებული მონაცემების ვერიფიკაცია ასოციაციური ექსპერიმენტის საშუალებით.

ამრიგად, კონცეპტის კომპლექსური ანალიზი მოიცავს:

1. ეტიმოლოგიურ ანალიზს - სალექსიკონო დეფინიციების აღწერას;
2. კონცეპტთა რეპრეზენტაციებს შორის არსებული ანტონიმური, სინონიმური, ჰიპონიმური და სხვა ტიპის კავშირების აღწერას;
3. კონცეპტთა რეპრეზენტაციებს შორის არსებული პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებების გამოვლენას;
4. სიტყვათშეთანხმების ტიპური მოდელების ანალიზს კოლოკაციებში, ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და პარემიებში;
5. კონცეპტთა ტექსტუალური რეალიზაციის თავისებურებათა განსაზღვრას;
6. ფსიქოლინგვისტური ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგების ანალიზს.

ეროვნული კულტურის კონცეპტთა კომპლექსური ლინგვოკულტუროლოგიური აღწერის აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, შესაძლებელია კვლევის კონცეფციისა და კვლევის ეტაპების ადეკვატური თანმიმდევრობის განსაზღვრა.

3.7. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი როგორც ენობრივი ცნობიერების შინაარსის კვლევის ინსტრუმენტი

„ცოცხალი“ სიტყვა ფუნქციონირებს იმ შინაარსობრივი პრინციპით, რომელიც აერთიანებს შინაარსებს და მნიშვნელობებს, ინდივიდისა და სოციუმის კოგნიტურ-დისკურსული მოღვაწეობის შედეგებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ცოცხალი“ სიტყვის ფუნქციონირების სპეციფიკის კვლევა ორიენტირებულია ცოდნის სტრუქტურათა რეპრეზენტაციაში თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტების შესაძლებლობების შემდგომ შესწავლაზე, რაც მოითხოვს რელევანტური ხერხებისა და ექსპერიმენტული პროცედურების შემუშავებას.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი უზრუნველყოფს წვდომას ცოდნის სიღრმისეულ სტრუქტურებზე და ააქტიურებს ბუნებრივი სემიოზისის პროცესებს. აღნიშნული პროცესები მიმდინარეობს კოგნიტურ-დისკურსული მოღვაწეობის კანონებით და კონკრეტული კულტურის წესებთან და ნორმებთან შესაბამისობაში.

ბუნებრივი სემიოზისის პირობებში სიტყვის იდენტიფიკაციის პროცესი მრავალეტაპიანია, რომელთაგან თითოეული კონცენტრირებულია ფენომენის გააზრების კონკრეტულ დონეზე. ბუნებრივი სემიოზისის პირობებში სიტყვის იდენტიფიკაცია გულისხმობს მის გააზრებას ინდივიდის მსოფლმხედველობის (ინფორმაციული ბაზის) შესაბამისად და ხორციელდება, როგორც „გადართვა“ მნიშვნელობიდან შინაარსზე და შინაარსიდან მნიშვნელობაზე, რაც ბუნებრივი სემიოზისის მიმდინარეობისას იძლევა ისეთი საფეხურების გამოყოფის საშუალებას, როგორებიცაა:

1. ინდივიდის ჩანაფიქრის ჩამოყალიბება და აქტუალიზაცია;
2. მნიშვნელობების გამოყოფა;
3. გამონათქვამის კონსტრუირება;
4. გამონათქვამის მეტყველებაში რეალიზაცია.

სემანტიკური პროცესების პირველადი დიფერენციაცია პასუხისმგებელია გენერალური სტრატეგიის არჩევაზე. ეს არის სინამდვილის აქტუალიზაციის დონე ენის მატარებელთა გონებაში. კოგნიტურ დონეზე ზუსტდება აზრთა იდენტიფიკაციის მიმართულება. ეს სქემების და პროპოზიციების დონეა. სემანტიკური დონე სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურების დონეა, რომელზეც ფორმდება შინაარსობრივი ნიშნები და

განსაზღვრულობას იძენენ კოგნიტური ოპერაციები. სამეტყველო რეალიზაციის (დისკურსული) დონე გულისხმობს შინაარსობრივი კავშირის ვერბალიზაციის საშუალებებისა და ხერხების შერჩევას.

კოგნიტურ-დისკურსულმა მიდგომამ კონცეპტის ასოციაციური განზომილების ანალიზის მიმართ გამოავლინა სიტყვის იდენტიფიკაციის პროცესებისა და შედეგების ფუნქციური სპეციფიკა სიტყვის შინაარსობრივი ველის კოგნიტურ, სემანტიკურ და სამეტყველო (დისკურსულ) დონეებზე.

„ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის შესწავლისადმი კოგნიტურ-დისკურსულმა მიდგომამ მოითხოვა ასოციაციური განზომილების ანალიზის ორდონიანი მეთოდის შემუშავება. აღნიშნული მეთოდიკა ემყარება სიტყვა-სტიმულსა და რეაქციას შორის შინაარსობრივი კავშირების ანალიზს, სადაც რეაქცია გამოხატავს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას.

შინაარსობრივი ველის სტრუქტურული პარამეტრების რეკონსტრუქციისა და მოდელირების პროცედურებმა მოიცვა:

1. სიტყვა-სტიმულზე მიღებული რეაქციების რანჟირება სიხშირის მიხედვით;
2. სიტყვა-სტიმულზე მიღებული რეაქციების სიხშირის მიხედვით რანჟირების საფუძველზე ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვის გამოყოფა;
3. სიტყვა-სტიმულსა და რეაქციებს შორის აზრობრივი კავშირების რეკონსტრუქცია;
4. რეაქციათა კლასიფიკაცია მათ შორის არსებული აზრობრივი კავშირის ტიპის მიხედვით;
5. მიხედვით;
6. კოგნიტური ფენების განსაზღვრა რეაქციათა კლასიფიკაციის საფუძველზე;
7. სიტყვის მნიშვნელობის კოგნიტური სტრუქტურის მოდელირება;
8. სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურის მოდელირება რეაქციათა სემანტიკური მახასიათებლების საფუძველზე.

ამრიგად, ასოციაციური განზომილების ფარგლებში სიტყვის მნიშვნელობის სტრუქტურული პარამეტრების ანალიზმა უზრუნველყო ისეთი ფუნქციონალური საყრდენების მოდელირება, როგორებიცაა: ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვი; სიტყვის კოგნიტური და სემანტიკური სტრუქტურები.

სტრუქტურული პარამეტრების მოდელირებით არა მხოლოდ დაფიქსირდა

აზროვნარმომქმნელი აქტივობის შედეგად მიღებულ მნიშვნელობათა ერთობლიობა, არამედ შეფასდა კიდევ იგი კულტურული ღირებულებების, ენის მატარებელთა ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად.

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ოპერაციონალური პარამეტრების კვლევის მეთოდიკა დაეფუძნა დებულებას სამეტყველო ქმედების მრავალეტაპიანი და მრავალდონიანი ხასიათის შესახებ. ხერხებისა და პროცედურების რეპერტუარი მოიცავს:

1. „სიტყვა-სტიმული-რეაქცია“ შინაარსობრივი კავშირის ანალიზს;
2. კოგნიტური სქემების გამოყოფას „სიტყვა-სტიმული-რეაქცია“ შინაარსობრივი კავშირის ანალიზის საფუძველზე.
3. სიტყვა-სტიმულზე რეაქციათა სემანტიკის ექსპლიკაციის საფუძველზე კოგნიტური ოპერაციების მოდელირება - კოგნიტური ოპერაციების გამოყოფა, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა ასოციაციური განზომილებების სეგმენტაცია ერთმანეთის მიმართ დომინანტურ სეგმენტებად (ბირთვი-პერიფერია).

სიტყვის სტრუქტურული და ოპერაციონალური პარამეტრების მოდელირებამ გამოკვეთა შემდეგი კანონზომიერება: ენისა და კულტურის მატარებლების მიერ სიტყვის იდენტიფიკაცია ხორციელდება სამყაროს მიმართ რაციონალური და/ან ემოციურ-შეფასებითი დამოკიდებულების მეშვეობით.

ბუნებრივი სემიოზისის პროცესების დიფერენციაციის შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს წარმოდგენათა კოდირების ფორმატი, რომლის შედეგად სიტყვის იდენტიფიკაციის პროცესები შეიძლება მიმდინარეობდეს როგორც გარკვეულ მახასიათებელზე, ისე ერთიან კომპლექსზე ან სიტუაციაზე დაყრდნობით. შედეგად, იკვეთება ასოციაციური კავშირის დამყარების ორი კოგნიტური სქემა: სახელი - ნიშანი (მახასიათებელი); სახელი - ერთიანი კომპლექსი ან სიტუაცია.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტების პირობებში სიტყვის იდენტიფიკაცია მახასიათებელზე დაყრდნობით ყველაზე ხშირად ხორციელდება პრედიკატული კავშირის სახით, რაც გულისხმობს ობიექტის ერთ-ერთი ნიშნის გამოყოფას. აზრობრივი კავშირის ეს ტიპი შესაძლებელია აღწეროთ სიღრმისეული პრედიკატების მეშვეობით: კიბე (არის) რა? კიბე (არის) როგორი? კიბე (ემსახურება რას) რისთვის? კიბე (მდებარეობს)

სად? კიბე (ითხოვს) რას? და ა.შ.

აზრობრივი კავშირის ერთიანი კომპლექსის პრინციპით დადგენა განსხვავდება არადანაწევრებული ხასიათით, მისი შინაარსი რთულად ექვემდებარება პრედიკატების ენაზე ტრანსლაციას: „კიბე - ღრუბლები“; „კიბე - სიჩუმე“; „სამსახური - მწვანე ფერი“ და ა.შ. ამ შემთხვევაში აზრობრივი კავშირის ხასიათი შეიძლება აიხსნას შემდეგი ტიპის პროპოზიციებით: „კიბე“ - ღრუბლები“; „მე ვხედავ კიბეს“; „მე ვხედავ ცას“; „ცაზე (არის) ღრუბლები“.

კომპლექსური (არადანაწევრებული) იდენტიფიკაციის გზა იძლევა საშუალებას, აზროვნარმოქმნა „მივმართოთ“ უფრო ეკონომიური გზით, მხოლოდ „მიზნობრივი“ კომპონენტის დაფიქსირებით.

კოგნიტური ოპერაციები სემანტიკურ დონეზე სიტყვის მნიშვნელობის იდენტიფიკაციის ძირითადი მექანიზმებია. ეს უკანასკნელი აქტიურ როლს თამაშობენ აზროვნარმოქმნაში. ინდივიდის გამოცდილებაში ჩამოყალიბებული კოგნიტური ოპერაციები წარმოადგენს გარკვეულ მატრიცას ინფორმაციის ეკონომიური და ეფექტური დამუშავებისათვის. კოგნიტური ოპერაციები უზრუნველყოფენ ცოდნის შინაარსისა და შემდგომში ცოდნის მიღების სტრატეგიის დეტერმინაციას.

სტრატეგიების, სქემების და კოგნიტური ოპერაციების გარკვეული რეპერტუარი აყალიბებს ოპერაციონალური ცოდნის ბლოკს, რომელიც არ გაიაზრება შემსწავლელი სუბიექტის მიერ, მაგრამ იგი სტრუქტურირებულია და სწორედ ეს ფაქტი იძლევა სტაბილური ბირთვის გამოყოფის შესაძლებლობას.

ამგვარად, თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის პროცედურა იძლევა სიტყვით რეპრეზენტირებული შინაარსობრივი ველის იდენტიფიცირების საშუალებას. ეს კი ნიშნავს, რომ თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემების გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ სიტყვაში ექსპლიციტურად გამოხატული ცოდნის სტრუქტურის შესასწავლად, არამედ იმ გაუცნობიერებელი ცოდნის რეკონსტრუქციისათვისაც, რომელსაც მიეკუთვნება ოპერაციონალური ცოდნის ბლოკი.

ასოციაციური ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნის ფორმულირების საშუალებას: ასოციაციურ მიდგომას გაჩნია დიდი პოტენციალი „ცოცხალი“ სიტყვის კვლევის თვალსაზრისით. „ცოცხალი“ სიტყვის კვლევა გვთავაზობს

ორ სხვადასხვა სისტემაში - სოციალურსა და ინდივიდუალურში - შეღწევის შესაძლებლობას. თუმცა, ამ შესაძლებლობის რეალიზაცია ითხოვს კვლევის ახალი მეთოდების ძიებასა და ასოციაციური განზომილების ბუნების დაზუსტებას.

სიტყვის მნიშვნელობის შესწავლა ასოციაციური განზომილების ფარგლებში გულისხმობს ამ სიტყვის „ჩართვას“ ბუნებრივი სემიოზის პროცესში. ეს კი იძლევა კონკრეტული ენისა და კულტურის მატარებელთა ცნობიერებაში სიტყვის ფუნქციონირების თავისებურებებზე დაკვირვების საშუალებას.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი უზრუნველყოფს წვდომას ინდივიდის ხანგრძლივ მეხსიერებაზე და ააქტიურებს კონკრეტული კულტურის წესებისა და ნორმებისათვის რელევანტური შინაარსების გენერირების პროცესებს.

ასოციაციური განზომილების ამგვარი ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს ოპერაციონალური (პროცესუალური) ცოდნის როლს და უზრუნველყოფს ბუნებრივი სემიოზის პროცესებისა და შედეგების ცნობიერების სხვადასხვა დონეზე მოდელირების საშუალებას.

კოგნიტურ, სემანტიკურ და დისკურსულ დონეებზე ფუნქციონირებადი შინაარსობრივი ველის სტრუქტურული და ოპერაციონალური პარამეტრების მოდელირებისას იკვეთება „ცოცხალი“ სიტყვის მნიშვნელობის სპეციფიკა. სიტყვის შინაარსობრივი ველის სტრუქტურული პარამეტრები აღიწერება ცოდნის ანალიტიკური სტრუქტურების მეშვეობით, ასოციაციური განზომილების სტერეოტიპული ბირთვის იდენტიფიცირების, სიტყვის კოგნიტური და შინაარსობრივი სტრუქტურების მოდელირების გზით.

სიტყვის მნიშვნელობის ფუნქციონირების ოპერაციონალური პარამეტრების მოდელირება იძლევა ოპერაციონალური ცოდნის ბლოკის კოგნიტურ და სემანტიკურ დონეებზე გამოყოფის შესაძლებლობას.

გენერალური სტრატეგია კოორდინაციას უწევს მრავალდონიანი ფაქტორების ფუნქციონირებასა და ურთიერთქმედებას. კოგნიტური სქემები განსაზღვრავენ ცოდნისა და გამოცდილების ინტერპრეტაციის ხერხს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სიტყვის იდენტიფიკაციის ფორმატის შერჩევაში.

კოგნიტური ოპერაციები პასუხისმგებელნი არიან შინაარსებისა და მნიშვნელობების

განსაზღვრულობაზე. ოპერაციონალური ცოდნა, როგორც ყველაზე ტიპური სტრატეგიების, სქემებისა და კოგნიტური ოპერაციების ნაკრები, მართავს სოციუმის წევრთა აზრთწარმოქმნით აქტივობას და განსაზღვრავს სიტყვის შინაარსობრივი ველის თავისებურებას.

თავი IV. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილება თანამედროვე ინგლისურ ენაში

4.1. ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების ჩატარებისა და შედეგების ინტერპრეტაციის პრობლემები

კვლევის მოცემული სეგმენტის მიზანია ასოციაციური ექსპერიმენტების ჩატარების, ექსპერიმენტების შედეგების დამუშავებისა და მათი სხვადასხვა მიზნით გამოყენების შესახებ სადისკუსიო საკითხებზე მოსაზრებათა წარმოდგენა. ეს საკითხებია:

1. შედეგების განპირობებულობა ასოციაციური ველების მისაღებად გამოყენებული მეთოდებით;
2. ექსპერიმენტების შედეგების რელევანტურობის განსაზღვრის პრობლემა;
3. სხვადასხვა მეთოდებით მიღებული ასოციაციური ექსპერიმენტების შედეგების ინტეგრაციის შესაძლებლობა;
4. ასოციაციების თავისებურების (გენდერული, ასაკობრივი, ტერიტორიული, ტემპორალური და სხვ.) აღწერის ხერხები.

ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტები, პირველ რიგში კი, ასოციაციური ექსპერიმენტი, იძლევა ენის მატარებელთა ენობრივი ცნობიერების აღწერისა და მსოფლიოს ენობრივ ხატზე წვდომის შესაძლებლობას.

ასოციაციური ექსპერიმენტის გამოყენების პრაქტიკა ამჟამად ფართოვდება - ეს მეთოდი გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებაში, კერძოდ, ენობრივი ცნობიერების, მსოფლიოს ენობრივი ხატის, კოგნიტური პროცესების, ლექსიკის სისტემური ორგანიზებისა და ლექსიკური ჯგუფების, ენობრივი ერთეულების სემანტიკის შესასწავლად, კონცეპტების, როგორც აზროვნების ერთეულების, აღსაწერად, გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად კულტუროლოგიაში, პოლიტოლოგიაში, სოციოლოგიასა და სხვა მეცნიერებებში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების შედეგების შესაძლო დამოკიდებულება ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებაზე (დრო, ადგილი, სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, ექსპერიმენტატორის პიროვნება, გამოსაცდელთა რაოდენობრივი და თვისებრივი შემადგენლობა, ექსპერიმენტის ჩატარების ფორმა).

კვლევებში იკვეთება შედეგების გარკვეული დამოკიდებულება კვლევის არჩეულ მეთოდსა და ექსპერიმენტის პროცესში მიღებულ შედეგებზე.

ცალკეული მეთოდების ეფექტურობა კონკრეტული კვლევითი ამოცანების გადასაწყვეტად ასეთია:

1. სიტყვის ბირთვული მნიშვნელობის გამოსავლენად ენის მატარებლის ცნობიერებაში ყველაზე ეფექტურია სუბიექტური დეფინიციის მეთოდი;
2. ენის მატარებლის თანამედროვე ენობრივი ცნობიერებისთვის აქტუალური სიტყვების მნიშვნელობების გამოვლენისათვის ყველაზე ეფექტურია თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მეთოდი;
3. თანამედროვე ენობრივი ცნობიერებისათვის არააქტუალური მოძველებული მნიშვნელობების გამოსავლენად ყველაზე აქტუალურია ლექსიკოგრაფიული ანალიზი;
4. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მეთოდს შეუძლია ყველაზე ობიექტურად გამოავლინოს მოძველებული მნიშვნელობები;
5. სიტყვის ცალკეული მნიშვნელობის, როგორც ენობრივი ცნობიერების ფენომენის, სემანტიკური კომპონენტების მთელი ერთობლიობის, ბირთვიდან პერიფერიამდე, ფიქსირებასთან ერთად, ყველაზე სრულყოფილი და დეტალური აღწერისათვის მეტად ეფექტური მეთოდია იმ შედეგების ინტეგრაცია, რომელიც მიღებულია თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტისა და სუბიექტური დეფინიციების მეთოდების მეშვეობით.

მასალის ელექტრონული სახით შეგროვებისას შესაძლებელია ასოციაციური მასალის შეგროვების ორი ხერხის გამოყენება: ანკეტების შევსება ინტერნეტის ქსელში სტიმულების სრულ ჩამონათვალში დაბრუნების შესაძლებლობით და, შესაბამისად, საკუთარ ასოციაციებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობით და ვარიანტი, როდესაც ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა არ გაქვს. მეორე ვარიანტი უფრო სასურველია, რადგან არ ირთვება რეფლექსიის მომენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვის ელექტრონულ ვარიანტში რეაქციებში ფიქსირდება ენობრივი თავისუფლების (ენობრივი ნორმიდან გადახრის) უფრო მაღალი ხარისხი

ექსპერიმენტატორის დასწრებით ინფორმაციის შეგროვების ვარიანტთან შედარებით.

ექსპერიმენტის შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ექსპერიმენტატორის სოციალური სტატუსიდან გამომდინარე: ექსპერიმენტის შედეგები, რომელსაც ლექტორი ატარებს სტუდენტთა აუდიტორიაში, განსხვავდება იმ შემთხვევისგან, როდესაც ექსპერიმენტატორად გვევლინება ადამიანი, რომელსაც ინფორმანტის თანაბარი ან მასზე დაბალი სოციალური სტატუსი აქვს.

დროს სამ სახვადსხვა მონაკვეთში აგებული ერთი და იგივე ასოციაციური ველის შემადგენლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ასოციაციურ ველში არაერთჯერადი ასოციატები სტაბილურია, ცვლილებები შინაარსობრივ ნაწილში უმნიშვნელოა. თუმცა აღინიშნება გარკვეული აცდენაც, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებთან, ასევე ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდოლოგიასთან. ასოციაციური ველების აგებისას ასოციაციური ექსპერიმენტის ჩატარების წერილობითი ფორმა, ზეპირ-წერილობითთან შედარებით, იწვევს სინტაგმატიკური რეაქციების უფრო დიდ რიცხვს. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ სტიმულის ვიზუალური აღქმის დროს გამოსაცდელს უფრო ხშირად უჩნდება სურვილი „ბოლომდე დაწეროს, შეავსოს“ წინადადება. სტიმულის ზეპირი წარდგენის დროს უფრო ხშირად წარმოიქმნება პარადიგმატული რეაქცია.

რა ხანგრძლივობისაა დროის ის მონაკვეთი, რომლის გასვლის შემდეგაც ასოციაციურ ველებში, ველის შინაარსობრივ ნაწილში, ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები? - კვლევები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება დაახლოებით ყოველ 20 წელიწადში, ასევე არსებითი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების შემთხვევაში. ასოციაციური ველის შინაარსობრივ ნაწილში ცვლილებებზე გავლენას ახდენს „სოციალური დროის“ (მნიშვნელოვანი სოციალური პროცესები ქვეყანაში) ფაქტორი.

ცვლილებები ასოციაციური ველების შინაარსობრივ და სტრუქტურულ ნაწილში ხშირად დაკავშირებულია არა ერთ, არამედ მთელ რიგ ფაქტორთან (სოციალურ, გენდერულ, ასაკობრივ და სხვ.).

საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმანტთა ოპტიმალურ რაოდენობა. ასოციაციური ველები, რომლებიც აგებულია 100 ინფორმანტის რეაქციის საფუძველზე, უკვე შეიცავს პირველ ხუთსიხშირიან რეაქციას. ეს რეაქციები ინფორმანტთა რაოდენობის

გაზრდისას პრაქტიკულად უკვე აღარ იცვლება. 200 ინფორმანტის გამოკითხვისას აღარ იცვლება მათი რიგიც (რანგი). 500 ინფორმანტის რეაქციის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ენობრივი ცნობიერების ასოციაციურ ნორმაზე.

ფსიქოლინგვისტური მნიშვნელობების აღწერისას ასევე მნიშვნელოვანია კვლევის პროცესში მნიშვნელობათა ფილტრის შექმნის პრობლემა კრიტერიუმებით - „სქესი“, „ასაკი“, „პროფესიის ტიპი“, „საქმიანობა“ და ა.შ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების შედეგების რელევანტურობის ზღვრის შესახებ.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს რეკომენდაცია 5%-ზე ნაკლები სიმკვეთრის ინდექსის მქონე რეაქციების ამოღებაზე. ჩვენი აზრით, მსგავსი ქმედება ასოციაციური ველების აღწერისას არ არის მიზანშეწონილი, რადგან კვლევის მიზანზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგალითად, შესაძლებელია ცალკე შესწავლის საგანი გახდეს პიროვნული, ერთეული, ინდივიდუალური რეაქციები. ამ შემთხვევაში დაბალსიხშირიანი და თუნდაც ერთეული რეაქციებიც შეიძლება ღირებული იყოს კვლევისათვის. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია თავად მკვლევარმა დაადგინოს საექსპერიმენტო მასალის რელევანტურობის საზღვრები.

არანაკლებ საინტერესოა სხვადასხვა ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის შედეგების ინტეგრაციის შესაძლებლობის საკითხი. ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა ფსიქოლინგვისტური მეთოდით კვლევა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ უფრო სწორი მონაცემები (სტიმული ერთია, ხოლო კვლევის მეთოდები სხვადასხვა, მაგალითად, თავისუფალი, სუბიექტური დეფინიციების მეთოდი, სკალირების მეთოდი და სხვ.), მაგრამ მიღებული შედეგების გაერთიანება ერთიან ასოციაციურ ველში საჭირო არ არის, რადგან ეს დაამახინჯებს წარმოდგენებს სიტყვების ასოციაციურ კავშირებზე. ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგები ყოველი მეთოდით უნდა დასრულდეს საკუთარი ასოციაციური ველის შედგენით, შემდეგ კი შეიძლება ამ შედეგების შედარება.

ასოციაციური ველების ნებისმიერი გაერთიანება შეიძლება მოტივირებული იყოს კვლევის მიზნებით. სიტყვის სემანტიკის ფსიქოლინგვისტური აღწერისას არ არის მიზანშეწონილი ფსიქოლინგვისტური მეთოდებით მიღებული შედეგების ინტეგრირება ლექსიკოგრაფიულთან. სიტყვის სემანტიკის აღწერაში სხვადასხვა ფსიქოლინგვისტური

მეთოდის ინტეგრირება მიზანშეწონილია, რადგან ასეთი ინტეგრაცია იძლევა სიტყვის სემანტიკის უფრო სრულ და დეტალურ აღწერას.

კვლევები ცხადყოფს, რომ:

1. ასაკობრივი სპეციფიკა განსაკუთრებით მკვეთრად აისახება ასოციაციური ველების ცალკეული სემანტიკური კატეგორიების მოცულობაზე, „სისავსეზე“;
2. ვლინდება წმინდა გენდერული, წმინდა ასაკობრივი მნიშვნელობები და სემები;
3. ფიქსირდება თანმხვედრი გენდერული და ასაკობრივი მნიშვნელობები.

მნიშვნელოვანია საკითხი კრიტერიუმებზე, რომლებიც საშუალებას იძლევა უკვე პირველ ეტაპზე შეირჩეს სტიმულები, რომლებსაც სავარაუდოდ აქვს გარკვეული სემანტიკური სპეციფიკა (ასაკობრივი, გენდერული, რეგიონალური და სხვ.). უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფრო ხშირად მკვლევარის სუბიექტური ვარაუდებია. ერთეულების დაახლოებით ნახევარი, რომელსაც მკვლევარი განიხილავს როგორც გენდერული და ასაკობრივი სპეციფიკის მქონეს, ასეთ სპეციფიკას არ ავლენს.

ასოციაციური ველების, მნიშვნელობებისა და სემანტიკური კომპონენტების ტემპორალური სხვაობა პრაქტიკულად შეუსწავლელია. მათი აღწერა გართულებულია სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, მაგალითად, ტემპორალურ ფაქტორებთან ერთად ყოველთვის მოქმედებს სოციალური ფაქტორებიც, რაც ასევე მოითხოვს შესწავლას.

4.2. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების მოდელირებისა და კონცეპტის ექსპერიმენტული ანალიზის პრინციპები

კონცეპტების კვლევა დაიწყო გასული საუკუნის ბოლოს, სულ უფრო გაძლიერდა ინტერესი მეტალინგვისტიური კონსტრუქციების მიმართ. მიდგომამ, რომლის ფარგლებშიც კონცეპტი განისაზღვრება როგორც „მენტალური წარმონაქმნი“, მნიშვნელოვნად გააღრმავა ლინგვოკონცეპტოლოგიისა და ლინგვოკულტროლოგიის ანთროპოცენტრისტული გააზრება.

თანამედროვე ანთროპოცენტრიულ კვლევებში იკვეთება კონცეპტის კვლევისადმი

შემდეგი მიმართულებები :

1. ენა და მენტალიტეტი;
2. ადამიანი და სამყაროს ხატი;
3. კონცეპტი, კონცეპტუალური ანალიზი და სამყაროს ხატი.

კონცეპტუალურ სფეროში ცვლილებები განსაკუთრებით ცხადად ვლინდება წარმოადგენს სიტყვების პოლიტიკური დისკურსიდან ანალიზის შემთხვევაში. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ აღქმის სპეციფიკა იკვეთება გენდერული და ასაკობრივი ცვლადების მიხედვით.

ლინგვოკულტურული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ანალიზი, ვინაიდან სწორედ ამ ტიპის ანალიზში ვლინდება საკვლევი ერთეულის როგორც კონცეპტუალური მდგრადობა, ისე კონცეპტუალური ვარიაბელურობა.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კვლევამ მოითხოვა თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის ჩატარება, რამდენადაც სემანტიკური სტრუქტურის რეკონსტრუქცია შეუძლებელია ასოციაციური კავშირების დადგენის გარეშე. ასოციაციური ექსპერიმენტი, რომლის ფსიქოლინგვისტური ვარიანტი შემუშავებული იყო ჯ. დიზისა და ჩ. ოზგუდის მიერ, სამართლიანად ითვლება უნივერსალურ მეთოდად, რომელიც ვალიდურია კვლევათა უმრავლესობისათვის.

ასოციაციების შემადგენლობათა ანალიზი იძლევა დეტალურ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა დევს ინფორმანტთა ცნობიერებაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ მიმართებაში.

ნაშრომში ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდიკა ეფუძნება ლინგვოკოგნიტური მოდელირების იდეებს და კონცეპტის ექსპერიმენტული ანალიზის პრინციპებს.

ექსპერიმენტის ჩატარების ტექნოლოგია ეფუძნება თავისუფალ ასოციაციურ მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს ტიპური ასოციაციური კავშირების გამოვლენას. აღნიშნული კავშირების განზოგადების, შეჯამებისა და ექსტრაქციის პროცესში იდენტიფიცირდება

რესპონდენტებისგან სიტყვა-სტიმულებზე მიღებული ინდივიდუალური რეაქციების ერთობლიობა, რომელიც ქმნის კონცეპტის ასოციაციურ განზომილებას. კონცეპტის სტრუქტურაში არსებულ კოგნიტურ ნიშანთა რანჟირების შედეგად ვლინდება ბირთვული და პერიფერიული კოგნიტური ნიშნები. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს ამ მონაცემთა შესაბამისობა-შესაბამობის დადგენა კოგნიტურ ნიშნებთან. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი გულისხმობს ერთი და იმავე სტიმულის „გამოცდას“ სხვადასხვა გენდერულ და ასაკობრივ ჯგუფებში.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის პროცესში დადგინდა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილება, რომლის გამოვლენის ტექნოლოგია გულისხმობს:

1. იდენტიფიცირებას სუბიექტების ლინგვისტურ ცნობიერებაში არსებული ყველაზე აქტუალური ასოციაციებისა, რომლებიც ქმნიან რეაქციათა ჯაჭვს სიტყვა-სტიმულზე „პატრიოტიზმი“.
2. ასოციაციებს შორის ვერტიკალური (იერარქიული) და ჰორიზონტალური (პარადიგმატული) ურთიერთობების გამოვლენას, შედეგად კი, კონცეპტუალური შრეების (ასოციაციური განზომილების ბირთვისა და პერიფერიის) განსაზღვრას.

მაქსიმალური სიხშირის ასოციაციები, რომლებსაც გააჩნიათ აზრობრივი სიახლოვის მაქსიმალური ხარისხი, შედიან ბირთვში და ქმნიან ინტეგრალურ კოგნიტურ ნიშნებს. ექსპერიმენტული შედეგების დამუშავება გულისხმობს მიღებული ასოციაციების სიხშირის ანალიზს. მიღებული ასოციაციები წარმოადგენენ კოგნიტური ნიშნების ფსიქოლინგვისტურ რეპრეზენტატებს. ასოციაციათა ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს კოგნიტური ნიშნებისა და ასოციაციების კორელაციურობის გამოვლენა.

ჯამში, სიხშირით მიღებული მონაცემების თვისებრივი ინტერპრეტაციის შედეგად გამოვლინდა ლინგვისტური ცნობიერებისთვის ყველაზე აქტუალური კოგნიტური ნიშნები, რომლებიც ასახავენ კონცეპტის ფუნქციონირების ფსიქოლოგიურ ასპექტს.

ჩვენ მიერ განხორციელებულ ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 100-მა ადამიანმა: ექსპერიმენტის დროს გამოიკითხა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის (18-70 წლის) 100

რესპონდენტი (50 მამრობითი და 50 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი).

რესპონდენტთა მშობლიური ენა ინგლისურია.

ყველა რესპოდენტი დაყოფილი იყო 2 ასაკობრივ ჯგუფად: 22-დან 40 წლამდე, 45-დან 70 წლამდე. რესპოდენტებს მიეცათ შემდეგი დავალება: მას შემდეგ, რაც წარედგინათ საკვანძო სიტყვა „პატრიოტიზმი“ (სტიმული), უნდა დაეწერათ საკვანძო სიტყვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიტყვა, რომელიც პირველად გაახსენდებოდათ. იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერიმენტი წერილობითი ფორმით ტარდებოდა, დავალების შესასრულებლად განკუთვნილი იყო 3 წამი. საკვანძო სიტყვამ გამოიწვია სხვადასხვა ასოციაციები. რეაქციების სახით მიღებულმა ასოციაციებმა შექმნეს ასოციაციური ჯაჭვი, რომელიც საფუძვლად დაედო კონცეპტის „patriotism“ (პატრიოტიზმი) ასოციაციური განზომილების მოდელირებას თანამედროვე ინგლისურ ენაში.

ასოციაციათა კლასიფიკაციამ შეგვიქმნა წარმოდგენა სიტყვის „პატრიოტიზმი“ ენობრივ ცნობიერებაში ფიქსაციის, ასოციაციებს შორის არსებული მიმართებებისა და თავად ენობრივი ცნობიერების თავისებურების შესახებ.

ნაშრომში ასოციაციური განზომილება მოდელირებულია სტიმულზე „პატრიოტიზმი“ ასოციაციების ორგანიზების იმ პრინციპით, რომელიც გულისხმობს ასოციაციათა ორგანიზებას მაღალი სიხშირის მქონე ელემენტებიდან ნაკლებად რეგულარულ ელემენტებამდე.

ასოციაციური განზომილების მოდელირებამ მოგვცა, ერთი მხრივ, სიტყვის „პატრიოტიზმი“ შინაარსის, როგორც ფსიქოლოგიური მოცემულობის, რეპრეზენტაციის, მეორე მხრივ კი, ამ შინაარსის სტაბილური კომპონენტების იდენტიფიცირების შესაძლებლობა. სწორედ აღნიშნული შესაძლებლობა აქცევს ასოციაციური განზომილების კონსტრუირებას სიტყვის მნიშვნელობის ანალიზის ინსტრუმენტად.

ასოციაციური განზომილება წარმოადგენს მთლიანობას, რომლის მოდელირებაც გულისხმობს საკვლევი კონცეპტის ასოციაციური შინაარსის „გავრცელების“ საზღვრების მონიშვნას. იძლევა რა კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა ენობრივი ცნობიერების ეროვნული თავისებურების გამოვლენის შესაძლებლობას, ასოციაციური განზომილება წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანის ვერბალური მეხსიერების ფრაგმენტს, არამედ კონკრეტული ეთნოსის ცნობიერებაში ფიქსირებული სამყაროს ხატის ფრაგმენტს.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა სიტყვის „პატრიოტიზმი“ აქტუალური ფსიქოლოგიური მნიშვნელობა და მისი ასოციაციურობის დიაპაზონი. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს „ცოცხალი“ სიტყვის ფსიქოლოგიურ მოცემულობას, რომელიც სცდება სიტყვის სალექსიკონო დეფინიციებს.

კონცეპტის ასოციაციურ განზომილებაში ნათლად იკვეთება ინდივიდის დამოკიდებულება ენისა და სამყაროსადმი. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს გაცნობიერებულისა და გაუცნობიერებელის. ამ დამოკიდებულებაში ვლინდება ინდივიდის ზრახვებისა და სურვილების, სამყაროს აღქმისა და მისი კონცეპტუალიზაციის, საკომუნიკაციო სტრატეგიების, სიტყვათა შორის არსებული სემანტიკური, გრამატიკული, კონოტატიური და კომუნიკატიური მიმართებების სპეციფიკა.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციურ განზომილებაში არსებითი სახელით წარმოდგენილია შემდეგი ელემენტები: nationalism (ნაციონალიზმი); heroism (გმირობა); loyalty (ერთგულება); valor (ვაჟკაცობა); devotion (ერთგულება); honesty (პატიოსნება); firmness (სიმტკიცე); morality (მორალი); patriot (პატრიოტი); motive (მოტივი); idealism (იდეალიზმი); bravery (ვაჟკაცობა); conservatism (კონსერვატიზმი); fidelity (ერთგულება); sincerity (გულწრფელობა); sacrifice (მსხვერპლშეწირვა); optimism (ოპტიმიზმი); citizenship (მოქალაქეობა); tyranny (ტირანია); humanism (ჰუმანიზმი); pride (სიამაყე); intolerance (შეუწყნარებლობა); enthusiasm (ენთუზიაზმი); propaganda (პროპაგანდა); liberty (თავისუფლება); war (ომი); statesman (სახელმწიფო მოღვაწე); fascism (ფაშიზმი); courage (გამბედაობა); valour (ვაჟკაცობა); unity (ერთობა); hatred (სიძულვილი); liberalism (ლიბერალიზმი); protestantism (პროტესტანტიზმი); flag დროშა); communism (კომუნიზმი); scoundrel (ნაძირალა); purity (სიწმინდე); glory (დიდება); martyrdom (წამება); virtue (სათნობა); greed (სიხარბე); prejudice (ცრურწმენა); veneration (თაყვანისცემა); earnestness (გულმოდგინება); zeal (გულმოდგინება); fortitude (სიმტკიცე); benevolence (კეთილგანწყობა); chivalry (რაინდობა); philanthropy (ფილანთროპია); eloquence (მჭევრმეტყველება); anthem (ჰიმნი); ambition (ამბიცია); wisdom (სიბრძნე); obedience (მორჩილება); allegiance (ერთგულება); moral (მორალი); catholicism (კათოლიციზმი); righteousness (სიძარბო); nationality (ეროვნება); spirit (სული); orator (ორატორი); nation (ერი/სახელმწიფო); cohesion (ერთიანობა); homeland (სამშობლო); greatness (სიდიადე); ideology (იდეოლოგია); cowardice (სიმხდალე); dedication (თავდადება); prosperity

(კეთილდღეობა); oppression (ჩაგვრა); solidarity (სოლიდარობა); confidence (ნდობა); citizen (მოქალაქე); democracy (დემოკრატია); gratitude (მადლიერება); welfare (კეთილდღეობა); aspiration (სწრაფვა); affection (სიყვარული); suffering (ტანჯვა); sense (გრძნობა); instinct (ინსტინქტი); distrust (უნდობლობა); independence (დამოუკიდებლობა); duty (მოვალეობა); christianity (ქრისტიანობა); admiration (აღტაცება); praising (ქება); freedom (თავისუფლება); veteran (ვეტერანი); aristocrat (არისტოკრატი); conscience (სინდისი); monarchy (მონარქია); symbol (სიმბოლო); politics (პოლიტიკა); principle (პრინციპი); revolution (რევოლუცია); brutality (სისასტიკე); brotherhood (ძმობა); englishman (ინგლისელი); patience (მოთმინება); appreciation (დაფასება); uniting (გაერთიანება); country (ქვეყანა); banner (დროშა); elite (ელიტა); dignity (ღირსება); adherence (ერთგულება); identity (იდენტობა); ethnocentrism (ეთნოცენტრიზმი); fascism (ფაშიზმი); jingoism (ჯინგოიზმი); flag-waving (დროშის ფრიალი); chauvinism (შოვინიზმი); wrapping yourself in the flag (ყალბი პატრიოტიზმი/ურა-პატრიოტიზმი); isolationism (იზოლაციონიზმი); ethnocentrism (ეთნოცენტრიზმი); traditionalist (ტრადიციონალისტი); hurray-patriot (ურა-პატრიოტი); hurray-patriotism (ურა-პატრიოტიზმი).

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილება მოიცავს შემდეგ ზედსართავ სახელებს: patriotic (პატრიოტული); fervent (მხურვალე); ardent (მგზნებარე); exalted (ამაღლებული); lofty (ამაღლებული); sincere (გულწრფელი); heroic (გმირული); civic (სამოქალაქო); noble (კეთილშობილი); cherished (სანუკვარი); constitutional (კონსტიტუციური); selfish (ეგოისტური); moral (მორალური); genuine (ნამდვილი); warlike (საომარი); revolutionary (რევოლუციური); glorious (დიდებული); pure (წმინდა); militant (მებრძოლი); constructive (კონსტრუქციული); splendid (დიდებული); indignant (აღშფოთებული); instinctive (ინსტინქტური); widespread (ფართოდ გავრცელებული); national (ეროვნული); daring (გაბედული); unworthy (უღირსი); offended (შეურაცხყოფილი).

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციურ განზომილებაში ზმნებით წარმოდგენილია შემდეგი ელემენტები: appeal (მიმართვა); glorify (განდიდება); sacrifice (მსხვერპლშეწირვა); motivate (მოტივირება); cherish (გაფრთხილება); espouse (მფარველობა); extinguish (ჩაქრობა); inspire (ინსპირირება); inflame (ანთება); evoke (გამოწვევა); rouse (გამოღვიძება); symbolize (სიმბოლოზირება); urge (მოწოდება); heighten (ამაღლება).

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ელემენტთა ანალიზმა ცხადყო, რომ:

1. ასოციაციები სიტყვა-სტიმულით მოტივირებული აზრობრივი ერთეულებია, რომლებიც წარმოადგენენ არა ინფორმანტთა ცნობიერების შინაარსის პასიურ ანარეკლს, არამედ ინფორმანტთა საკომუნიკაციო ინტენციის გამოხატულებას;
2. ასოციაციები სტიმულზე „პატრიოტიზმი“ წარმოადგენენ სიტყვის „პატრიოტიზმი“ გამოყენების შესაძლო კონტექსტების კრებულს;
3. სიტყვის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური მნიშვნელობები ასახავენ სიტყვის კომუნიკაციურ პოტენციალს - სიტყვის უნარს, დაფიქსირდეს კომუნიკაციაში, როგორც გამონათქვამის ელემენტი;
4. ასოციაციები სტიმულზე „პატრიოტიზმი“ სხვაობენ სიტყვაზე „პატრიოტიზმი“ ზემოქმედების ხარისხის თვალსაზრისით;
5. თავისუფალ ასოციაციურ ექსპერიმენტში გამოვლინდა სტიმულზე „პატრიოტიზმი“ ასოცირების კანონზომიერებები, რომლებიც მიუთითებენ ინგლისურ ლინგვოკულტურაში სიტყვის „პატრიოტიზმი“ მნიშვნელობაზე.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ელემენტთა ანალიზიზაცია-კონტრასტირებაზე დაფუძნებულმა ინტერპრეტაციამ მოგვცა ასოციაციური განზომილების სემანტიკის - სტიმულის „პატრიოტიზმი“ მიმართ დომინანტური სემანტიკების (ბირთვის, გარდამავალი სფეროსა და პერიფერიის) გამოყოფის შესაძლებლობა.

ასოციაციური განზომილების ბირთვული ასოციაციები ასახელებენ სიტყვა-სტიმულის იმ ნიშნებს, რომელთა არსებობა წარმოადგენს თავად სიტყვა-სტიმულის არსებობის აუცილებელ პირობას. რაც შეეხება ასოციაციური განზომილების პერიფერიულ ელემენტებს, ისინი ასახელებენ მნიშვნელოვნების თვალსაზრისით მეორე რიგის ნიშნებს. ბირთვულ შემადგენლობას გააჩნია ძირითადი სემანტიკური მნიშვნელობა. სტიმულის ირგვლივ გენერირებული ასოციაციური განზომილების ბირთვი იქმნება ყველაზე აქტიური ელემენტების მიერ, რომლებიც ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის კავშირებში.

ასოციაციური განზომილების აღნიშნული სტრუქტურული სპეციფიკა - გრადუალურობა - იძლევა ასოციაციური განზომილების არა როგორც ასოციაციების მექანიკური აგლომერაციის, არამედ როგორც აზრობრივი დინამიური მთალიანობის კვლევის

მეთოდოლოგიურ შესაძლებლობას. სწორედ აზრობრივ დინამიურობაში იკვეთება სიტყვის მნიშვნელობის „მოძრაობის“ ტრაექტორია.

აზრობრივი დინამიური მთალიანობა წარმოადგენს ინფორმანტისათვის ფსიქოლოგიურ მოცემულობას, რომელიც ხასიათდება სტიმულსა და სხვადასხვა რეაქციას შორის არსებულ მიმართებათა იერარქიულობით.

კონცეპტის ასოციაციური განზომილება ინდივიდის ცნობიერებაში არსებულ მიმართებათა რთული სისტემაა, რომელშიც ფიქსირებულია ერთეულთა როგორც პარადიგმატული, ისე სინტაგმატური მიმართებები. სწორედ კონცეპტის ასოციაციურ განზომილებაში ვლინდება ადამიანის ცნობიერების შინაარსის იერარქიულობა.

კონცეპტი „პატრიოტიზმი“ თანამედროვე ინგლისური ენის მატარებელთა ცნობიერებაში ფიქსირდება მიზეზ-შედეგობრივი, დროითი და სივრცითი მიმართებებით.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მასალის ანალიზმა გამოავლინა როგორც სტანდარტული, ისე არასტანდარტული ასოციაციური კავშირების არსებობა.

სტიმულზე „პატრიოტიზმი“ ასოციაციათა ანალიზმა მოგვცა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კომპონენტების გამოვლენის შესაძლებლობა თანამედროვე ინგლისურ ენაში. კოგნიტური მონაცემების მისაღებად საჭირო გახდა თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა კოგნიტური ინტერპრეტაცია, კერძოდ კი, კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კოგნიტურ ნიშანთა იდენტიფიცირება თანამედროვე ინგლისურ ენაში. აღნიშნული საჭიროება განპირობებულია შემდეგი ფაქტით: ძირითადი რეაქციები სტიმულზე გამოხატავს ენის მატარებლის ცნობიერების კოგნიტურ სტრუქტურას. ასოციაციური განზომილების კოგნიტური სტრუქტურა წარმოადგენს ენისა და ხალხის რაციოს, ვინაიდან არ არსებობს ცოდნა ენისა და ადამიანის ერთობის გარეშე.

კვლევაში ასოციაციები მიჩნეულია კონცეპტის კოგნიტურ ნიშანთა ვერბალიზაციის ენობრივ საშუალებებად. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ასოციაციური განზომილება შეიძლება იქცეს ეროვნულ კონცეპტუალურ სფეროში არსებული კონცეპტის კვლევის ინსტრუმენტად ინფორმანტთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემები დესკრიფციული ხასიათისაა, უფრო ზუსტად კი, თავისუფალი ასოციაციური

ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემები წარმოადგენს სტიმულზე „პატრიოტიზმი“ ინფორმანტთა რეაქციის დესკრიფციას.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ განზომილებაში ინტეგრირებულია როგორც ბუნებრივი, ისე შემთხვევითი ასოციაციები. ბუნებრივი ასოციაციების არსებობა აიხსნება ბუნებრივი მიზეზების, აუცილებელი კავშირების არსებობით, რომლებიც მართლაც არსებობს კონკრეტულ წარმოდგენებს შორის.

შემთხვევითი ასოციაციების არსებობა განპირობებულია კონკრეტულ წარმოდგენებს შორის არსებული კავშირის შემთხვევითობით. ასეთ დროს წარმოდგენებს შორის არ იკვეთება არც შინაგანი მსგავსება და არც მიმართება. ეს შემთხვევითი ასოციაციები სხვაობენ ინდივიდიდან ინდივიდში. სხვაობა კი განპირობებულია ინდივიდთა აღზრდის, საქმიანობის, ცხოვრებისა და აზროვნების წესის თავისებურებით. ინდივიდთა ჩვეულებების, ან გრძნობების დაკვირვების შედეგად ნათელი ხდება, რომ სხვადასხვა მოვლენის, საგნისა და პიროვნებისადმი სიყვარული ან სიმულვილი ჩნდება იმიტომ, რომ ამ მოვლენების, საგნებისა და პიროვნებების მოგონებას უკავშირდება სხვადასხვა სასიამოვნო ან არასასიამოვნო წარმოდგენა.

თავისუფალი ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზმა, კერძოდ კი, სტიმულზე „პატრიოტიზმი“ ასოციაციათა სტატუსის - ბირთვულობის (პირველადობის) და პერიფერიულობის (მეორეულობის) განსაზღვრამ მოგვცა „უნივერსალურ“ და „უნიკალურ“ ასოციაციათა დიფერენცირების შესაძლებლობა.

აღნიშნული შესაძლებლობის რეალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა სტიმულზე „პატრიოტიზმი“ რეაქციათა მეტ-ნაკლებად უნივერსალური რეპერტუარი. ასოციაციათა რეპერტუარის უნივერსალურობაში ვგულისხმობთ რეპერტუარში ინტეგრირებულ ასოციაციათა ანამნეზურობას ნებისმიერი ინფორმანტისათვის.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტების მონაცემთა შესწავლა მნიშვნელოვანია სემანტიკის კვლევის თვალსაზრისით, ვინაიდან აღნიშნული მონაცემები ავსებენ ლექსიკონში ფიქსირებული სიტყვის მნიშვნელობას დამატებითი, თუმცა მნიშვნელოვანი შინაარსით. სტიმულზე მიღებული რეაქციები იძლევა სიტყვა-სტიმულის მნიშვნელობის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტების მონაცემებში იკითხება შემდეგი დებულება: სიტყვა მიემართება არა მხოლოდ კონკრეტულ ობიექტს, არამედ სიტყვა წარმოადგენს ერთმანეთთან კონოტაციურად და გამოცდილებისეულად დაკავშირებულ ხატთა სისტემას. ასოციაციური განზომილება წარმოადგენს ერთმანეთთან ასოციაციური ღირებულებით დაკავშირებულ სიტყვათა სისტემას. სიტყვის აღქმის პროცესში სპონტანურად ჩნდება ასოციაციურ ღირებულებათა კომპლექსები, რაც წარმოადგენს სიტყვის სემანტიკური კომპონენტის ასოციაციური ბუნების დასტურს.

სტიმულის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ანალიზმა ცხადყო, რომ ასოციაციურ განზომილებაში რეაქციები არ არის მექანიკურად დაკავშირებული ერთმანეთთან, მათ შორის ფიქსირდება გარკვეული ტიპის სემანტიკური კავშირები. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი ასოციაციურ და სემანტიკურ სივრცეთა ანალოგიზაცია-კონტრასტირება.

ექსპერიმენტული შედეგების სტატისტიკური დამუშავებისას ვერბალური რეაქციების წარმოშობის სიხშირეზე დაფუძნებული გამოთვლების საფუძველზე:

1. აიგო კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური ველი ყველა ასაკობრივი კატეგორიისათვის;
2. აგებული ველებიდან გამოიყო ასოციაციური განზომილების ერთმანეთის მიმართ დომინანტური სეგმენტების (ბირთვის, გადამავალი სფეროსა და პერიფერიის) რეპერტუარი.

ექსპერიმენტის მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების შედეგები - სიტყვა სტიმულზე „Patriotism“ (პატრიოტიზმი) რეაქციების სიხშირე შემდეგნაირია:

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების ბირთვი თანამედროვე ინგლისურ ენაში:

love (სიყვარული) – 93; homeland (სამშობლო) – 92; country (ქვეყანა) – 88; liberty (თავისუფლება) – 84; freedom (თავისუფლება) – 83; patriot (პატრიოტი) – 82; independence (დამოუკიდებლობა) – 82; citizenship (მოქალაქეობა) – 83; devotion (ერთგულება) – 79; loyalty (ერთგულება) 78; nation (ერი/სახელწიფო) – 75; nationalism (ნაციონალიზმი) – 73; affection (სიყვარული) – 69; patriotic (პატრიოტული) – 64; pride (სიამაყე) – 63; civic (სამოქალაქო) – 57; chauvinism (შოვინიზმი) – 56; hurray-patriotism (ურა-პატრიოტიზმი)

– 54; hurray-patriot (ურა-პატრიოტი) – 53; fidelity (ერთგულება) – 52; jingoism (ჯინგოიზმი) – 51.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების გარდამავალი სფერო თანამედროვე ინგლისურ ენაში:

duty (მოვალეობა) - 49; identity (იდენტობა) – 48; sacrifice (მსხვერპლშეწირვა) – 47; America (ამერიკა) – 46; nationality (ეროვნება) – 46; Americans (ამერიკელები) – 45; England (ინგლისი) – 44; national (ეროვნული) – 42; englishmen (ინგლისელები) – 41; protect (დაცვა) – 38; keep (დაცვა) – 36; create (შექმნა) - 32; peace (მშვიდობა) – 33; firmness (სიმტკიცე) – 31; courage (გამბედაობა) – 32; inspire (ინსპირირება) - 31; bravery (ვაჟკაცობა) – 30; valor (ვაჟკაცობა) – 30.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური განზომილების პერიფერია თანამედროვე ინგლისურ ენაში:

traditionalist (ტრადიციონალისტი) – 29; cosmopolitanism (კოსმოპოლიტიზმი) – 28; veteran (ვეტერანი) – 27; soldier (ჯარისკაცი) -25; fight (ბრძოლა) – 25; struggle (ბრძოლა) – 24; war (ომი) – 23; heroism (გმირობა) – 21; banner (დროშა) – 21; anthem (ჰიმნი) - 19; militant (მებრძოლი) – 19; liberalism (ლიბერალიზმი) – 18; symbolism (სიმბოლიზმი) – 18; ethnocentrism (ეთნოცენტრიზმი) – 16; flag-waving (დროშის ფრიალი) – 15; propaganda (პროპაგანდა) – 14; monarchy (მონარქია) – 13; genuine (ნამდვილი) – 12; glorify (განდიდება) – 11; urge (მოწოდება) – 11; politics (პოლიტიკა) – 11; ideology (იდეოლოგია) - 9; conservatism (კონსერვატიზმი) - 9; isolationism (იზოლაციონიზმი) – 9; fascism (ფაშიზმი) – 8; principle (პრინციპი) – 7; sincere (გულწრფელი) - 5; revolutionary (რევოლუციური) – 3; protestantism (პროტესტანტიზმი) – 3; democracy (დემოკრატია) – 2; wrapping yourself in the flag (ყალბი პატრიოტიზმი/ურა-პატრიოტიზმი) – 1; ardent (მგზნებარე) – 1; christianity (ქრისტიანობა) – 1; humanism (ჰუმანიზმი) - 1; tyranny (ტირანია) - 1; moral (მორალი) – 1.

რესპოდენტთა მიერ დაფიქსირებული რეაქციების ანალიზის შედეგად გამოიყო შემდეგი თემატური ჯგუფები:

სამხედრო თემატიკასთან დაკავშირებული სიტყვები: ჯარისკაცი, სამშობლო, ომი, ჯარი, დაცვა;

ზნეობასთან დაკავშირებული სიტყვები: მოვალეობა, ღირსება, ერთგულება;

სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ დადებით გრძნობებს საკვანძო სიტყვასთან მიმართებაში: სიყვარული, შეყვარება, ერთგულება;

სიტყვები, რომლებიც ასახავენ ისტორიულ მემკვიდრეობას: ომი, ჯარისკაცი, ხსოვნა;

სახელმწიფო ძალაუფლებასა და სახელმწიფო ჰერალდიკასთან დაკავშირებული სიტყვები: დროშა, ჰიმნი, პრეზიდენტი;

სიტყვები, რომლებიც ასახავენ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს: მშვიდობა, სამშობლო, მამული;

დაბადების ადგილთან, წარმოშობასა და კუთვნილებასთან დაკავშირებული სიტყვები.

თემატური ჯგუფების ანალიზმა გამოავლინა შემდეგი კანონზომიერებები:

კონცეპტი „პატრიოტიზმი“ წარმოადგენს რესპოდენტთა ცნობიერების განუყოფელ მორალურ და იდეოლოგიურ შემადგენელს

მამრობითი სქესის რესპოდენტებში ჭარბობს მოვალეობის შესრულებასა და სამოქალაქო პოზიციასთან, სამშობლოს დაცვის მზაობასთან დაკავშირებული ასოციაციები

მამრობითი სქესის რესპოდენტებში ფიქსირდება ზედსართავი სახელით გამოხატული ასოციაციების, შესაბამისად კი, შემფასებლური კომპონენტის სიმწირე;

მამრობითი სქესის რესპოდენტებში ჭარბობს არსებითი სახელებითა და ზმნებით გამოხატული ასოციაციები;

მდედრობითი სქესის რესპოდენტებში ჭარბობს აბსტრაქტული არსებითი სახელებით გამოხატული ასოციაციები.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგებმა დაადასტურა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ საკვლევი კონცეპტის აღქმის შედეგად კონსტრუირებული ასოციაციური ველების შინაარსი და სტრუქტურა სხვაობს სხვადასხვა სქესისა და ასაკის რესპოდენტთა შორის.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ასოციაციური ველების შემადგენლობათა ანალიზმა

გამოკვეთა შემდეგი კანონზომიერებები:

ასოციაციების სპეციფიკა პირდაპირ კავშირშია რესპოდენტთა ასაკთან - ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი რესპოდენტების ასოციაციები განსხვავდება უფროსი თაობის წარმომადგენელი რესპოდენტების ასოციაციებისაგან: რაც უფრო ასაკოვანია რესპოდენტი, მით უფრო ნაკლებად აბსტრაქტული რეაქციები აქვს სიტყვა-სტიმულზე;

ასოციაციების სპეციფიკა პირდაპირ კავშირშია რესპოდენტთა სქესთან - მამრობითი სქესის რესპოდენტთა ასოციაციები განსხვავდება მდედრობითი სქესის რესპოდენტთა ასოციაციებისაგან: რეაქციებით თუ ვიმსჯელებთ, მამრობითი სქესის რესპოდენტთა ქვეცნობიერში ჩადებულია მოქმედებები, რომლებიც მიმართულია დაცვისკენ, შენარჩუნებისაკენ, ხოლო მდედრობითი სქესის რესპოდენტთა ქვეცნობიერში დომინირებს შექმნასთან, მშვიდობასთან, სიყვარულთან და ხსოვნასთან დაკავშირებული ასოციაციები; მამრობითი სქესის რესპოდენტთა ქვეცნობიერში იკვეთება მდგრადი ასოციაციები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან, სამშობლოს წინაშე ვალდებულებასთან; სამხედრო თემატიკასთან დაკავშირებული ასოციაციები არ ფიქსირდება მდედრობითი სქესის რესპოდენტთა რეაქციებში.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო, რომ გენდერული და ასაკობრივი ცვლადები განსაკუთრებით მკვეთრად ფიქსირდება ასოციაციური ველის პერიფერიაში, ბირთვი კი, პრინციპში, რეზისტენტულია აღნიშნული ცვლადების მიმართ - ბირთვი ინარჩუნებს კონსტანტას სტატუსს; მასში აკუმულირებულია ის ასოციაციები, რომლებიც წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანის ღირებულებათა სისტემის დომინანტურ კომპონენტს.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგებს გააჩნია დიაგნოსტიკური ფუნქცია: ისინი ასახავენ, ერთი მხრივ, საზოგადოების ერთიანობას, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა სქესისა და ასაკის რესპოდენტთა შეხედულებების სპეციფიკას.

თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის შედეგების დაზუსტებისა და გადამოწმების მიზნით განხორციელდა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ და მისი ვერბალიზატორების ლინგვოკოგნიტური, ლინგვოკულტუროლოგიური და სემანტიკური ანალიზი თანამედროვე ინგლისურ ენაში.

ანალიზი მიზნად ისახავდა იმის დადგენას, თუ რომელ სემანტიკურ კომპონენტს გააჩნია

რეპრეზენტატიულობის ყველაზე მაღალი ხარისხი, რომელი სემანტიკური კომპონენტებია აქტიური თანამედროვე ინგლისური ენის მატარებელთა ლინგვისტურ ცნობიერებაში, როგორ გამოიყურება თანამედროვე ეტაპზე კონცეპტის აქსიოლოგიური ველი, შენარჩულებულია თუ არა კონცეპტის ღირებულებითი ამბივალენტურობა.

თავი V. კვლევის შედეგების ვერიფიკაცია

5.1. ანთროპოცენტრისტულად ორიენტირებულია ლინგვოკოგნიტური მიდგომა
ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევაში

ჩვენი კვლევის მოცემული სეგმენტი ეფუძნება ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმის იდეას, რომელიც გულისხმობს ენის, ცნობიერებისა და კულტურის ანალიზს მათ ურთიერთგანპირობებულ ერთიანობაში.

ანთროპოცენტრული მიდგომა მიზნად ისახავს ადამიანის გარე გარემოსთან რთული და მრავალფეროვანი ურთიერთობის შესწავლას, ადამიანის ადგილის განსაზღვრას კულტურულ სივრცეში. ანთროპოცენტრული მიდგომის მიზანია წვდომა ადამიანის შემეცნებითი აქტივობისა, რომელიც მიმართულია ენაში განსხეულებული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური რეალობის გააზრებაზე. სწორედ ეს ფაქტი იძლევა ანთროპოცენტრული მიდგომის კოგნიტურად ორიენტირებულ მიდგომად განხილვის საფუძველს. აღნიშნული მიდგომა ემყარება „კოგნიციის“ ყოვლისმომცველ კოცეფციას, რომლის ფარგლებშიც ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის გააზრება ხორციელდება ტრიადის - ენის, ცნობიერებისა და ქცევის - გააზრების მეშვეობით.

სწორედ ამიტომ იქცა ინტერდისციპლინარიზმი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად. სწორედ ამიტომ ძლიერდება ლინგვისტიკის ინტეგრაცია ფილოსოფიასთან, ფსიქოლოგიასთან, ანთროპოლოგიასთან, კულტუროლოგიასა და სოციოლოგიასთან. სწორედ ამ ტიპის ინტეგრაციამ გახადა შესაძლებელი ენის არსის გაფართოება, ენის ჩართვა კოგნიტური, ღირებულებითი და ქცევითი მოდელების გააზრების პროცესში. ამ თვალსაზრისით, ენა განიხილება, როგორც ერთგვარი თეზაურუსი, რომელიც მკვლევარს მუდმივად აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ხალხის მსოფლგანცდისა და მათი ეროვნული ხასიათის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, სულიერი ევოლუციის შესახებ.

XX საუკუნის 90-იან წლებში ლინგვისტურ აზროვნებაში ყალიბდება ინტეგრაციული ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულება (მასლოვა, 2001). ლინგვოკულტუროლოგია განისაზღვრება როგორც კულტურისა და ენის ურთიერთობისა და ურთიერთქმედების თავისებურებათა კვლევა ენის ფუნქციონირების პროცესში, როგორც ამ ურთიერთქმედების ერთიან სისტემურ მთლიანობად ინტერპრეტაცია. ს.გ. ვორკაჩოვის თქმით, ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს „უახლეს მოლეკულურ ნაერთს ... , რომელიც განსხვავდება ყველა ნაერთისაგან თავისი" ატომური შემადგენლობით" და ვალენტობით: ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის „წილების“ თანაფარდობით და მათ შორის არსებული იერარქიით“ (ვორკაჩევა, 2001).

თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგია მოიცავს იმის შესწავლას, თუ როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ეთნიკური ჯგუფის კულტურა და ენა, ეთნიკური ჯგუფის მენტალიტეტი და ენა. ამ მიმართებათა სისტემაში, როგორც სარკეში, აისახება ენაში განსხვავებული ხალხის ეთნიკური და კულტურული იდენტობა.

ლინგვოკულტუროლოგიის ობიექტად მიიჩნევა ენაში განსხვავებული და კულტურის ეროვნულ კოდებში წარმოდგენილი კულტურულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ამ ტიპის ინფორმაციის მატარებლად თელია მიიჩნევა „კულტურულ ცნებებს, კულტურულ სემებს, კულტურულ კონოტაციებსა და კულტურულ ფონს“ (თელია, 1999).

ლინგვოკულტუროლოგია იძენს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სააზროვნო სივრცის სტატუსს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. კაცობრიობის თანამედროვე კულტურული პარადიგმა ხასიათდება

გლობალიზაციისკენ მიდრეკილებით და სწორედ ასეთ ფონზე იწყება თითოეული ეროვნული კულტურის, თითოეული ეთნოსის უნიკალურობისა და ორიგინალურობის შენარჩუნების აუცილებლობის გააზრება. აღნიშნული აუცილებლობის დეკლარირება არ არის საკმარისი - აუცილებელია კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების ტექნოლოგიების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰარმონიული მიმართების დამყარებას ზოგადსა და კერძოს, უნივერსალურსა და უნიკალურს შორის;

2. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ყველაფერი ღირებული იქმნება

მეცნიერებათა კვეთაზე. ლინგვოკულტუროლოგიას, თავისი ობიექტის კომპლექსურობის წყალობით შეუძლია შეასრულოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ინტეგრატორის როლი;

3. ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა წარმოადგენს ლინგვისტური ცოდნის გამოყენებით ასპექტსა და ენაში კოდირებული ერის კოლექტიური გამოცდილების გააზრების საშუალებას.

ლინგვოკულტუროლოგიის ფარგლებში ყალიბდება წარმოდგენა „კულტურის ენის“ ფენომენზე, რომელიც წარმოადგენს კულტურულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელთა ერთობლიობას. აღნიშნული ერთობლიობა მოიცავს როგორც ექსტრალინგვისტურ (რიტუალები და ცერემონიები, ტრადიციები და ცრურწმენები), ისე შიდაენობრივ (ბირთვული სიტყვები, მათ შორის, უეკვივალენტო ლექსიკა, პრეცედენტული ფენომენები, მათ შორის, ფრაზეოლოგიური ერთეულები და პარემიები, სიტყვათწარმოების მოდელები, გრამატიკული კატეგორიები და სინტაქსური სქემები) (რადბილი, 2017). ენობრივ პლანში „კულტურის ენა“ რეალიზდება სხვადასხვა ტიპის (რელიგიურ, მხატვრულ, პუბლიცისტურ, სარეკლამო და სხვ.) დისკურსში.

იმ გზებისა და მეთოდების შესწავლა, რომელთა მეშვეობითაც ენა მონაწილეობს ერის გამოცდილებისა და სულერი ღირებულებების თაობიდან თაობისათვის გადაცემის პროცესში, იძლევა თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის არსის გააზრების შესაძლებლობას. აღნიშნული პარადიგმის გააზრება გულისხმობს ეროვნული და კულტურული იდენტობების ცნებათა გააზრებას.

ლინგვოკოგნიტურ საფუძველზე კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კომპლექსური ლინგვოკულტურული აღწერის კონცეფცია ითვალისწინებს ამ კონცეპტის სპეციფიკურ ხასიათს. კონცეპტი „პატრიოტიზმი“ გამოხატავს წმინდა კულტურულ საზრისებს და წარმოადგენს კულტურული სივრცის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცნებას.

ნაშრომში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კომპლექსური ლინგვოკულტურული აღწერის კონცეფცია შემდეგნაირად გამოიყურება:

კვლევის მოსამზადებელი ეტაპი გულისხმობს ენციკლოპედიური წყაროების, ლექსიკონების მონაცემებისა და ინტერნეტ მონიტორინგის შედეგად მოძიებული ენობრივი მასალის შეგროვებას და პირველად დამუშავებას.

კვლევის პირველი ეტაპი მოიცავს პატრიოტიზმის შესახებ არსებულ წარმოდგენათა

ექსტრალინგვისტური შინაარსის აღწერას ფილოსოფიური და ენციკლოპედიური ლექსიკონების, ფილოსოფიური, სამეცნიერო, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებების მასალებზე დაყრდნობით.

ამავე ეტაპზე გაანალიზებულია კონცეპტის „პატრიოტიზმი“ სემანტიკური მოცულობა ინგლისური ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში: შესწავლილია კონცეპტის „პატრიოტიზმი“ რეპრეზენტანტი სიტყვების სალექსიკონო დეფინიციები ლექსიკოგრაფიულ წყაროებზე - ინგლისურ განმარტებით ლექსიკონებზე - დაყრდნობით. მიღებული მონაცემები შევსებულია ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური ფონდების ანალიზის შედეგებით.

მეორე ეტაპი მოიცავს პარადიგმატური კავშირებსა და სიტყვებს - კონცეპტის რეპრეზენტატთა - შორის არსებულ მიმართებათა აქტუალიზაციის სპეციფიკის განხილვას. ამავე ეტაპზე გაანალიზებულია სიტყვებს შორის სინტაგმატური კავშირებისა და მიმართებების თავისებურებები.

პირველი და მეორე ეტაპების შედეგების საფუძველზე განისაზღვრა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კონცეპტუალური შინაარსი, კოგნიტური ნიშნების რეპერტუარი და კონცეპტის სემანტიკური მოცულობა. აღნიშნულმა ეტაპებმა მოგვცა კონცეპტის სემანტიკური სტრუქტურის მოდელირების საშუალება. პირველი და მეორე ეტაპების მონაცემთა ანალიზის შემდგომ გამოვლინდა კონცეპტის აქსიოლოგიური - კონცეპტისადმი დადებითი და უარყოფითი შემფასებლური დამოკიდებულებების - ველი.

მესამე ეტაპზე კონცეპტის რეპრეზენტატთა გამოყენების კონტექსტებისა და ინტერნეტ მონიტორინგით მიღებული მონაცემების ანალიზის გზით დაზუსტდა წინა ეტაპებზე გამოვლენილი კოგნიტური ნიშნების რეპერტუარი.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კონცეპტუალური შინაარსისა და სემანტიკური მოცულობის ანალიზმა, ლექსიკოგრაფიული წყაროების მიხედვით, დაადასტურა, რომ კონცეპტი „პატრიოტიზმი“ წარმოადგენს იდეებისა და წარმოდგენების კომპლექსს, რომელსაც გააჩნია მაღალი სოციალური და კულტურული მნიშვნელოვნება ინგლისური ენის მატარებელთა ეთნიკური ცნობიერებისათვის.

გამოყენებული ლექსიკონები, პრინციპში, იდენტურად განმარტავენ ლექსემის

„პატრიოტიზმი“ სინქრონულ სემანტიკას.

შეიძლება გამოვყოთ სამი სემანტიკური კომპონენტი: „სამშობლოს სიყვარული“;
„სამშობლოს, ხალხისადმი ერთგულება“; „მიჯაჭვეულობა დაბადების ადგილთან,
საცხოვრებელ ადგილთან“.

აღნიშნულ კომპონენტებს ემატება კიდევ შემდეგი ოთხი: „პასუხისმგებლობა სამშობლოსა
და ხალხის წინაშე“; „მსხვერპლის გაღების მზაობა სამშობლოს ინტერესებისათვის“;
„ერთგულება და მგზნებარე სიყვარული სამშობლოსადმი“; „განდიდება ყველაფერი იმისა,
რაც „ჩვენია“ (აღნიშნულ კომპონენტს გააჩნია უარყოფითი კონოტაცია და
უპირისპირდება ჭეშმარიტ პატრიოტიზმს).

ამრიგად, ლექსიკოგრაფიული წყაროების მიხედვით კონცეპტის „პატრიოტიზმი“
კონცეპტუალური შინაარსისა და სემანტიკური მოცულობის ანალიზმა გამოკვეთა შვიდი
სემანტიკური კომპონენტი, რომელთა ერთობლიობაც ადეკვატურად ასახავს ლექსემის
„პატრიოტიზმი“ სინქრონულ სემანტიკას.

თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ენობრივ ობიექტივაციაში
პარადიგმატული და სინტაგმატური კავშირებისა და მიმართებების ანალიზის შედეგად
გამოვლინდა, რომ საკვლევი კონცეპტის პარადიგმატიკას გააჩნია მნიშვნელოვანი
სპეციფიკა, რაც განპირობებულია სიტყვათა ტერმინოლოგიზირებულობით - კონცეპტის
რეპრეზენტატთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სფეროსადმი მიკუთვნებულობით.
კონცეპტის „პატრიოტიზმი“ რეპრეზენტატები აქტიურად გამოიყენებიან იდეოლოგიურ
და პოლიტიკურ მოვლენათა ნომინაციის პროცესში. ენობრივ პლანში, ამ შემთხვევებში,
ყველაზე ხშირად შეიძლება ვისაუბროთ არა ენობრივ, არამედ კონტექსტუალურ
სინონიმობასა და ანტონიმობაზე, რაც დამახასიათებელია სამეტყველო ქმედების მხოლოდ
სოციალურ-პოლიტიკური სახეობისათვის. ამ კუთხით აღსანიშნავია სიტყვათა
სემანტიკური „დამსგვასების“ და სემანტიკური მსგავსების „შესუსტების“ ტენდენციის
კვლევა, ვინაიდან სწორედ აღნიშნული ტენდენციის მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა
სოციალურ-პოლიტიკური ძალების განლაგებაზე, იდეოლოგიის ევოლუციაზე, სოციუმის
პოლიტიკაზე მისი განვითარების კონკრეტულ ეტაპზე, სოციალურ-კულტურული
სიტუაციის სპეციფიკაზე.

სწორედ ეს ფაქტი ანიჭებს საკვლევ კონცეპტს სოციალურ მნიშვნელოვნებას. კონცეპტის

„პატრიოტიზმი“ სიტყვა-რეპრეზენტატები წარმოადგენენ იდეოლოგიურად მარკირებულ ლექსემებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია პოლარულ პოლიტიკურ ძალთა „ჭიდილზე“, ერთი და იმავე მოვლენაზე ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ თვალსაზრისთა არსებობაზე, ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვარ შეფასებათა „შეჯახებაზე“ მსჯელობა. ასეთ სიტყვებს რადბილი „იდეოლოგემებს“ უწოდებს. მეცნიერის თვალსაზრისით, იდეოლოგემები ჩნდებიან „ა. დესემანტიზაციისას - პირდაპირ ნომინატიურ მნიშვნელობათა ელიმინაციისას; ბ. მაშინ, როდესაც ნეიტრალური მნიშვნელობა იძენს პოლარიზებულ კონოტაციას (პოლარული სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისების მქონე ინდივიდები სიტყვას „პატრიოტიზმი“ ანიჭებენ ან პოზიტიურ ან უარყოფით კონოტაციას) (რადბილი, 2017.)

კონცეპტუალური შინაარსის პარადიგმატული რეპრეზენტაციის კვლევა კონცეპტის კომპლექსური აღწერის პრინციპებთან შესაბამისობაში მოიცავს სხვადასხვა ტიპის სემანტიკურ მიმართებათა ანალიზს, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სინონიმისა და ანტონიმის კვლევას.

სიტყვის „პატრიოტიზმი“ ანალიზმა გამოავლინა სამი ტიპის სინონიმების არსებობა: ა. ერთძირიანი სინონიმები: patriotism (პატრიოტიზმი), hurray-patriotism (ურა-პატრიოტიზმი), ultra-patriotism (ულტრაპატრიოტიზმი); ბ. სხვადასხვა ძირიანი სინონიმები: nationalism (ნაციონალიზმი), chauvinism (შოვინიზმი); გ. დონეთაშორისი სინონიმია (სიტყვა= მყარი სიტყვათშეთანხმება): love for homeland (სამშობლოს სიყვარული), devotion to homeland (სამშობლოსადმი ერთგულება).

სიტყვის „პატრიოტიზმი“ ანალიზმა გამოავლინა სამი ტიპის ანტონიმების არსებობა: ერთძირიანი ანტონიმები: antipatriotism (ანტიპატრიოტიზმი); სხვადასხვა ძირიანი ანტონიმები: cosmopolitanism (კოსმოპოლიტიზმი), liberalism (ლიბერალიზმი); დონეთაშორისი ანტონიმია: hatred for homeland (სამშობლოს სიძულვილი).

სინტაგმატური რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კონცეპტის სემანტიკური და კონოტაციურ-შეფასებითი პოტენციალის განსაზღვრას, რომელიც ვლინდება სიტყვათშეთანხმებებში - კონცეპტის „პატრიოტიზმი“ რეპრეზენტატთა ერთობლიობაში. აღნიშნული პოტენციალის კვლევის შესაძლებლობას არ იძლევა სალექსიკონო დეფინიციათა ანალიზი.

ნაშრომში განხორციელებული ანალიზი იძლევა სიტყვის „პატრიოტიზმი“ გამოყენების რეპრეზენტატიული კონტექსტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. აღნიშნულ კონტექსტებში:

1. აქტუალიზებულია სიტყვათა სემანტიკური ტრანსფორმაციები კონცეპტუალური მეტაფორიზაციის სტანდარტული მოდელების მიხედვით;
2. გამოვლენილია სიტყვათა კონოტაციურ-შეფასებითი პოტენციალი კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ღირებულებით არაერთმნიშვნელოვნებასთან (ამბივალენტურობასთან) მიმართებაში.

ნაშრომში გაანალიზებულია კონცეპტის „პატრიოტიზმი“ რეპრეზენტატების სიტყვათშთანხმებებში კონცეპტუალური მეტაფორის მოდელების სინტაგმატური რეალიზაციის სპეციფიკა - patriotism: instinct (ინსტინქტი); refuge (თავშესაფარი); motive (მოტივი); power (ძალა); eloquence (მჭევრმეტყველება); fire (ცეცხლი); key (გასაღები); monster (ურჩხული); passion (ვნება) და ა.შ.

ჯამში, კონცეპტის „პატრიოტიზმი“ სინტაგმატური რეალიზაციის ანალიზი იძლევა ახალი იმპლიციტური და ასოციაციური კოგნიტური ნიშნების იდენტიფიცირების საშუალებას.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ სინტაგმატური რეპრეზენტაცია ნათლად ავლენს მის ღირებულებით პოტენციალს. პატრიოტიზმის სრულიად ბუნებრივ პოზიტიურ აღქმასთან ერთად, მისი კონცეპტუალური შინაარსის სიღრმეში ჩადებულია ეროვნული და კულტურული საზრისები, რომელთაგანაც გენერირდება ნეგატიური კონოტაციები.

ღირებულებითი პოტენციალი რეალიზდება სიტყვათშთანხმებებში, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის ობიექტივაცია. ამ ლექსემების ღირებულებითი პოტენციალის ენობრივი ექსპლიკაციის მექანიზმს წარმოადგენს ეროვნული და კულტურული კონოტაციები (თელია, 1999).

კვლევაში კონცეპტის ღირებულებითი პოტენციალი ჩვენს მასალაში გამოიხატება ორი საშუალებით: ა. ღირებულებათა იმპლიციტური გამოხატვით მთელ გაფართოებულ კონტექსტში, როდესაც ერთი და იგივე ლექსემა ხდება დადებითი ან უარყოფითი კონოტაციის მატარებელი, რაც დამოკიდებულია მეტყველი სუბიექტის პოზიციაზე; ბ. ღირებულებების ექსპლიციტურად გამოხატვით ლექსემაში (ultra-patriotism -

ულტრაპატრიოტიზმი) ან მინიმალურ კონტექსტში (false patriotism - ცრუ პატრიოტიზმი), როდესაც კონოტაციის (დადებითი ან უარყოფითი) მატარებელი თავად ლექსემა ან სიტყვათშეთანხმებაა.

ამრიგად, კვლევის მოცემულ სეგმენტში ლინგვოკოგნიტურ საფუძველზე განხორციელდა:

1. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კოგნიტური ნიშნების, აზრობრივი მოცულობისა და სემანტიკური სტრუქტურის ლინგვოკულტუროლოგიური დესკრიფცია;
2. გამოვლინდა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ექსტრალინგვისტური შინაარსის თავისებურებები, აზრობრივი მოცულობა ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემასა და ინგლისური ენის ფრაზეოლოგიურ და პარემიოლოგიურ ფონდებში;
3. იდენტიფიცირდა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ენობრივი ობიექტივაციის სპეციფიკა თანამედროვე ინგლისურ ენაში.

კვლევის პირველ ეტაპზე განხორციელდა კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კონცეპტუალური შინაარსის კვლევა კულტურის სივრცეში; გამოვლინდა კონცეპტის შინაარსის ცხრა აზრობრივი კომპონენტი, რომელთაც მიენიჭათ კოგნიტური ნიშნების სტატუსი:

„სამშობლოს, როგორც დაბადების ადგილის, სიყვარული“;

„სიყვარული ქვეყნის მიმართ, რომლის მიმართაც ადამიანს გააჩნია მიკუთვნებულობის გრძნობა“;

„სიამაყე სამშობლოს მიღწევებითა და კულტურით“;

„სამშობლოს კულტურული მახასიათებლების შენარჩუნების სურვილი“;

„საკუთარი თავის იდენტიფიცირება საკუთარი ერის ან ხალხის წარმომადგენლებთან მიმართებაში“;

„სამშობლოსა და მისი ხალხის ინტერესების დაცვის სურვილი“;

„ზნეობრივი და პოლიტიკური პრინციპი, სოციალური განწყობა, რომლის შინაარსია სამშობლოს სიყვარული და სამშობლოსათვის საკუთარი ინტერესების გაწირვის მზაობა“;

„განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება სამშობლოსადმი კუთვნილების,

მოქალაქეობისა და ტრადიციების მიმართ“.

მიღებულ მონაცემებს დაემატა ლექსიკოგრაფიულ წყაროებში კონცეპტის სემანტიკური მოცულობის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები. გამოვლინდა კიდევ ხუთი კოგნიტური ნიშანი:

„მამულის, ხალხის ერთგულება“;

„პასუხისმგებლობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე“;

„მზაობა ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისა სამშობლოს ინტერესებისათვის“;

„ერთგულება, მხურვალე სიყვარული“;

„განდიდება ყველაფრისა, რაც „ჩვენია“.

პირველი ეტაპის დასკვნით ეტაპზე გაანალიზდა ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური ფონდები. შედეგად, დადასტურდა და დაზუსტდა ადრე გამოვლენილი კოგნიტური ნიშნები და გამოვლინდა ახალი კოგნიტური ნიშანი „ნოსტალგია“.

ამრიგად, თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კონცეპტუალური შინაარსის მოცულობას ქმნის 15 კოგნიტური ნიშანი.

კონცეპტის „პატრიოტიზმი“ აზრობრივი მოცულობის ანალიზის მეორე ეტაპზე განხორციელდა კონცეპტის ენობრივი ობიექტივაციის თავისებურებათა დესკრიფცია, რაც გულისხმობს სიტყვა-რეპრეზენტატთა სიტყვათწარმოებითი, პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებების ენობრივი ობიექტივაციის ინტერპრეტაციის სპეციფიკის განსაზღვრას. კონცეპტის სიტყვათწარმოებითი რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზმა გამოკვეთა სამი კოგნიტური ნიშანი დომინანტური ელემენტით „patriot“ (პატრიოტი): „სამშობლოს სიყვარულის მატარებელი, საკუთარი ხალხისათვის თავდადებული, სამშობლოს ინტერესებისათვის თავგანწირვისათვის მზადმყოფი“; „სამშობლოს მსახურებისათვის მზადმყოფი“; „გადაჭარბებული ქება ყველაფრისა, რაც „ჩვენია“.

კონცეპტის პარადიგმატული რეპრეზენტაციის სპეციფიკის ანალიზის შედეგად

გამოვლინდა სამი კოგნიტური ნიშანი: „ეროვნული უპირატესობის იდეოლოგიის ან/და ფსიქოლოგიის გამოვლინება, ეროვნული იზოლაციონიზმის იდეა (nationalism - ნაციონალიზმი)“; „მონარქიის ერთგულება“; „იდეოლოგია და სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული იდეალებისა და ღირებულებების, ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნებაზე“.

კონცეპტის სინტაგმატური რეპრეზენტაციის სპეციფიკის ანალიზმა - კონცეპტუალური მეტაფორიზაციის მოდელების კვლევამ - გამოავლინა შემდეგი კოგნიტური ნიშანები: „monster“ (ურჩხული); „instinct“ (ინსტინქტი); „refuge“ (თავშესაფარი); „motive“ (მოტივი); „fire“ (ცეცხლი); „key“ (გასაღები); „soul“ (სული); „passion“ (ცნება) და ა.შ.

ასევე განხორციელდა კონცეპტის ღირებულებითი პოტენციალის რეალიზაციის რეპრეზენტატიული კონტექსტების ანალიზი, რომელმაც ცხადყო, რომ კონცეპტი „პატრიოტიზმი“ ხასიათდება ღირებულებითი ამბივალენტურობით (დადებითი და უარყოფითი კონოტაციებით).

5.2. კონცეპტის „პატრიოტიზმი“ ფრაზეოლოგიური და პარემიოლოგიური ექსპლიკაცია თანამედროვე ინგლისურ ენაში

ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს ჰუმანიტარული აზროვნების იმ სივრცეს, რომელიც იკვლევს ეროვნულ ენაში განსხეულებულ და ენობრივ პროცესებში გამოვლენილ მატერიალურ და სულიერ კულტურას. ლინგვოკულტუროლოგიისათვის უმნიშვნელოვანესია კულტურული კონოტაციის ცნება, ვინაიდან სწორედ მისი წყალობით განსხეულდება კულტურა ენობრივ ნიშანში. თელია კულტურულ კონოტაციას განსაზღვრავს, როგორც „დენოტატური ან ხატობრივად მოტივირებული, კვაზიდენოტატური მნიშვნელობის ასპექტთა ინტეგრეტაციას კულტურის კატეგორების მეშვეობით“ (თელია, 1999).

ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა გულისხმობს ენობრივ ნიშანთა ანალიზის, ენობრივ ნიშანში აკუმულირებული კულტურული ინფორმაციის ექსპლიკაციის, ენობრივ ნიშანთა კულტურული მნიშვნელოვნების განსაზღვრის, ენობრივი ნიშნების კულტურულ ნიშნებთან შესაბამისობის იდენტიფიცირების მეთოდების გამოყენებას.

დღეს ჰუმანიტარულ აზროვნებაში აქტიურად ვითარდება ანთროპოცენტრული პარადიგმა, რომლის ფარგლებშიც ყალიბდება ლინგვოკულტურული კვლევების ინტერდისციპლინური სამეცნიერო მიმართულება.

თანამედროვე ლინგვოკულტურული კვლევები დიდწილად ეფუძნება ლინგვისტური კოგნიტივიზმის თეორიულ დებულებებს და ავითარებს სამყაროს ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის თეორიას. ეს კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მენტალიტეტისა და ეროვნული კულტურის შესწავლის პრინციპების შემუშავებას.

დღეს ლინგვოკულტუროლოგიის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სფეროა კონცეპტოლოგია, რომელიც მიმართულია ეროვნული კულტურის ცნებების ანალიზზე.

კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიაში კონცეპტი სხვადასხვაგვარადაა გააზრებული.

კონცეპტის კოგნიტური ინტერპრეტაცია იკვეთება კუბრიაკოვასა და დემიანკოვის ნაშრომებში (Кубрякова/კუბრიაკოვა, 2004), (Демьянков/დემიანკოვი, 1995).

აქ კონცეპტი გააზრებულია, როგორც სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფორმატი, სამყაროს აღქმის (კოგნიციის) ინსტრუმენტი, რომელიც ობიექტივირებულია ენაში. კუბრიაკოვას თვალსაზრისით, „კონცეპტი წარმოადგენს მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, ენისა და გონების კონცეპტუალური სისტემის, ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს ხატის შინაარსობრივ ერთულს“ (კუბრიაკოვა, 1994).

ამრიგად, კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონცეპტი გააზრებულია, როგორც ელემენტარული მენტალური სქემა, რომელშიც რეპრეზენტირებულია ჩვენი ცნობიერების მიერ ასახული სინამდვილე (Croft/კროფტი, Cruse/კრუზი, 2004);

ინფორმაციული სტრუქტურა, რომელიც ასახავს სამყაროს აღქმის გამოცდილებასა და ინდივიდუუმის ცოდნას სამყაროს შესახებ (Evans/ევანსი, 2009);

მეხსიერების ერთეული (Grant/გრანტი, Dagenbach/დაგენბახი, 2000);

სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის კვანტი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ახორციელებს სინამდვილის სტრუქტურირებას მენტალურ ლექსიკონში და მიმართავს

თავის კოგნიტურ საქმიანობას ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური სინამდვილის ათვისებაზე (ჯეკენდოფი, 1990).

კოგნიტური ინტერპრეტაციით, კონცეპტი წარმოადგენს უფრო ზოგადი სახეობრივი ფენომენის „მენტალური რეპრეზენტაციის“ სახეობრივ კორელატს (Blezer/ბლეზერი, 1997). მენტალური რეპრეზენტაცია გააზრებულია, როგორც მენტალური, ფსიქიკური პლანის ერთეულებისა და მოვლენების ტიპი, რომელიც ობიექტივირებულია სიმბოლოებში, სქემებში, სკრიპტებსა და ფრეიმებში (Langacker/ლანგაკერი, 1991), (Barsalou/ბარსალოუ, 1992), (Fillmore/ფილმორი, 1982).

კონცეპტს, როგორც კონცეპტუალური სფეროს ერთეულს, შეიძლება გააჩნდეს და არც გააჩნდეს ვერბალური გამოხატულება. მიუხედავად ამისა, ვეჟბიცკამ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ კულტურისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტები კოდირებულია სწორედ ბუნებრივ ენაში (ვეჟბიცკა, 1992). კონცეპტი „სიტყვის ერთგვარი მეხსიერება“, რომელიც აქტუალიზდება დისკურსში საჭირო მომენტში.

ამრიგად, კოგნიტური ინტერპრეტაციით, კონცეპტი მიჩნეულია ელემენტარულ ფსიქიკურ წარმოდგენად, რომელიც გამოყოფს ცნობიერებაში სამყაროს რომელიმე ფრაგმენტს (Fauconnier/ფოკონიერი, 1985), (ევანსი & გრინი, 2006). ბუნებრივია, რომ, თუ კონცეპტი არის წარმოდგენა და არა ცნება, მაშინ არ არის აუცილებელი, რომ იგი (კონცეპტი) წარმოადგენდეს ლოგიკური, რაციონალური აზროვნების პროდუქტს. რადგანაც კონცეპტი მოიცავს ლოგიკისმიდმისეულ, ირაციონალურ მომენტს, გააჩნია ხატობრივი, შემფასებლური, სუბიექტურ-ექსპრესიული აზრობრივი შემადგენელი. ეს კი წარმოუდგენელია ცნებასთან მიმართებაში.

კონცეპტის ლინგვოკულტურული ინტერპრეტაციით დაკავებულია საკმაოდ ბევრი ლინგვისტი (ბორკაჩევა, 2001.), (მასლოვა, 2001). კონცეპტის ლინგვოკულტურული ინტერპრეტაცია ეფუძნება ენისა და კულტურის, როგორც ერთი და იმავე სინამდვილის მამოდელირებელ და ურთიერთმკვეთ სემიოტიკურ სისტემათა, იზომორფიზმის იდეას (რადბილი, 2017).

ჯერ კიდევ ვეჟბიცკას შრომებში ფიქსირდება ცალკეული გამონათქვამები, რომლებშიც მოხსენიებულია ტერმინი „კონცეპტი“: კონცეპტი გააზრებულია, როგორც იდეალური სამყაროს, შემეცნების სამყაროს ერთეული, რომელშიც იკვეთება ამა თუ იმ ეთნოსის

კულტურით დეტერმინირებული წარმოდგენა სამყაროზე. ეს ერთეული „დამაგრებელია“ ენობრივ სისტემაში სიტყვიერი აღნიშვნის წყალობით (ვეჟბიკა, 1985).

კონცეპტი ინტეგრირებულია ეთნოსის სულიერ ღირებულებათა სისტემაში, მენტალიტეტში, ქცევაში. კონცეპტი ასახავს ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულებას სინამდვილის ამა თუ იმ ფრაგმენტისადმი. კონცეპტი წარმოადგენს ეროვნული კულტურის ბირთვულ ერთეულს (არუთინოვა, 1996), (მასლოვა, 2001), კოლექტიური ცნობიერების დისკრეტულ ერთეულს, რომელიც ასახავს რეალური ან იდეალური სამყაროს საგანს. კონცეპტი ინახება ენის ეროვნულ მეხსიერებაში ვერბალური ფორმით.

კონცეპტი წარმოადგენს კულტურის „შენადედას“ ადამიანის ცნობიერებაში. ერთი მხრივ, კულტურა კონცეპტის სახით შედის ადამიანის მენტალურ სამყაროში, მეორე მხრივ კი, სწორედ კონცეპტის მეშვეობით ადამიანი შედის კულტურაში.

არ არის შემთხვევითი, რომ ლინგვოკულტუროლოგიის მკვლევარები კონცეპტს უწოდებენ „კულტურულ კონცეპტს“ (რადბილი, 2017), ან „ლინგვოკულტურულ კონცეპტს“.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონცეპტის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია კონცეპტს აკავშირებს კულტურით დეტერმინირებული აზრების გამოხატვასთან.

დიაქრონიული თვალსაზრისით, კონცეპტი იცვლება დროთა განმავლობაში, ამდიდრებს მის კონცეპტუალურ შინაარსს ხალხის კულტურული გარემოს ცვლილებების კვალდაკვალ, მაგრამ ამავე დროს მის ბირთვში უცვლელი რჩება ის, რაც უზრუნველყოფს კონცეპტის "კულტურულ მეხსიერებას" (Putnam/პუტნამი, 1975).

სინქრონიული თვალსაზრისით, კონცეპტი ასევე იცვლება ინდივიდიდან ინდივიდში, ერთი დისკურსული პრაქტიკიდან მეორეში. ამავდროულად, იგი ინარჩუნებს გარკვეულ სტაბილურ ასოციაციურ-სემანტიკურ საფუძველს, „ფსიქოგლოსემას“, რაც წარმოადგენს ადამიანთა ურთიერთგაგების პირობას მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის პროცესში.

კონცეპტის შინაარსი, ისევე, როგორც მისი მიმართება სხვა კონცეპტებთან, დამოკიდებულია მასობრივი ცნობიერების ცვლილებებზე, რაც, თავის მხრივ, განისაზღვრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებით, პრიორიტეტებისა და ღირებულებების ცვლილებით (Blosser/ბლოსერი, 1996). ეს

ყველაფერი სრულიად რელევანტურია კონცეპტის „პატრიოტიზმი“ კვლევის შემთხვევაში.

ჩვენი კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კონცეპტის ინტერპრეტაციისადმი კოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომები კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. ეს განპირობებულია იმით, რომ შემეცნებითი საქმიანობის ენობრივი ტიპი ხორციელდება ეროვნულად და კულტურულად დეტერმინირებული ფორმებით. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე ვაერთიანებთ კვლევაში ორივე მიდგომას და ვიყენებთ კონცეპტის აღწერისადმი ინტეგრაციულ მიდგომას (Dunn/დანი, Cahill/კეჰილი, Dukes/დიუკსი, Ginsberg/გინსბერგი, 1986).

თუ შევაჯამებთ კონცეპტის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინტერპრეტაციას, შეგვიძლია დავინახოთ შემდეგი: ერთი მხრივ, თითქმის ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ კონცეპტი არის ადამიანის შემეცნებითი აქტივობის რეფლექსი, მენტალური წარმონაქმნი, სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფორმატი და ცნობიერების სტრუქტურა (Sowa/სოვა, 1984), (Wilensky/ვილენსკი, 1990).

მეორე მხრივ, აღიარებულია, რომ კონცეპტი არის რეალობის შესახებ ეროვნულად დეტერმინირებული იდეების გამომხატველი კულტურის ერთეული. ამავე დროს, ორივე თანაბრად არის განსხეულებული როგორც ენის, ისე მეტყველების ფაქტებში (გივონი, 1989), (ლაკოფი, 1988).

ამრიგად, კონცეპტები კონცეპტუალური სისტემის ერთეულებია, რომლებიც მოიცავს ინფორმაციას სამყაროს შესახებ (Eugene/ეუგენი, 1996). ეს ინფორმაცია ეხება სამყაროს აქტუალურ ან ვირტუალურ მდგომარეობას. კონცეპტი არის ინდივიდუალური წარმოდგენების ნიშნებით გართულებული ეროვნული ხატი, იდეა, სიმბოლო.

კონცეპტი არის დისკრეტული მენტალური წარმონაქმნი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის სააზროვნო კოდის საბაზო ერთეულს (Radden/რადენი, 1992). აღნიშნულ ერთეულს გააჩნია მოწესრიგებული შინაგანი სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს ინდივიდისა და საზოგადოების შემეცნებითი საქმიანობის შედეგს. აღნიშნული ერთეული მოიცავს:

1. კომპლექსურ ენციკლოპედიურ ცოდნას საგნისა თუ მოვლენის შესახებ;

2. საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ ამ ინფორმაციის ინტერპრეტაციის შესახებ;
3. ინფორმაციას საზოგადოებრივი ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ საგნისა თუ მოვლენის მიმართ.

ვეყრდნობით რა კონცეპტის კომპლექსურ გაგებას, რომელიც აერთიანებს ლინგვოკოგნიტურ და ლინგვოკულტურულ შეხედულებებს კონცეპტის ბუნებისა და სპეციფიკის შესახებ, ჩვენ გთავაზობთ კონცეპტის შემდეგ განმარტებას: კონცეპტი წარმოადგენს ცნობიერების, კულტურისა და ენის იერარქიულად კოორდინირებულ და სტრუქტურირებულ ფენომენს, ეთნოსის სამყაროს ენობრივი ხატის დისკრეტულ სემენტს, რომელიც ხასიათდება ეროვნული და კულტურული დეტერმინირებულობით და რომელიც ობიექტივირდება ეროვნული ენის სახვადასხვა დონისა და ტიპის ექსპლიციტური და იმპლიციტური საშუალებების ერთობლიობით.

კონცეპტის კვლევისადმი ოპტიმალურ მიდგომას წარმოადგენს კოგნიტური და ლინგვოკულტურული მიდგომების ინტეგრაცია. სხვადასხვა ლინგვოკულტურაში კონცეპტუალური სივრცის სემენტაცია სხვადასხვა გზით ხდება (ტალმი, 1983). ანდაზების კვლევა წარმოადგენს ენებში კულტურული კონცეპტების იდენტიფიცირების ყველაზე ეფექტურ გზას. ანდაზაში ფიქსირებულია ენობრივი სოციუმის წარმომადგენელთა დამოკიდებულება მათთვის ყველაზე აქტუალური კონცეპტების მიმართ.

განსხვავება ლინგვოკოგნიტურ და ლინგვოკულტურულ მიდგომათა შორის შემდეგში მდგომარეობს: ლინგვოკოგნიტური მიდგომა განიხილავს კონცეპტს, როგორც ცნობიერების ერთეულს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მენტალურ ლექსიკონთან, ლინგვოკულტურული მიდგომის ფარგლებში კი კონცეპტი მიჩნეულია კულტურის კონსტანტად.

აქტუალური კონცეპტების მიმართ ენობრივი სოციუმის წარმომადგენელთა დამოკიდებულებაში ვლინდება კონკრეტული კულტურის ღირებულებითი პრიორიტეტები - ლინგვოკულტურული დომინანტები. ლინგვოკულტურული დომინანტების მნიშვნელოვნება და სპეციფიკა „გაზომვადია“ მათი ანალოგიზაცია-კონტრასტირებით ქცევით სტერეოტიპებთან. ქცევითი სტერეოტიპები ფიქსირებულია სიტყვათა მნიშვნელობებში, მყარ სიტყვათშეთანხმებებსა და პრეცედენტულ ტექსტებში.

სწორედ პრეცედენტულ ტექსტს წარმოადგენს ანადაზა. სიტუაციისა და ურთიერთობების მოდელის შესახებ წარმოდგენა, რომელიც ყალიბდება ენობრივი სოციუმის წარმომადგენელთა ცნობიერებაში, ეყრდნობა კონკრეტულ კონცეპტს, რომელიც მიუთითებს კონკრეტულ ეთნიკურ კულტურაში ამა თუ იმ ღირებულების არსებობის ფაქტზე.

კულტურულ კონცეპტებს განეკუთვნება ანსტრაქტულ ცნებათა სახელები, რომელთა სემანტიკაშიც სიგნიფიკატური ასპექტი დომინირებს დენოტატიურ ასპექტზე. კულტურულ კონცეპტთა ცნებობრივი შინაარსი კონსტრუირდება ენის მატარებელთა მიერ. ეს შინაარსი დეტერმინირებულია ენობრივი სოციუმის ღირებულებათა სისტემით. სწორედ ამიტომ ვლინდება კულტურულ კონცეპტებში სამყაროს ენობრივი ხატის თავისებურება.

კოგნიტური მიდგომის თანახმად, ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და ანდაზებში ინახება ბირთვულ პროტოტიპებამდე კონდენსირებული კოგნიტური მიკროსტრუქტურები, რომლებიც მოიცავენ (Bragina/ბრაგინა, Oparina/ოპარინა, Sandomirskaja/სანდომირსკაია, 1998):

1. შინაარსის პლანს, რომელიც მეხსიერებაში ინახავს ფრაზეოლოგიზმის ხატობრივ მოტივაციას;
2. გამოხატვის პლანს, რომელიც მეხსიერებაში ინახავს ფრაზეოლოგიზმის აკუსტიკურ-გრაფიკულ „კვალს“;
3. კონცეპტუალურ კომპონენტს, რომელიც მიაკუთვნებს ფრაზეოლოგიზმის კოგნიტურ მიკროსტრუქტურას კონკრეტულ ცნებობრივ სფეროს.

კვლევისათვის ფუძემდებლური აღმოჩნდა კონცეპტის განმარტებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ლინგვოკულტუროლოგიისა და კონცეპტოლოგიის კვებაზე:

თითოეულ ბუნებრივ ენას გააჩნია სამყაროს საკუთარი ენობრივი ხატი - თითოეული ბუნებრივი ენა ასახავს ერის თავისებური აზროვნებისა და სამყაროს აღქმის სპეციფიკას (ჰუმბოლდტი, 2000);

კულტურის ბირთვულ კონცეპტებს წარმოადგენს სამყაროს ხატის ძირითადი ერთეულები, რომლებსაც გააჩნია მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ინდივიდისათვის,

ისე მთლიანად ლინგვოკულტურული საზოგადოებისთვის (მასლოვა, 2001);

კონცეპტი წარმოადგენს ცნობიერების, კულტურისა და ენის იერარქიულად
კოორდინირებულ და სტრუქტურირებულ ერთეულს;

კონცეპტი მოიცავს ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ შინაარსს და წარმოადგენს
სამყაროს ენობრივი ხატის დისკრეტულ სეგმენტს;

კონცეპტი ხასიათდება ეროვნული და კულტურული დეტერმინირებულობით და
ობიექტივირდება სხვადასხვა ტიპის იმპლიციტური და ექსპლიციტური საშუალებებით;

კონცეპტუალური შინაარსის მინიმალურ ერთეულს წარმოადგენს კოგნიტური ნიშანი,
რომელიც ვლინდება კონცეპტუალური ანალიზის მეშვეობით;

კონცეპტუალური ნიშნების ერთობლიობა ქმნის კონცეპტის შინაარსს და განსაზღვრავს
კონცეპტის აზრობრივ მოცულობას, ხოლო კოგნიტურ ნიშნებს შორის არსებული
მიმართებები აყალიბებენ კონცეპტის სემანტიკურ სტრუქტურას;

კონცეპტი წარმოადგენს ლინგვოკულტურული სპეციფიკით აღბეჭდილ სემანტიკურ
წარმონაქმნს, რომელიც ტიპურია გარკვეული ეთნოკულტურის მატარებელთათვის;

კონცეპტი არის ცოდნის ერთგვარი კვანტი, რომელიც ასახავს ადამიანის საქმიანობის
შინაარსს;

კონცეპტი არ წარმოიქმნება უშუალოდ სიტყვის მნიშვნელობიდან - იგი წარმოიქმნება
სიტყვის სალექსიკონო დეფინიციისა და ადამიანის როგორც პიროვნული, ისე ეროვნული
გამოცდილების შეჯახების შედეგად;

კოგნიტური ნიშნები ქმნიან კონცეპტუალურ ფენებს, რომლებიც განსხვავდებიან
ერთმანეთისაგან იმ მანძილით, რომლითაც დაშორებულნი არიან ცენტრიდან ან
პერიფერიიდან.

კონცეპტუალური შინაარსი ეროვნულ ენაში ობიექტივირდება საკვანძო სიტყვების, მათი
სინონიმების, ჰიპონიმებისა და ჰიპერონიმების, წარმოებული სიტყვების,
სიტყვათწარმოების მოდელების, საკუთარი სახელების, პრეცედენტული ფენომენების
(მათ შორის, ფრაზეოლოგიური ერთეულებისა და ანდაზების), გრამატიკული

კატეგორიების თავისუფალი სიტყვათშეთანხმებების, თავისუფალი ფრაზების და წინადადებების და თუნდაც მთელი ტექსტებისგან. ცნებები შეიძლება დაიყოს სხვადასხვა ნიშნით. ჩვენი კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ცნებების დაყოფა პირველყოფილ და ნასესხებებად. ცნებების სისტემურად ორგანიზებული ნაკრები წარმოადგენს ეროვნულ კონცეპტუალურ სფეროს.

ადამიანისა და სამყაროს ურთიერთქმედებით ადამიანს უყალიბდება გარკვეული წარმოდგენა სამყაროს შესახებ, სხვა სიტყვებით, ყალიბდება სინამდვილის გარკვეული მოდელი - სამყაროს ენობრივი ხატი.

ლინგვისტთა შორის, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი იყო პირველი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ენის შინაარსისა და აზროვნების ეროვნულობას: „ერისათვის ენა წარმოადგენს ორიგინალური აზროვნებისა და აღქმის ორგანოს“ (ჰუმბოლდტი, 2000).

ნებისმიერი ლინგვოკულტურის სამყაროს ენობრივი ხატის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს „სამშობლო“. აღნიშნული კონცეპტის მეშვეობით ვლინდება ადამიანისა და საზოგადოების დამოკიდებულება საკუთარი მუდმივი საცხოვრებელი სივრცისადმი, ასევე იმ ისტორიულ-კულტურული მოვლენებისადმი, რომელიც ხდებოდა და ხდება ამ სივრცის საზღვრებში. სამშობლოს ფენომენი არასდროს კარგავს თავის განსაკუთრებულ ღირებულებას, თუმცა სამშობლოსადმი დამოკიდებულება სხვაობს სხვადასხვა კულტურაში. სხვადასხვა ენისა და კულტურის მატარებელთა მიერ კონცეპტის „სამშობლო“ გააზრებაში იკვეთება როგორც მსგავსება, ისე სხვაობაც. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია სხვადასხვა ლინგვოკულტურის სპეციფიკით - უნიკალურობით.

კონცეპტის „სამშობლო“ ანალიზისათვის მივმართეთ ინგლისური ენის ლექსიკოგრაფიულ წყაროებს. ინგლისურ ლექსიკოგრაფიულ წყაროში - “Dictionary of the English Language and Culture” (DELC) - კონცეპტი „სამშობლო“ შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: “the country of one’s birth; one’s native land; the country from which a group of settlers in another part of the world originally came” (Dictionary of English Language and Culture. Edinburgh: Pearson Education Limited, 2005. 1621 გვ.).

კონცეპტი „სამშობლო“ ხშირად ობიექტივირებულია ფრაზეოლოგიური და იდიომატური ერთეულებით: „Home is home though it be never so homely“; „Dry bread at home is better than

roast meat abroad“; „The wider we roam, the welcomer home“.

ლექსიკონებიდან შევარჩიეთ ფრაზეოლოგიური ერთეულები (შემდგომში ფრაზეოლოგიური ერთეულები) მნიშვნელობით „motherland“. ფრაზეოლოგიური ერთეულების შთამბეჭდავი რაოდენობა მოწმობს მათი გამოყენების მაღალ სიხშირეზე ენასა და მეტყველებაში. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ წარმოდგენა სამშობლოზე, მისი ხედვა ინდივიდუალურია. სწორედ ამიტომ მიემართება სხვადასხვა ფიგურალური გამონათქვამი სინამდვილის ერთი და იმავე ობიექტს.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ათი სემანტიკური ჯგუფი, რომელთაგან შვიდს დადებითი მნიშვნელობა აქვს:

სადაც დაიბადა, იქ გამოდგება: Arm's length transaction; Your own shirt is nearer to your body. სამშობლოსათვის არ უნდა დაიშურო არც ძალა და არც სიცოცხლე: Better a glorious death than a shameful life; Fight to the death; To fight like Kilkenny cats; To fight tooth and nail; To beat the living daylight out of smb.; To wipe the floor with smb.; To beat the pants off smb.; To knock the living daylight out of smb.; To put one over on smb.; To get one over on smb.

სამშობლო მზეზე მშვენიერი და ოქროზე ძვირფასია: Home is home though it be never so homely; Any sandpiper is great in his own swamp; Every bird likes its own nest; The man who is tired of London is tired of life; All your geese are swans; Heaven on earth; (One's) native heath; Under one's vine and fig-tree; Every bird likes its own nest; Let every man praise the bridge he goes over.

თუ ხალხი ერთიანია, იგი უძლეველია: Blood is thicker than water; The Dutch have taken Holland! The call of the wind; As the old cock crows, so does the young; Birds of a feather flock together; One link broken, the whole chain is broken; One man, no man; One swallow does not make a summer; The voice of one man is the voice of no one.

სამშობლო - დედა, უცხო მიწა კი - დედინაცვალია: Better at home than a mile from it; Dry bread at home is better than roast meat abroad; East or West, home is best; It is good to be visiting, but it is better at home; There is no place like home; Home is home though it be never so homely; The furthestest way about is the nearest way home; The wider we roam, the welcomer home.

ჩემი სახლი, ჩემი ციხესიმაგრეა: My house is my castle; You are your own master on your own stove; A man's house is his castle; One is one's own master on one's own stove; Wash your dirty linen at home; An Englishman's house is his castle.

სახლში კედლებიც გეხმარება: Every dog is a lion at home; A cock is valiant on his own dunghill; Every dog is valiant at his own door; To take to something like a duck to water.

ანალიზის შედეგად გამოიყო უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სამი სემანტიკური ჯგუფი:

სულერთია სად იცხოვრებ, მთავარია არ გმიოდეს: Better to reign in hell, than serve in heaven; One mustn't venture into others' home with a charter of one's own; When in Rome, do as the Romans do; Every country has its customs; So many countries, so many customs; The apples on the other side of the wall are the sweetest; Begin the world; Make oneself at home; Be tarred with the same; New lords, new laws; In the country of one-eyed be one-eyed; Who keeps company with the wolf, will learn to howl; Keep open house.

უცხო მხარეში გაზაფხულიც კი არ არის მშვენიერი: Nightingales will not sing in a cage; He has no home whose home is everywhere; Ill-gotten gains never prosper; Ill-gotten, ill – spent; Love cannot be forced; The camel going to seek horns lost his ears.

სამშობლოს ღალატი მშობლების შერცხვენაა: It is an ill bird that fouls its own nest; To change one's coat; To be a foot in both camps; To sell the pass; To stab in the back.

ინგლისურ ენაში დადებითად ფასდება: სამშობლოსადმი სიყვარული, პატრიოტიზმი, ერთობა. უარყოფითად ფასდება: ღალატი და ანგარება.

კონცეპტის „სამშობლო“ ფრაზეოლოგიურ და იდიომატურ რეპრეზენტატთა ანალიზმა გამოკვეთა შემდეგი კოგნიტური ნიშნები:

სამშობლოს დაცვა, მისთვის ბრძოლა: „As long as you are ready to die for humanity, the life of your country is immortal“;

ნოსტალგია: „There is no place like home“;

უცხო ქვეყნისა და სამშობლოს შეპირისპირება: „He has no home whose home is everywhere“;

სამშობლოსადმი ერთგულება, სამშობლოს მსახურება: „To live is to serve the Motherland“.

კონცეპტის „homeland“ ფრაზეოლოგიურ რეპრეზენტატთა ანალიზმა გამოავლინა გარკვეული კანონზომიერება: ყველაზე ხშირად გამოიყენება ლექსემები „home“ და „country“.

ამრიგად, ინგლისურ ლინგვოკულტურაში კონცეპტის „სამშობლო“ ცნებობრივ განზომილებაში იკვეთება შემდეგი ფორმულირება: სამშობლო არის ადგილი, სადაც ადამიანი დაიბადა და გაიზარდა - “the country of one’s birth”.

ღირებულებით განზომილებაში განსაკუთრებით მკვეთრია პასუხისმგებლობის გრძნობა, სამშობლოს დაცვისა და მასზე ზრუნვის, სამშობლოს საუკეთესო მხრიდან წარმოჩენის სურვილი.

თითოეულ ჩვენგანს გააჩნია საკუთარი ხატი: მშობლიური სახლი, ქალაქი, სოფელი, ბავშვობის მოგონებები. საკუთარი ეროვნული მიკუთვნებულობის გაცნობიერების აუცილებლობის გამო მუდმივად ვბრუნდებით სამშობლოში ფიზიკურად და მენტალურად.

ენისადმი თანამედროვე ანთროპოცენტრისული მიდგომა გულისხმობს არა მხოლოდ ენის, არამედ ადამიანის ენასა და კულტურაზე გავლენის კვლევას. ენისადმი თანამედროვე ანთროპოცენტრისული მიდგომა იძლევა ერისა და მისი მენტალიტეტის კვლევის შესაძლებლობას.

თანამედროვე ანთროპოცენტრისულ კვლევებში იკვეთება რამდენიმე მიმართულება:

1. მიმართულება, რომელიც იკვლევს ენასა და ენის მატარებლის მენტალიტეტს;
2. მიმართულება, რომელიც კონცენტრირებულია ენისა და სამყაროს ხატის კვლევაზე;
3. მიმართულება, რომელიც ორიენტირებულია კონცეპტებისა და სამყაროს ხატის კვლევაზე.

კვლევის მოცემული სეგმენტი ეძღვნება დიადის „სახლი/ სამშობლო - უცხო ქვეყანა“ ობიექტივაციის თავისებურებათა კომპლექსურ აღწერას ინგლისურ ანდაზებში.

სინამდვილის კონცეპტუალიზაციის გზა თითოეულ ენაში უნივერსალურიცაა და

უნიკალურიც. ლინგვოკულტურული დომინანტები წარმოადგენს განსაკუთრებულ ცნებათა სისტემებს, რომლებიც ავლენენ შესაბამისი კულტურის ღირებულებით პრიორიტეტებს.

წარმოადგენს რა ეროვნული ეტალონების ინტერპრეტაციის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ წყაროს, ანდაზების ანალიზი იძლევა სამყაროს ეროვნული ხატის თავისებურებათა წვდომის შესაძლებლობას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კულტურათა დიალოგის შესაძლებლობას. ენის მატარებლის სამყაროს ხატის თავისებურება განპირობებულია იმით, თუ როგორ ნაწილდება ენაში უნივერსალიები, უნიკალიები და ინდივიდუალური კომპონენტები. ეთნოსის სამყაროს ხატი „ილექება“ ცენტრალური ზონის ირგვლივ. სწორედ ეს ზონა მოიცავს ეთნიკურ კონსტანტებს, ეთნოსის წარმომადგენელთა ღირებულებებს, რწმენებსა და წარმოდგენებს. ეთნიკურ ღირებულებათა სისტემა წარმოადგენს კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტს.

დენოტატური და კონოტატური „გაჯერებულობა“, ემოციურ-შემფასებლური დამოკიდებულების გამოხატვის უნარი აქცევს ანდაზას ეროვნულ-კულტურული ინფორმაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატარებლად. ანდაზის ეროვნულ-კულტურული თავისებურება განპირობებულია:

1. ხალხის - ლინგვოკულტურის მატარებელთა - ისტორიული მეხსიერებით;
2. კულტუროლოგიური რეალიებით;
3. ონომასტიკური რეალით;
4. კულტურის წარმომადგენელთა უმრავლესობის მენტალიტეტით;
5. კონკრეტული კულტურის ფარგლებში აღიარებული ღირებულებებით;
6. ტრადიციებით;
7. პრეცედენტული ტექსტებით.

ლინგვოკულტუროლოგია ცდილობს ახსნას ერთეულების კულტურული და ეროვნული მნიშვნელობა, რაც მიიღწევა მათი უნივერსალური ან ეროვნული კულტურის ცნებებთან კორელაციის საფუძველზე. სამყაროს ენობრივი ხატი აქ გააზრებულია, როგორც ღირებულებითი ორიენტაციების სისტემა, რომელიც კოდირებულია ენობრივი ერთეულების ასოციაციურ-ხატობრივ კომპლექსებში. სამყაროს ენობრივი ხატი გულისხმობს მშობლიური ენის მატარებელთა მიერ საერთო ფონური ცოდნის ფლობას. სწორედ ეს უკანასკნელი აკავშირებს ენის კულტურით მარკირებულ ერთეულებს

კულტურის კვანტებთან.

ანდაზა, როგორც კოგნიტური მიკროსტრუქტურა, ასოცირდება უფრო დიდ კოგნიტურ სტრუქტურასთან (კონცეპტთან). იგი წარმოადგენს კონცეპტის ვერბალიზაციის პროცესის ერთ-ერთ საფეხურს და კონცეპტის იმ ნაწილის რეალიზაციას, რომელიც დაკავშირებულია ანდაზით შექმნილ წარმოდგენასთან ან ხატთან.

ლინგვოკულტურული დომინანტა „სამშობლო/სახლი - უცხო ქვეყანა“ წარმოადგენს ნებისმიერი ეთნიკური კულტურის კონსტიტუენტს. ეს კულტურული დომინანტი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ენობრივი საშუალებით და ამიტომ მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას, სხვა სიტყვებით, იმ ეთნოკულტურული ფონის გათვალისწინებას, რომლის მიხედვითაც ხდება ანდაზის ინტერპრეტაცია. შედარებითი კონცეპტუალური ანალიზის შედეგად, როგორც წესი, ვლინდება კონცეპტუალური სტრუქტურების როგორც უნიკალური, ისე უნივერსალური მახასიათებლები.

კონცეპტის „სამშობლო“ ინგლისური ენის მატარებელთა ცნობიერებაში კულტურულად დეტერმინირებულია, სხვა სიტყვებით, დამუშავებულია ენასა და ლიტერატურაში, დატვირთულია სემანტიკურად და სემიოტიკურად. ინგლისური ენის მატარებელთა ცნობიერებაში კონცეპტი „სამშობლო“ და ლინგვოკულტურული დომინანტა „სამშობლო/სახლი - უცხო ქვეყანა“ ფიქსირდება სხვადასხვა კონოტაციით. აღნიშნული ლინგვოკულტურული დომინანტას ნომინაციური სემანტიკის სპეციფიკა განპირობებულია ღრმა სოციალურ-ისტორიული და კულტურული ფაქტორებით.

ვინაიდან ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების საფუძველს წარმოადგენს შედარება, ანდაზების სემანტიკურ-ლოგიკურ კომპლექსებად გაერთიანებისას მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ ღირებულების გვერდით, როგორც წესი, არსებობს მისი ანტიპოდი – „ანტიღირებულება“. ამ შემთხვევაში ასეთ ანტიპოდს წარმოადგენს „უცხო ქვეყანა“.

აზრობრივი დომინანტას არსებობა, რომელიც უპირისპირდება ყველა სხვა დომინანტას, შეიძლება აიხსნას ძირითადი ორობითი ოპოზიციების არსებობით, რომლებიც ასახავენ კულტურის მსოფლმხედველობის ან მენტალიტეტის საზღვრებს. სწორედ მსოფლმხედველობისა და მენტალიტეტის საფუძველზე იქმნება ორობითი ოპოზიციების მთელი სისტემა, რომელზეც იგება მეორე რიგის ოპოზიციები. ასე იქმნება კულტურით დეტერმინირებულ ოპოზიციათა შორის არსებულ მიმართებათა ბადე, რომელშიც

თავსდება ზნეობრივი განსაზღვრულობის მქონე ოპოზიციები, როგორცაა: „კარგი - ცუდი“, „საკუთარი - სხვისი“.

ნაშრომში განხორციელებულია ინგლისური ანდაზების კორპუსის ანალიზი, აზრობრივი დომინანტების მიხედვით. ანდაზის სტრუქტურის სირთულის გათვალისწინებით, ერთეულთა სისტემატიზაცია ეფუძნება როგორც სემანტიკურ, ისე ლოგიკურ ანალიზს.

მასალის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სემანტიკური დომინანტები:

1. დაპირისპირება „საკუთარი“- „სხვისი“;
2. ყველაფერი, რაც გარს აკრავს ადამიანს მშობლიურ სახლში, აადვილებს მის ცხოვრებას;
3. თითოეული ადამიანი ამყობს იმ ადგილით, რომელსაც მშობლიურად თვლის;
4. სამშობლოს სიყვარულის აუცილებლობა და მათი დაგმობა, ვინც არ აფასებს სამშობლოს;
5. ნებისმიერი საცხოვრებელი პირობები არ ამცირებს მშობლიური ადგილის ღირებულებას და უცხო მიწაზე ნებისმიერი წვრილმანი სამშობლოს ახსენებს;
6. უცხო ქვეყანაში ხეტიალის შემდეგ სახლში დაბრუნების აუცილებლობა;
7. მიტოვებული სამშობლოსადმი ლტოლვა და უცხო მიწაზე მძიმე ცხოვრების აღწერა;
8. პიროვნების ქცევის აღწერა საკუთარ სახლში;
9. სამშობლო არის ის ადგილი, სადაც კარგია;
10. საკუთარი კერის შექმნა რთული საქმეა;
11. ემოციური დამოკიდებულება მშობლიური სახლის მიმართ

დაპირისპირება „საკუთარი“- „სხვისი“ წარმოადგენს ნებისმიერი კულტურის კოლექტიური, ეროვნული მსოფლგანცდის კონსტანტას.

ლექსიკონების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ანდაზების კორპუსის ბირთვი და პერიფერია. ბირთვში განთავსდა ორ ან მეტ ლექსიკონში დაფიქსირებული ანდაზები, ხოლო პერიფერიამ მოიცვა მხოლოდ ერთ ლექსიკონში ფიქსირებული ანდაზა.

ანალიზს დაექვემდებარა 29 ანდაზისაგან შემდგარი კორპუსი, რომლის ბირთვიც წარმოდგენილია შემდეგი ერთეულებით: There is no place like home; An Englishman's house is his castle; East or West, home is best; Every bird likes its own nest; Every dog is a lion at home; Home is home though it be never so homely; Dry bread at home is better than roast meat abroad;

It is a foolish bird that soils its own nest; Home is where the heart is; Men make houses, women make homes. ანდაზების კორპუსის ბირთვი მოიცავს 10 ერთეულს, პერიფერია კი წარმოდგენილია 19 ანდაზით.

5.3. ექსპერიმენტული შედეგების თვისებრივი ინტერპრეტაცია: ასოციაციური განზომილებისა და კონცეპტუალური სივრცის შემადგენლობათა ანალოგიზაცია-კონტრასტირება თანამედროვე ინგლისურ ენაში

კვლევის მოცემული სეგმენტის მიზანია მონაცემების კონტექსტუალიზაცია და ცალკეული ტენდენციების, ადამიანების წარმოდგენების ინტერპრეტაცია. ამ წარმოდგენათა ინტერპრეტაცია მხოლოდ კონკრეტული კონტექსტის ფარგლებშია შესაძლებელი. კვლევა ორიენტირებულია არა კანონზომიერებების დადგენაზე, არამედ საკვლევი ფენომენის დესკრიფციაზე, არა მონაცემების ფართო საზოგადოებაზე განვრცობაზე, არამედ კონკრეტულ ჯგუფებს შიგნით არსებული ტენდენციების გამოვლენაზე.

კვლევის სქემა შედგება თეორიული ანუ მეთოდოლოგიური და მეთოდური ანუ პროცედურული კომპონენტებისაგან.

თეორიულ ანუ მეთოდოლოგიურ ნაწილში დაფიქსირება საკვლევი პრობლემა, განისაზღვრა დასახული მიზნისათვის რელევანტური ამოცანები და შემუშავდა წინასწარი დაშვება.

მეთოდურ ანუ პროცედურულ ნაწილში გამოიყო სამიზნე ჯგუფი, შეირჩა მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები, განისაზღვრა მონაცემების ანალიზის სტრატეგიები.

კვლევის მონაცემები მოპოვებულია ინტერვიუებისა და ტექსტური მასალის ანალიზის მეშვეობით. ანალიზს დაექვემდებარა პიროვნული ნარატივის ვერსიები, რომელთა შინაარსი დეტერმინირებულია რესპოდენტთა პირადი გამოცდილებით, ასევე ბრიტანულ და ამერიკულ ლინგვოკულტურებში აღიარებული ნარატიული და ლინგვისტური კონვენციები, რომლებიც, თავის მხრივ, რესპოდენტთა გენდერულ და ასაკობრივ მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

რამდენადაც ინტერვიუთა უმრავლესობა ჩატარდა ვირტუალურ სივრცეში, გათვალისწინებულ იქნა ვირტუალური ინტერაქციის სპეციფიკა, ასევე ვირტუალური სივრცისა და მასში გამოყენებული ენისა თუ კომუნიკაციის არავერბალური სტრატეგიების გავლენა რესპოდენტთა იდენტობებზე.

ინტერვიუს მონაცემების ანალიზის შემდგომ განხორციელდა არგუმენტირებული ინტერპრეტაცია, კერძოდ კი, ინტერვიუს მასალის კლასიფიცირება, შედარება და კომბინირება კანონზომიერებათა გამოვლენის, იზოლირებულ აღწერათა ერთ ლოგიკურ ნარატივად გაერთიანებისა და დასკვნების გამოტანის მიზნით.

ინტერვიუების მონაცემთა ანალიზმა მოიცვა კოდირების, კატეგორიზაციის, ლოკალური ინტეგრაციისა და ინკლუზიური ინტეგრაციის ეტაპები.

ანალიზის საწყის ეტაპზე გაიშიფრა ინტერვიუს აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, მომზადდა მათი ტრანსკრიპტები, შემდეგ კი განხორციელდა მონაცემების კოდირება და კატეგორიზაცია.

მონაცემების ანალიზი დაიწყო მათი კოდირებით - ინტერვიუს მასალაში ბირთვული კონცეპტების, თემების, მოვლენებისა თუ თემატური მარკერების იდენტიფიცირებით, შემდეგ კი - თითოეულ ტრანსკრიპტში შესაბამისი სახელწოდების ანუ კოდის მიწერით იმ მონაცემებისთვის, სადაც ეს კონცეპტი, თემა, მოვლენა თუ თემატური მარკერი დაფიქსირდა.

მონაცემების კოდირების შემდგომ განხორციელდა მათი კატეგორიზაცია - შესაბამისი კოდების ქვეშ ინტერვიუს მონაცემების დახარისხება. თითოეული ინტერვიუდან ამოიკრიბა კოდის სახელწოდების შესაბამისი შინაარსი და მოთავსდა მოცემული კოდის ქვეშ.

აღნიშნულმა პროცედურამ უზრუნველყო იმის გაანალიზება, თუ მთლიანობაში როგორ აღიქმება საკვლევო კონცეპტი, რა დატვირთვა აქვს მას სხვადასხვა გენდერული და ასაკობრივი ჯგუფისათვის, რა მსგავსება-განსხვავებებია რესპოდენტთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ კონცეპტის აღქმაში. დაჯგუფებულ მასალაში გამოიკვეთა კონცეპტებს შორის არსებული კავშირები და გარკვეული კანონზომიერებები.

ანალიზის მომდევნო ეტაპზე განხორციელდა მონაცემების ლოკალური ინტეგრაცია -

თითოეული კოდის ქვეშ თავმოყრილი ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია, ხოლო შემდეგ – ინკლუზიური ინტეგრაცია - ინფორმაციის ცალკეული ამონარიდების ანალოგოზაცია-კონტრასტირება, ინტერპრეტაცია და ერთ ლოგიკურ ნარატივად გაერთიანება.

კონცეპტთა შორის არსებული კავშირები გამოვლინდა: მაორიენტირებელი შეკითხვებისა და რესპოდენტთა მიერ ბირთვულ კონცეპტებს შორის არსებული კავშირების აღქმის სპეციფიკის ანალიზით, მოცემული კვლევის კონტექსტუალიზებით არსებული ლიტერატურის ფარგლებში.

ლოკალური ინტეგრაციისას ცალკეული კოდის ქვეშ განხორციელდა შესაბამისი მონაცემების კატეგორიზაცია - შეჯამდა რესპოდენტთა თვალსაზრისები, იდენტიფიცირდა დომინანტური კონცეპტები, იდეები და ხედვები.

ინკლუზიურმა ინტეგრაციამ ერთ მთლიან ისტორიად შეკრა ლოკალური ინტეგრაციის შედეგად მიღებული ცალკეული სექციის ანალიზი - გაანალიზდა და სინთეზირდა ის ძირითადი თემატური სექციები, რომლებიც მიღებულ იქნა ლოკალური ინტეგრაციის შედეგად. ამრიგად, ამ ეტაპზე ინტეგრირდა მონაცემები და ჩამოყალიბდა დასკვნები.

კვლევაში განხორციელებულია კონტენტანალიზმისადმი არსებული მიდგომების სინთეზი - რაოდენობრივ და თვისებრივ პერსპექტივათა კომბინირება. გამოყენებულია არანარატიული კონტენტანალიზი - ჩამოყალიბდა კატეგორიები და შემდეგ დაფიქსირდა თითოეული კატეგორიის შიგნით არსებულ შემთხვევათა რაოდენობა.

არანარატიული კონტენტანალიზის განხორციელებამ მოიცვა შემდეგი საფეხურები:

შეირჩა საკვლევი პრობლემისათვის რელევანტური ტექსტები - მოხერხდა ტექსტების იმგვარ რაოდენობამდე დაყვანა, რომელიც უზრუნველყოფდა ანალიზის რეალისტურობასა და რაოდენობრივი კონტენტანალიზისას მათი ერთობლიობის მეშვეობით სტატისტიკურ რეპრეზენტაციას;

ანალიზის ერთეულის განსაზღვრა - ტექსტში სიტყვებისა და ფრაზების, ტერმინების, თემების, აქტორებისა და ცნებების სისტემატური იდენტიფიცირება და ანალიზის ძირითად სამიზნედ ქცევა;

კატეგორიზაცია - ანალიზის ერთეულების იდენტიფიცირება და საერთო

მახასიათებლების საფუძველზე მათი დაჯგუფება;

მონაცემების კოდირება - მონაცემების დიდი რაოდენობის გაცხრილვა და მათ ორგანიზებულ სეგმენტებამდე დაყვანა.

კოდირებამ მოიცვა სამი ეტაპი:

ღია კოდირება - ფენომენების თუ მოვლენების უფრო ფართო აღწერით კატეგორიებში გაერთიანება, რომელიც განხორციელდა ფენომენებისა თუ მოვლენების დანარჩენებთან შედარების და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების იდენტიფიცირების გზით.

კონცეპტუალურად მსგავსი ფენომენები და მოვლენები დაჯგუფდნენ და შექმნეს საერთო კატეგორიები;

ღერძული კოდირება - კატეგორიების შემდგომი ჩაშლა ქვეკატეგორიებად, ლოგიკური და იერარქიული თანმიმდევრობით მათი განლაგების მიზნით;

სელექციური კოდირება - ყველა კატეგორიის „ბირთვული“ კატეგორიის გარშემო გაერთიანება, ნაკლები კატეგორიების შევსება, ბუნდოვანი კატეგორიების დაზუსტება და „ბირთვულ“ კატეგორიასთან მათი ლოგიკური კავშირის შემოწმება;

მონაცემების შეკვეცა სტატისტიკური პროცედურების გამოყენებით;

დასკვნების გამოტანა კონკრეტული კონტექსტისათვის რელევანტური ანალიტიკური მოდელების საფუძველზე.

კვლევაში რაოდენობრივი კონტენტანალიზისათვის გამოყენებული ტექსტური მასალის საილუსტრაციოდ შემოთავაზებულია ტექსტებიდან ამონარიდების ის რაოდენობა, რომელიც, ჩვენი აზრით, აუცილებელი და საკმარისია 22-68 წლამდე მდედრობითი და მამრობითი სქესის 34 ინგლისურენოვანი რესპოდენტის მიერ კონცეპტის „პატრიოტიზმი“ აღქმისა და ობიექტივაციის სპეციფიკის წარმოსაჩენად.

რესპოდენტთა ნაწილის თვალსაზრისით, პატრიოტიზმი უპირისპირდება ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს. პატრიოტი კონცენტრირდება „იმაზე, რაც გვაერთიანებს“, ნაციონალიზმი კი „იმაზე, რაც გვყოფს“. მათი აზრით, ამერიკელებმა ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმისაგან უნდა დაიცვან ამერიკული პატრიოტიზმი,

რომელსაც ამოძრავებს რწმენა, მიზანი, იმედი და აღმაფრენა: We should not mix patriots up with nationalists. Patriotism unites us, whereas nationalism divides us ... We should recover patriotism from nationalism and cosmopolitanism. I defend American patriotism with creedal and aspirational components. რესპოდენტთა აზრით, პატრიოტიზმი ხდება ტოქსიური, როცა იგი იქცევა ნაციონალიზმად. ნაციონალიზმი აფერხებს საერთაშორისო ურთიერთობებსა და პროგრესს, საფრთხეს უქმნის მშვიდობას: There is a fine line between patriotism and nationalism. Patriotism becomes toxic when it becomes nationalism, at which time it can directly interfere with international relationships, progress, or world peace. Nationalism impedes our relationships with other countries.

უნდა აღინიშნოს, რომ დაფიქსირდა რესპოდენტთა ის თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც, პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი მონეტის ორ მხარედ მიიჩნევა: Patriotism and nationalism are the two sides of the same coin. In nationalism, the nation has a symbolic representation to have freedom for an ethnic group, while in patriotism the nation itself has the highest value. რესპოდენტთა აზრით, ნაციონალიზმი გამოიხატება პატრიოტიზმში, პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას: Nationalism is expressed through patriotism because nationalism is the belief of a particular nation interest and culture. Patriotism and Nationalism is what keeps America thriving exceptionally. The government was designed to help protect the peace of the land, and to preserve our liberties. Americans' patriotic actions demonstrate patriotism, simply by showing respect, love, and support to one another and to the land. უნდა აღინიშნოს, რომ პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის საკმაოდ ბევრმა რესპოდენტმა არჩევანი გააკეთა კოსმოპოლიტიზმის სასარგებლოდ: Humankind would be a better place if we were all just citizens of the world.

რესპოდენტთა ნაწილი დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას განიხილავს პატრიოტული სულის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორად: We should protect the patriotic character of the celebration of Independence Day. რესპოდენტთა აზრით, ამ დღის აღნიშვნა ასოცირდება ოჯახურ ზეიმთან, მეგობრების თავყრილობასთან, ამერიკულ პატრიოტულ სიმღერებთან, ამერიკულ დროშასთან, ფეიერვერკით განათებულ ღამის ცასთან, რომელიც ახსენებს ამერიკელებს თავიანთი დიდი ქვეყნის პატრიოტიზმს: Independence Day should be a celebration filled with families, friends and neighbors enjoying the outdoors with good food and fellowship. The conclusion of the day's celebration is America's patriotic songs playing in the background, the American Flag waving in its stoic place, the traditional fireworks illuminating

the night sky reminding us of our patriotism to our great country.

რესპოდენტთა ნაწილისათვის პატრიოტიზმის არსი მდგომარეობს ექსტრემიზმთან და ექსტრემისტებთან ბრძოლაში: Patriotism is to protect your country from extremism and take actions against extremists.

საკუთარი ქვეყნით სიამაყე და საკუთარი წვლილის შეტანა თავისუფლების შენარჩუნებაში მიაჩნია პატრიოტიზმად ამერიკელ რესპოდენტთა დიდ ნაწილს: Patriotism is the pride of being an American and doing your part too. I should do my part to ensure that we keep having these freedoms and maintain these freedoms that we can sometimes take for granted.

რესპოდენტთა ნაწილისათვის პატრიოტიზმი ასოცირდება სახელმწიფო სიმბოლიკასთან (დროშასთან): It's a small thing but I really like when all the flags come out. It's a fairly good reminder that we may have disagreements but collectively we are still kind of one big messed up family. Flag gives that feeling of national pride. Flying the flag shows that you respect your country and that you are devoted to your country. Flying the flag doesn't mean that you support everything that has happened in the past, but means that you love your country, and you love what is best about it. Patriotism is demonstrated by flying our country's flag, whether at home, at work, at school, or at events. Patriotism is demonstrated by flying our country's flag, whether at home, at work, at school, or at events. რამდენიმე ინტერვიუში დაფიქსირდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, დროშა ასოცირდება არა პატრიოტიზმთან, არამედ ქვეყნის (ამერიკის) ისტორიის ნეგატიურ ასპექტებთან, კერძოდ, მონათმფლობელობასა და უსამართლობასთან: Opinions differ on the idea of what the American flag represents. One opinion of the flags representation is that the flag represents our history, and the formerly mentioned idea of patriotism. I believe the flag also represents our history as a nation, but these beliefs focus much more heavily on the negative aspects of our history; such as slavery and other injustices.

რამდენიმე ინტერვიუში კი პატრიოტიზმის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად საკუთარი ქვეყნის ისტორიით სიამაყეა მიჩნეული: The first reason we should have patriotism is because it is our history. When our founding fathers came together as people to make the constitution one thing that made it work so well for them was their love of the thought of patriotism. So, they had a thought of making a country completely relying on patriotism. რესპოდენტთა აზრით, მოაქალაქეთა მიზანს პატრიოტიზმის შენარჩუნება უნდა წარმოადგენდეს: So, what we have

to do is to keep that patriotism alive in the country.

რესპოდენტთა ნაწილი პატრიოტიზმად საკუთარი ქვეყნის დაცვასა და მსახურებას მიიჩნევს: I believe in defending our country. I always speak proudly of people who have served our country. To me, patriotism means supporting our country in good times or bad; to never lose faith in our country; flying the flag to show respect and devotion to our country; and honoring those who have served in the defense of this nation, both living and dead, retired or active. You can show your respect by your behavior towards them. You can shake their hand, tell them thank you for their service. You can tell them that they are heroes...

რესპოდენტთა აზრით, პატრიოტიზმი საკუთარი ქვეყნის (ამერიკის) რწმენა და თავისუფლებისა და უფლებებისათვის მებრძოლ ადამიანთა (ამერიკელთა) მხარდაჭერაა: Simply put, patriotism is basically believing in America itself. Patriotism is doing everything that you can to help those around you and your fellow Americans. We should help individuals that are in the community and are standing up for the rights that they believe in they're standing up for freedom.

რესპოდენტთა ნაწილისათვის პატრიოტიზმი ასოცირდება სამშობლოსადმი ერთგულებასთან, უპირობი სიყვარულთან და მხარდაჭერასთან: You don't give up just because something isn't going the way you think it should go. You trust our country to get back on the right path. Patriotism means supporting and loving our country even when it's going through rough or difficult times. You still love your country, even when things are not as you desire or you would like.

ქვეყნისა და ხალხისათვის თავგანწირვას მიიჩნევს რესპოდენტთა ნაწილი პატრიოტიზმად: sacrifice for the sake of one's country and its people. A person, who supports his country, and is ready to defend it against enemies is known as a patriot.

გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, პატრიოტიზმი არ გულისხმობს სამშობლოსათვის თავგანწირვას, მსხვერპლის გაღებას. სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები - ჯარისკაცები, მეცნიერები, პოლიტიკოსები და ა.შ. სხვადასხვაგვარად გამოხატავენ პატრიოტიზმს: People express their patriotism in different ways and in different roles. Soldiers, scientists, doctors, politicians, and other citizens, express their patriotism through their hard work in their profession. Patriotism does not always mean that you have to sacrifice

your life for your country. ამავე ინტერვიუში რესპოდენტი აზუსტებს, რომ სამშობლოს მსახურება, საკუთარი საქმის კარგად კეთება თავგანწირვას უტოლდება: contributing good service towards the country and its people is also equivalent to your sacrifice. To me, patriotism is embodied by one word, service. To serve, you must be devoted and have vigorous support for one's country, in alliance with other citizens who share the same passion to serve. Patriotic service can come in many forms, not just serving your country in the military. It can come in the form of serving your country or community through efforts to improve the lives of those around you. The efforts of either should not be placed above one another as they are both equally important to the proper functioning and safety of the country.

რესპოდენტის აზრით, პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარულია და არა დროშის ფრიალი პატრიოტიზმის სახელით: Posing for photos with the flag, and posting on social media doesn't imply that you are a true patriot. A real patriot is a person who has a true love for his country. The people that believe they have done enough by waving a flag and singing the national anthem have failed to form their own opinions of patriotism.

სამშობლოსადმი სიყვარულსა და ერთგულებას, სამშობლოსათვის შრომას მიიჩნევს რესპოდენტი უმრავლესობა პატრიოტიზმად: The immense passionate love and affection one has for his country are known as patriotism. It is a virtue that pushes the citizens of the country to work for their country devotedly and selflessly. რესპოდენტი აზრით, პატრიოტიზმისათვის სამშობლო საკუთარ თავზე უპირატესია, სამშობლო იმსახურებს ისეთივე სიყვარულს, როგორსაც - დედა: True patriotism is only when one thinks about his country before he thinks about himself. It is tested in crucial times like war, pandemic, natural disasters and national emergencies. A true patriot will never think about his life before acting any action that will do his country some good. The citizens of the country claim their country as their motherland and therefore have the same love and affection for their countries as they have for their mother. Motherland actually stands next to one's mother. A country cannot achieve her desired development without the patriotic zeal and sincere participation of her people. რესპოდენტის აზრით, პატრიოტიზმის გრძნობა ჩნდება პასუხიმგებლობის გრძობასთან ერთად: Moreover, with the real sense of patriotism, comes the sense of responsibility. It helps one work for the country to build a better future for the country and the countrymen.

გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, პატრიოტიზმი არ მოითხოვს

სამშობლოსათვის თავგანწირვას და სისხლის გაღებას - სამშობლოს სიყვარული გულისხმობს სამშობლოს პროგრესზე ზრუნვას: The patriots have no fear of losing their lives on the battlefield for their country for doing some good to the country. Also, patriotism does not necessarily mean fighting for the country and shedding blood. True love for the country and thinking about the progress of the country is patriotism. რესპოდენტის აზრით, ქვეყნის პროგრესი ახალგაზრდების სამშობლოსადმი დამოკიდებულებითაა განპირობებული: The future of the country depends on the young. If young citizens are enthusiastic about their country and are real patriots, the progress of the country is guaranteed.

რესპოდენტთა უმრავლესობა ფსევდოპატრიოტიზმს განიხილავს ქვეყნის მტრობად, ფსევდოპატრიოტებს კი - ზნეობისაგან დაცლილ ადამიანებად: Not all who show or try to explain are patriots. Many pseudo-patriots like to take undue advantage of the situation. They neither do have any discipline or character nor do they have any sense of morality and sacrifice. They live in their fictitious world created by them. They are instead the enemies of the country. Not everyone who tries to claim themselves is a patriot; some false patriots like to take advantage of the situations and be selfish enough to look for the profit they will derive by speaking for or against the case. ამავე ინტერვიუში პატრიოტებს რესპოდენტი უწოდებს უშიშარ და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ადამიანებს: Patriots are the face of the fearless, and they fight for their motherland and contribute to her independence.

რესპოდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილისათვის პატრიოტიზმი ასოცირდება ვეტერანებთან, განსაკუთრებით კი იმ ვეტერანებთან, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს: When I sing the national anthem for veterans standing before me, I sing with deep respect for both our beloved veterans and for our country. I focus on their love of our nation. When they salute the flag or place their hands over their hearts, I imagine what patriotism might mean to them. I contemplate the oath they swore to their country, probably when they were not much older than I am now, which included possibly making the ultimate sacrifice. What a gift their service was to our nation. I reflect that, tragically, countless veterans lost beloved friends during their tours of duty and so, for veterans, the national anthem must call to mind excruciating experiences, devastating losses, cherished memories, and a camaraderie that civilians can never comprehend. I hold space in my heart for all of those powerful emotions as I prepare to sing, so that I may honor veterans in the way they should be revered. სწორედ სამშობლოს დამცველ ჯარისკაცებს უმაღლიან რესპოდენტები თავიანთ უსაფრთხო ცხოვრებას: I live a safe,

wonderful existence because, through the efforts of every military branch, from the Marines who are the first line of safety, to the Army, who battle on land, to the Navy who protect the seas, the Air Force who protect the skies, and the Coast Guard, who protect the water, my safety and freedom are ensured thanks to their sacrifice during times of war and peace. ამავე ინტერვიუში რესპოდენტი პატრიოტიზმს განმარტავს, როგორც სიმამაცეს, თავგანწირვას, მოვალეობას, ქვეყნისა და ხალხისადმი ერთგულებას: Patriotism means bravery, valor, strength, sacrifice, duty, and a dedication to others, protecting everyone on American soil and abroad.

რესპოდენტთა უმრავლესობისათვის პატრიოტიზმი ასოცირდება პანდემიასთან მეზობლი ადამიანების საქმიანობასთან, იმ საქმიანობასთან, რომელსაც შეუძლია შეუმსუბუქოს ადამიანებს პანდემიით გამოწვეული პრობლემები: Patriotism is millions of people putting their lives on hold to stop a virus, and it is also thousands of men and women leaving their families to protect us around the world. It is my aunt spending every waking moment making masks for doctors... and it is my grandmother making homemade hand sanitizer for her apartment building... Patriotism is all around us, and it is of the utmost importance that we begin to recognize it. რესპოდენტთა აზრით, უხილავმა მტერმა (ვირუსმა) შეცვალა რეალობა, წაართვა ადამიანებს თავისუფლება და შეცვალა პატრიოტიზმის შინაარსიც: The trust we have in our military and government made us think that we would never have to sacrifice for the betterment of our nation. Unfortunately, that reality has changed. We are now asked to give up our daily lives and put our future plans on hold in order to protect our community from a threat that cannot be seen. We are asked to sacrifice our freedom in order to protect our safety and the safety of our neighbors, family, and friends. We are called upon to be patriots, and to give up core aspects of ourselves in order to ensure that this country remains as great as ever.

რესპოდენტთა უმრავლესობისთვის პატრიოტიზმი ასოცირდება სამშობლოს სიყვარულთან და სამშობლოთი სიამაყესთან: Patriotism to me is being behind your country, it is undivided pride and love for your homeland. პატრიოტიზმად არ განიხილება სიმბოლური დატვირთვის მქონე დღეების აღნიშვნა: It is not just about the celebrations that we have once a year like the Fourth of July and Veterans Day. Yes, those are important to this country as a whole and are very special, but there is more than that. პატრიოტიზმის მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს აქტიური მოქალაქეობა: Being an active citizen in America is a part of that by expressing our freedoms either through speech or practices

and voting. Being an active and involved citizen of the country includes voting and paying attention to issues in the community and the nation, it is our responsibility as a citizen. ქვეყნის მხარდაჭერა გულისხმობს აქტიურ მოქალაქეობას, ხოლო აქტიური მოქალაქეობა ნიშნავს ვალდებულებების შესრულებას, ამერიკის ისტორიის ცოდნას, ქვეყნისათვის გაკეთებულ საქმეთა დაფასებას, მოქმედ ჯარისკცთა და ვეტერანთა მიერ მოქალაქეების უფლებებისათვის ბრძოლის პატივისცემას: Patriotism to me is supporting our country by being an active citizen fulfilling responsibilities, understanding the history of the United States of America, appreciating the things done for this country, and honoring our active soldiers and veterans who fight for our rights.

ინტერვიუებში იკვეთება პატრიოტიზმის კულტრასთან და ტრადიციებთან ასოცირების ტენდენცია: Patriotism instinctively guides citizens to discover their natural and cultural specialties: their own resources, traditions, industries, and identity that has existed for ages. They will not imitate or copy another country blindly. Loving a place makes one automatically love, learn, cherish, and improve the special qualities about it.

რამდენიმე ინტერვიუში დაფიქსირდა თვალსაზრისი პატრიოტიზმის არბიტრალურობის, არალოგიკურობისა და ირაციონალურობის თაობაზე: A person has absolutely no choice in what country he or she is born in, yet it is commonly assumed for one to be proud of that meaningless country, then openly criticized when the expectation is not met. რესპოდენტთა აზრით, სხვა ქვეყნებზე უპირატესობის გრძნობის გამომწვევი სხვა არაფერია, თუ არა დაბადების ადგილის გეოგრაფიული განსაზღვრულობა. პატრიოტიზმი იწვევს რეაქციონისტულ განწყობებს, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ლოგიკასთან. ამ ტიპის ინტერვიუებში პატრიოტიზმი ასოცირდება გარკვეულ საფრთხესთან: This sense of superiority over other countries, full of human beings with feelings and desires who are no different than another's, is nothing more than a division of geographical birth places. Ultimately, patriotism causes arbitrary detachments between human beings for illogical reasons. It is fuelled by reactionary emotions rather than reason, and although it begins with good intentions, it can also escalate to catastrophic level

რესპოდენტები განიხილავენ სამშობლოსადმი სიყვარულს ადამიანის მაკონსტრუირებელ გრძნობად: most hatred is the fate of an unpatriotic. A man without patriotism cannot be called a man in the truest sense of the term. He is worse than a beast. He is said to be a man with a dead

soul.

რამდენიმე ინტერვიუში დაფიქსირდა თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, პატრიოტიზმი მიჩნეულია ქვეყნის ლიდერების გადაწყვეტილებების მხარდაჭერად: I believe patriotism is simply the act of supporting the decisions of the leaders of the country.

რამდენიმე ინტერვიუში კი გამოიკვეთა აღნიშნული თვალსაზრისის საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, პატრიოტიზმი მდგომარეობს მთავრობის საქმიანობისადმი ოპოზიციური განწყობების გახმოვანებაში: To be patriotic, people should be outspoken and voice their oppositions to what is going on in the government. The passion protestors are showing for their country is an example of patriotism. I am respectful of people's peaceful protest, as one of the great things about our country is the ability of the people to demonstrate their opinions through free speech.

რამდენიმე ინტერვიუში დაფიქსირდა თვალსაზრისი პატრიოტიზმის თანამედროვე აღქმის სპეციფიკის თაობაზე. რესპოდენტთა აზრით, პატრიოტიზმის თანამედროვე აღქმა ხასიათდება სამშობლოსადმი ბრმა სიყვარულითა და გადაჭარბებული ნაციონალიზმის იმპლიკაციებით: There is some hesitation that people face when forced to adopt or reject the “patriot” label. The modern conception of a patriot carries implications of blind allegiance and excessive nationalism. Alternatively, “to say that one is not a patriot suggests that one lacks the loyalty appropriate to citizens.”

რამდენიმე ინტერვიუ კონცენტრირდა ბრმა პატრიოტიზმს შორის არსებულ განსხვავებაზე. რესპოდენტთა აზრით, ბრმა პატრიოტიზმი უგულვებელყოფს კრიტიკას და არ აღიარებს ქვეყნის ან ჯგუფის მიერ დაშვებულ შეცდომებს: We should distinguish between two types of patriotism: Blind and constructive. Blind patriotism implies uncritical loyalty and support for any action engaged in by one's own group. Blind patriotism means that people will without question support any action taken by their group. In this kind of patriotism there is no regard for the harm that the actions taken by the person's group might have on others. Furthermore, a characteristic of blind patriotism is the unwillingness to accept or provide criticism of the nation which leads to the “my country right or wrong” attitude. People who are blind patriots do not acknowledge criticism nor do they see faults in their country. A person who is a blind patriot may perceive their own country as being the best and an example to follow. Additionally, blind patriotism “is linked to authoritarianism. ამავე ინტერვიუში გამოიკვეთა ბრმა პატრიოტიზმისა და

ავტორიტარიზმის კორელაციურობის იდეა. რესპოდენტთა ნაწილი ბრმა პატრიოტიზმის ფორმად მიიჩნევს მონარქიულ პატრიოტიზმს: Blind patriotism, “our country right or wrong,” is a form of monarchical patriotism.

რამდენიმე ინტერვიუში რესპოდენტებმა პატრიოტიზმის არსის ახსნისათვის გამოიყენეს ნაციონალიზმის, პროპაგანდისა და ომის კონცეპტები. ამ ინტერვიუებში გამოიკვეთა ამბივალენტური დამოკიდებულება ომის მიმართ: It seems that patriotism is one of the most common terms used during times of war. Governments often use propaganda about nationalism to advocate their political views of the hostilities. Sometimes they even force patriotism on their constituents with fear-mongering techniques, which can have dangerous implications. That's not to say that patriotism is inherently bad - many wars have been won for just causes because of it. However, it is a mistake to only think of war at a national level. There are devastating effects on the soldiers, families, and victims of war hostilities.

